ა. ბ. ჩაფიძე

ანგარიშიგიური აღზრდისათვის

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი — 1962

ავტორისაგან

დღეს, როცა ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების კულტურული დონის ამაღლება. ამ ამოცანის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს შეადგენს ბრძოლა წარსულის მეტად მავნე და საშიში გადმონაშთის — რელიგიის წინააღმდეგ.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა განთავისუფლებულია რელიგიის გავლენისაგან, რის გამოც მას სამართლიანად უწოდებენ ათეიზმის ქვეყანას, მაგრამ აქვე მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ უველა როდია ათეისტი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელ ხანებში რელიგიამ ფეხი მოიკიდა ახალგაზრდობის ერთ ნაწილში, რაც, ჩვენი აზრით, ანტირელიგიური პროპაგანდის შესუსტებით აიხსნება.

ისტორიის სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში შეტანილი მცირე მოცულობის ათეისტური მასალა, არ აძლევს მოსწავლეებს ცოდნას ნათელი და სწორი წარმოდგენა იქონიონ რელიგიის მთელ რიგ საკითხებზე. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შესავსებად და ჩვენი მასწავლებლების დასახმარებლად შევეცადეთ წინამდებარე ნაშრომში ზოგადად განგვეხილა მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულება და დაგვესაბუთებინა მათი დაპირისპირებულობისა და შეუთავსებლობის ლოგიკურობა.

შესავალი

„რელიგია ხალხის ოპიუმია“[1] — ეს სიტყვები მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს კარლ მარქსს ეკუთვნის. ამ ლაკონიური გამოთქმით მარქსმა ნათლად და ამომწურავად გადმოგვცა რელიგიის შინაარსი. რელიგია, მართლაც, ოპიუმია, მომწამლავი და მათრობელა ყველა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ მისი გავლენის ქვეშ იმყოფება. ოპიუმის მიღებით ადამიანი მოჩვენებით სიამოვნებას, სიმშვიდესა და თავდავიწყებას ეძლევა, მაგრამ სამაგიეროდ სხეულსა და სულს იმახინჯებს, თავს იავადმყოფებს და ნაადრევად ისწრაფავს სიცოცხლეს. ასევეა, რელიგიური ცრურწმენით შებოჭილი ადამიანი. იგი, მოჩვენებით თვითდავიწყებას ეძლევა, ვითომდა ზეცაში „იდეალური საიქიო ცხოვრების“ არსებობის გამო, მაგრამ სამაგიეროდ ამქვეყნიურ „სააქაო“ ცხოვრებაში დაკარგული აქვს სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იმედი და განწირულია დაკნინებისა და მონური მორჩილებისათვის.

ყველა რელიგიური მოძღვრება გამომდინარეობს სამყაროს გაორებიდან: ამ მოძღვრებათა მიხედვით მატერიალური სამყარო, რომელიც ჩვენი გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს, დაქვემდებარებულია „ზესამყაროსადმი“, რომელსაც ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, რომ ბუნებისა და ადამიანის „გარეშე“ ამ ქვეყნიერების „ზემოთ“, „იმ ქვეყანაში“ არსებობს ზებუნებრივი არსება — ღმერთი, რომელიც ერთადერთი „მიზეზია“ ყოველივე იმისა, რაც ამ ქვეყნად ხდება და არსებობს. რელიგია „ამტკიცებს“, რომ ღმერთი მიუწვდომელი და შეუცნობელია, რომ იგი ისეთი არსებაა, რომელიც აღემატება ადამიანის გაგებას. ამასთან, ღმერთი, რომელიც „ყოვლის შემქმნელია“, თვითონ არავის მიერ არ არის შექმნილი. იგი უსხეულო, მარად უცვლელი, ყველგანმყოფი, ყოვლისშემძლე და ყოვლად გონივრული საწყისია.

ყოველი მსოფლმხედველობის ბირთვს და, რა თქმა უნდა, მათ შორის რელიგიური მსოფლმხედველობის ბირთვსაც შეადგენს ფილოსოფიური შეხედულებანი. ამასთან, ყოველი მსოფლმხედველობის უმთავ-

---

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის,. შესავალი, სახელგამი, გვ. 6.

რეს საკითხს წარმოადგენს ფილოსოფიის ძირითადი საკითხი — საკითხი ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ ყოფიერებისადმი, საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს პირველადს— ყოფიერება თუ ცნობიერება? ბუნება, მატერიალური გარემო თუ სული? ამ საკითხს საბოლოო ჯამში მივყევართ საკითხამდე, სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ, თუ მუდმივად არსებობს?

იმისდა მიხედვით თუ როგორ იჭრება ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, ყველა ფილოსოფიური მიმართულება იყოფა ორ ბანაკად — მატერიალისტურ და იდეალისტურ ბანაკად. იდეალისტური ფილოსოფიის მიხედვით პირველადია ცნობიერება, იდეა, სული. მატერიალისტური ფილოსოფიის მიხედვით კი პირიქით, პირველადია ბუნება, მატერია, ხოლო ცნობიერება მატერიიდან წარმოებული, მეორადი.

მატერიალისტური მსოფლმხედველობა ამტკიცებს, რომ სამყარო მატერიალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყარო, ბუნება არსებობს თავისთავად ყველასა და ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, რომ იგი არ შეუქმნია არც ღმერთს და არც რაიმე სხვა „ზებუნებრივ" ძალას, რომ იგი ობიექტურ რეალობად არსებობს ადამიანთა ცნობიერების გარეთ, ხოლო ჩვენი შეგრძნებები და წარმოდგენები კი მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური ანუ რეალური სამყაროს ანარეკლებს წარმოადგენენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეგრძნებები იძლევიან ობიექტური, რეალური სინამდვილის ცოცხალი ჭვრეტის შესაძლებლობას, გროვდება მასალა აზროვნებისათვის, ამის შემდეგ აბსტრაქტული აზროვნება ხსნის ფაქტებს, ახდენს მათ განზოგადებას და იქმნება სინამდვილის კანონზომიერებათა ამხსნელი თეორიები და დასკვნები, ხოლო მიღებული დასკვნების ჭეშმარიტებისა, თუ მცდარობის დადგენა პრაქტიკით ხდება. პრაქტიკა ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის შემეცნების წყაროსაც და შემმოწმებელსაც. ცოდნის პრაქტიკული შემოწმება, რომელიც ჩვენ პირობადებული გვაქვს ცხოვრების გამოცდილებით, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევებით, სამყაროს შეცნობის ე რ თ ა დ ე რ თ საშუალებას წარმოადგენს.

ბუნების გარდაქმნასთან დაკავშირებული, ადამიანთა მრავალმხრივი მოღვაწეობა იმას მოწმობს, რომ არავითარი „ზებუნებრივი" არ არსებობს მატერიის, რეალური სამყაროს, ბუნების მიღმა. სწორედ ამიტომ წერდა ენგელსი, რომ „მატერიალისტური მსოფლმხედველობა სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა, უბრალოდ, ბუნების იმ სახით გაგებას, როგორიც არის ის, ყოველგვარი უცხო დანამატის გარეშე".[1]

---

[1] ფ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა", გვ. 205.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მატერიალიზმი პირველადად მიიჩნევს მატერიალური დოვლათის წარმოებას, ეკონომიურ ურთიერთობებს, ხოლო სულიერ ცხოვრებას განიხილავს, როგორც მეორადს, გამომდინარეს საზოგადოების მატერიალური ცხოვრებიდან. ამ საკითხის დაყენებასა და გადაწყვეტაში მარქსიზმ-ლენინიზმი, გამოდის მატერიალიზმის მიერ ყოფიერებისა და ცნობიერების, ბუნებისა და სულის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრიდან. ლენინი განმარტავს: „თუ მატერიალიზმი საერთოდ ცნობიერებას ყოფიერებით ხსნის და არა პირიქით, კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ გამოყენებისას მატერიალიზმი მოითხოვს საზოგადოებრივი ცნობიერების ახსნას საზოგადოებრივი ყოფიერებით".[1] ძირითად ძალას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას, წარმოადგენს მატერიალური დოვლათის წარმოება, საზოგადოების საწარმოო ძალთა (წარმოების საშუალებათა: მანქანების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, ნედლეულისა და სამუშაო ძალის — ადამიანის) განვითარება. ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან უმნიშვნელოვანესია წარმოებითი, ეკონომიური ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი განსაზღვრავენ ყველა სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის — პოლიტიკურ, ზნეობრივ და სხვათა ხასიათს. წარმოების წესი, ე. ი. საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი ჰქმნიან საზოგადოების ეკონომიურ ბაზისს (საფუძველს), რომელზედაც აღიმართება ზედნაშენთა სისტემა — პოლიტიკური წყობილება შესაბამისი დაწესებულებებით და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები — მეცნიერება, რელიგია, მორალი და სხვა.

ასეთია მატერიალიზმის კრედო ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ.

საკაცობრიო აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს გამძაფრებული ბრძოლა ურთიერთ მტრულ და შეურიგებელ მსოფლმხედველობებს — მეცნიერულ, მატერიალისტურსა და ანტიმეცნიერულ, იდეალისტურ მსოფლმხედველობებს შორის. ამ ბრძოლაში რელიგია არასოდეს არ ყოფილა ნეიტრალური. იგი ყოველთვის იბრძოდა მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ და წარმოადგენდა ფილოსოფიური იდეალიზმის უხეშ და შეუნიღბავ გამოხატულებას. რელიგია და ფილოსოფიური იდეალიზმი ერთნაირად წყვეტენ მსოფლგაგების ძირითად საკითხებს. განსხვავება მდგომარეობს არა საკითხის არსში, არამედ მხოლოდ გამოხატვის საშუალებებში. ასე

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 50.

მაგალითად, იდეალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით მატერიალური სამყარო წარმოშობილია „მსოფლიო სულის“, „მსოფლიო გონების“, „მსოფლიო ნებისყოფისა“ და „აბსოლუტური იდეის“ მიერ. ხოლო რელიგია კი ამტკიცებს, რომ მატერიალური სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ. მაგრამ ყველა ეს ტერმინები „აბსოლუტური იდეა“, „მსოფლიო სული“ და სხვა, სხვას არას წარმოადგენენ, თუ არა ღმერთის შელამაზებულ სახელწოდებას. მარქსი გვასწავლის: „იდეალისტებს, როგორც ფილოსოფოსებს, ისე რელიგიის მსახურთ, სწამთ ზეშთაგონება, გამოცხადება, მაცხოვრები, სასწაულთმომქმედები და მხოლოდ მათი განათლების დონეზეა დამოკიდებული, ეს რწმენა მიიღებს უხეშ, რელიგიურ ფორმას თუ განსწავლულს, ფილოსოფიურს...“[1]

მოსახლეობის ერთ ნაწილში რელიგიური გავლენის ჯერ კიდევ არსებობასთან დაკავშირებით სავსებით ბუნებრივად ისმება შემდეგი კითხვა: ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის ადამიანთა ერთ, თუნდაც მცირე ნაწილს სწამს ღმერთი, ხომ არ ადასტურებს ღვთისმეტყველთა და იდეალისტ-ფილოსოფოსთა მტკიცებას რელიგიის განსაკუთრებული ბუნების შესახებ? იმის შესახებ, რომ რელიგია ადამიანთა საზოგადოების განუყრელი თანამგზავრია? რომ რელიგია მუდმივია?

რა თქმა უნდა, არა.

საბჭოთა წყობილების ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში, ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების საფუძველზე, გაიმარჯვა სოციალისტურმა იდეოლოგიამ. მაშასადამე, გაიმარჯვა მეცნიერულ-ათეისტურმა მსოფლმხედველობამ, რითაც ეჭვმიუტანლად დადასტურდა, რომ რელიგია რაღაც განსაკუთრებული, გარდუვალი და მუდმივი მოვლენა კი არ არის, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტია.

რელიგიური გადმონაშთების არსებობას სულ სხვა საფუძველი გააჩნია.

როგორც მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რელიგია მხოლოდ კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების დროს მოისპობა და გაქრება, ე. ი. იგი აღმოიფხვრება მაშინ, როდესაც იმდენად მაღალი იქნება ადამიანთა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების დონე და კულტურა, რომ ადამიანი თავისივე საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმგებელი და ბუნების სრული მპყრობელი გახდება.

ჩვენ კი, ჯერჯერობით, ასეთი საზოგადოების მხოლოდ კარიბჭესთან ვიმყოფებით. ჩვენ ვაშენებთ მას. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, იმდენად რამდენადაც რელიგიას გა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IV, გვ. 532.

მოცლილი აქვს მასაზრდოებელი სოციალური ფესვები (ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია) იგი თანდათანობით კვდომას განიცდის, მაგრამ ამასთან იოლად როდი თმობს თავის პოზიციებს. მისი გადმონაშთების დღემდე არსებობას განაპირობებს მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზები. მათგან უმთავრესია:

მარქსისტული მოძღვრების თანახმად ჯერ იცვლება ბაზისი (ადამიანთა საზოგადოების ეკონომიური საფუძველი), ხოლო შემდეგ კი მის ზედნაშენთა მთელი სისტემა — პოლიტიკური წყობილება შესაბამისი დაწესებულებებით და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები: მეცნიერება, რელიგია, მორალი და სხვა.

მართლაც, ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორია გვიდასტურებს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები თავის განვითარებაში ჩამორჩებიან საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებს, ე. ი. ჯერ იცვლება საზოგადოებრივი ყოფიერება, ხოლო შემდეგ კი, მოგვიანებით, საზოგადოებრივი ცნობიერება. ამ უკანასკნელს არ შეუძლია ერთბაშად და მთლიანად ასახოს ის, რაც ბაზისის ცვლილებამ გამოიწვია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამასთან მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებიდან ყველა ერთნაირად როდი არის დაშორებული ბაზისიდან. მაგალითად, ფილოსოფია ან რელიგია გაცილებით უფრო დაშორებულნი არიან ბაზისისაგან, ვიდრე პოლიტიკა ან სამართალი. განსაკუთრებით კი რელიგია, რომელსაც ეკონომიური საფუძვლის, ბაზისის მიმართ შედარებით დამოუკიდებელი არსებობის უნარი გააჩნია, ამიტომ, ცხადია, მისი საბოლოო დაძლევისათვის გაცილებით უფრო მეტი დროა საჭირო.

საზოგადოების განვითარების ეს ობიექტური, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებული კანონი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სერიოზულ მიზეზთაგანს, რომელიც დღემდე განაპირობებს ჩვენში რელიგიური გადმონაშთების არსებობას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რელიგია ადამიანთა ცხოვრებასა და აზროვნებაში საუკუნეების განმავლობაში ინერგებოდა. ადამიანი მისი გავლენის სფეროში ისე იყო მოქცეული, როგორც მწერი ობობას ქსელში. იგი ადამიანის ცხოვრების ყოველ მხარეს ეხებოდა: ოჯახურსა თუ საზოგადოებრივს, ყოფაცხოვრებითსა თუ პოლიტიკურს, ფიზიკურსა თუ ინტელექტუალურს, ამიტომ რელიგიური შეხედულებები, წარმოდგენები, იდეები, ჩვეულებები და ადათები კვლავ განაგრძობენ არსებობას როგორც ნაშთები, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმომშობი მატერიალური პირობები, რომელთა ანარეკლებსაც ისინი წარმოადგენენ, აღარ არსებობს.

მაშასადამე, რელიგია თავის არსებობას ინარჩუნებს აგრეთვე ტრადიციის ძალითაც.

მხედველობაში უთუოდ უნდა იქნეს მიღებული ერთი მეტად სერიოზული ფაქტორიც. სახელდობრ, ყოველი ადამიანის ბუნებაში ინსტინქტურად თუ შეგნებულად არსებობს დაუოკებელი მისწრაფება, მარადიული სიცოცხლისა და არსებობის დაუცხრომელი სურვილი. იგი პირად „მე"-ზეა დაფუძნებული: „მე არ მინდა სიკვდილი", „მე მინდა მარად ვიცოცხლო". ათეისტებს ესმით, რომ ბუნების გარდუვალი კანონის გამო ეს შეუძლებელია. მერყეევთათვის კი გამოსავალი მხოლოდ ერთშია — იწამონ „ღვთაებრივი" სამყარო, ღმერთი და „იმქვეყნიური" არსებობა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორი მით უფროა მხედველობაში მისაღები, რომ ის, სავალალოდ, ზოგიერთ განათლებულ ადამიანებზეც ვრცელდება, თუმც, რა თქმა უნდა, იგი მხოლოდ გონებაშეზღუდულობისა და სუსტი ნებისყოფის შედეგს წარმოადგენს.

მსგავსი მისწრაფება ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც განაპირობებს რელიგიური რწმენის არსებობას ადამიანთა საზოგადოების განვითარების თვით მაღალ საფეხურზედაც კი და იგი მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა ადამიანის აზროვნებაში აღარ დარჩება ადგილი აღარც უმეცრებისა და აღარც ცდუნებისათვის.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ჩვენს ეპოქაში მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების მიუხედავად ადამიანი ჯერ კიდევ უძლურია ზოგიერთი სტიქიური მოვლენისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერჯერობით მას არც ყველა დასახული მიზნის მიღწევა შეუძლია. ამასთან ყველას როდი აქვს იმდენი ცოდნა, რომ სწორად გაიგოს და შეაფასოს რეალური სინამდვილე, ამ სინამდვილის არსი და მნიშვნელობა. მცირემცოდნეობის გამო მათ არ ძალუძთ მართებულად, მატერიალისტური მსოფლგაგებით ახსნან სამყაროს აგებულება, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის მიზეზები. მათთვის ძნელია იმის გაგება, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოება და მისი განვითარების კანონზომიერებანი სრულიად შეცნობადია, რომ სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში არ არსებობენ შეუცნობელი ნივთები და მოვლენები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი ნივთები და მოვლენები, რომლებიც, მართალია, ჯერჯერობით არ არიან შეცნობილნი და ახსნილნი, მაგრამ რომელნიც მომავალში უთუოდ იქნებიან შეცნობილიც და ახსნილიც მეცნიერებისა და ტექნიკის ძალებით.

ზემოთ აღნიშნულიც ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც

ადგილს ტოვებს ადამიანის აზროვნებაში რელიგიური გადმონაშთების არსებობისათვის.

ამავე დროს ეკლესიის მსახურნი ბოროტად სარგებლობენ რა ჩვენს ქვეყანაში არსებული რწმენის თავისუფლებით, ზოგჯერ მეტად არაკეთილსინდისიერ ხერხებსა და საშუალებებს მიმართავენ მორწმუნეთა რიცხვის გასამრავლებლად. ასე, მაგალითად, ჩვენში არსებობენ ზოგიერთი ისეთი რელიგიური სექტები („იეღოვას მოწამენი", „ორმოცდაათიანელები" და სხვა), რომლებიც მოსახლეობაში რელიგიის პროპაგანდას ნებაყოფლობითობის პრინციპზე კი არ ეწევიან. არამედ მუქარისა და დაშინების მეთოდს მიმართავენ.

ჩვენ, რელიგიური გადმონაშთების დღემდე არსებობის გამომწვევი. მხოლოდ რამდენიმე, უმთავრესი მიზეზი დავასახელეთ. რა თქმა უნდა, არსებობენ სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი მიზეზებიც, რომელთა დასახელება-განმარტება შორს წაგვიყვანდა და ამიტომ მათზე შეჩერება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და ბევრი სხვა მიზეზი განაპირობებენ ჩვენში რელიგიური გადმონაშთების დღემდე არსებობას. ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი მათგანი დროებითი და წარმავალი ხასიათისაა. ისინი ძირითადად დაძლეული იქნებიან უკვე ახლავე, კომუნიზმის მშენებლობის პროცესში, ხოლო საბოლოოდ კომუნიზმის სრული გამარჯვების დროს აღმოიფხვრებიან.

———

სამყაროს აგებულება

ადამიანის ფანტაზიამ გონებრივი უძლურების შორეულ წარსულში ზეცაში ღმერთები დაასახლა, მაგრამ შემდეგ, აზროვნების განვითარებისდა მიხედვით, ადამიანის ყოვლისშემძლე გონებამ თვითვე მიიტანა გამანადგურებელი იერიში ღმერთების „ციხე-სიმაგრეზე", ზეცაზე.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათასწლეულის წინად წარმოიშვა ასტრონომია[1] — მეცნიერება სამყაროს აგებულების შესახებ. ასტრონომია საუკუნეების მანძილზე თავს უყრიდა მეცნიერულ ფაქტებს, აანალიზებდა მათ და მით აღრმავებდა ცოდნას სამყაროზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერული ცოდნა სამყაროს შესახებ ასტრონომიამ ბრძოლისა და მძიმე მსხვერპლის ფასად მოიპოვა. ეს გასაგებიცაა. ბრძოლა რელიგიურ დოგმებსა და მეცნიერულ შეხედულებებს შორის ყველაზე მწვავედ სწორედ ასტრონომიის საკვანძო საკითხების შესწავლის დროს იჩენს თავს.

ასტრონომიული გამოკვლევები მიმდინარეობს სპეციალურ სამეცნიერო-კვლევით და დასამზერ დაწესებულებებში, ასტრონომიულ ობსერვატორიებში. ასტრონომები ციურ სხეულებს დასამზერი ჭოგრებით ანუ ტელესკოპთა დახმარებით შეისწავლიან. ტელესკოპები აღჭურვილნი არიან დამხმარე ხელსაწყოებით, რომელთა მეშვეობითაც ხერხდება ციურ სხეულთა მოძრაობის, აღნაგობის, ტემპერატურის, ქიმიური და ფიზიკური შედგენილობის შესწავლა და დადგენა. ამ ინსტრუმენტთა დახმარებით ასტრონომებმა შესძლეს დაედგინათ ციურ სხეულთა ბუნება და მოეცათ სამყაროს აგებულების სწორი სურათი.

ამჟამად ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას — მზის სისტემა. ოთხასი წლის წინათ კი არც ეს ტერმინი და არც ამ ტერმინის შესატყვისი გაგება არ არსებობდა. ასტრონომიული მეცნიერების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს გეოცენტრული ანუ დედამიწის სისტემის შეცვლა, ჰელეოცენტრული ანუ მზის სისტემით. მე-16 საუკუნემდე გაბატონებული იყო მე-2 საუკუნის ბერძენი მეცნიერის პტოლომეს,

---

[1] სახელწოდება „ასტრონომია" წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვისაგან „ასტრონ" — ვარსკვლავი და „ნომოს" — კანონი.

სამყაროს გეოცენტრული სისტემა („გე“ ბერძნულად დედამიწას ნიშნავს). ამ სისტემის მიხედვით დედამიწა უძრავია და წარმოადგენს სამყაროს ცენტრს. დედამიწის გარშემო კი ტრიალებენ: მზე, პლანეტები და ვარსკვლავები, ერთი სიტყვით მთელი ქვეყნიერება. ამიტომ ფიქრობდნენ (და რა თქმა უნდა ამ შეცდომას მხარს უჭერდა და ემხრობოდა ეკლესია) თითქოს ბუნებაში ყველაფერი ექვემდებარებოდა დედამიწას. მე-16 საუკუნეში დიდმა პოლონელმა მეცნიერმა



პტოლომეს სისტემა

კოპერნიკმა დაამტკიცა ზემოაღნიშნული თეორიის უსაფუძვლობა და წამოაყენა სამყაროს ჰელეოცენტრული სისტემა („ჰელიოს“ ბერძნულად მზეს ნიშნავს). ეს სისტემა აღიარებდა დედამიწის ორგვარ მოძრაობას: — თავისი ღერძის გარშემო (დღეღამური ბრუნვა) და მზის გარშემო (წლიური მოქცევა), ამ სისტემის მიხედვით სამყაროს ცენტრში იმყოფება მზე, ხოლო პლანეტები, მათ შორის დედამიწაც, მის გარშემო ტრიალებენ. ეს თვალსაზრისი ამჟამადაც მიღებულია იმ დამატებით, რომ მზე იმყოფება მხოლოდ მზის სისტემის ცენტრში, თვით

ნ. კოპერნიკი

სისტემა კი იმყოფება და მოძრაობს უსასრულო სივრცეში უამრავ სხვა მზის სისტემათა შორის.

ჩვენ მზე-ვარსკვლავს თან ახლავს ციურ სხეულთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც მზესთან უშუალო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. მზისა და მათი ერთობლიობა ქმნის ე. წ. მზის სისტემას, მზის ოჯახს. მზე თავისი სისტემის ცენტრალური სხეულია. იგი ძლიერი მიზიდულობის ძალით ფლობს სისტემაში შემავალ ყველა ციურ სხეულს, რომლებიც მის გარშემო ბრუნავენ და ამავე დროს თავისი ძლიერი გამოსხივების სითბოთი ანათებს და ასაზრდოებს მათ.

მზე გავარვარებული ნივთიერებებისაგან შემდგარი მნათი სხეულია, რომელიც მოყვანილობით უშველებელ ბურთს ანუ სფეროს წარმოადგენს. მისი დიამეტრი მილიონ ოთხასი ათასი კილომეტრის ტოლია. თუკი დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ერთ შემობრუნებას 24 საათს ანდომებს, მზეს იმავე პროცესის შესასრულებლად ეკვატორის მახლობლობაში 25 დღე-ღამეზე ცოტა მეტი სჭირდება, ხოლო პოლარულ არეებში კი 30 დღე-ღამეზე მეტი. ე. ი. მზე ბრუნავს არა როგორც ერთი მთლიანი მყარი სხეული, არამედ მის ცალკეულ ფენებს სხვადასხვა სიჩქარეები აქვთ. ეს კი თავის მხრივ იმას ადასტურებს, რომ მზე მყარი სხეული კი არ არის, არამედ გაზისებურ მასას წარმოადგენს.

მზის ოჯახში, მზის სისტემაში შედიან: პლანეტები[1] ანუ ცდომილები (ჯერჯერობით სულ ცნობილია ცხრა ცდომილი — მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი. ურანი, ნეპტუნი და პლუტონი), ასტეროიდები ანუ მცირე ცდომილები, კომეტები ანუ ე. წ. კუდიანი ვარსკვლავები და მეტეორები. პლანეტებს ანუ ცდომილებს თან ახლავთ თანამგზავრები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა მოვიხ-



მზე და მზის გარშემო მოძრავი პლანეტები

სენიოთ დედამიწის თანამგზავრი მთვარე (სულ მზის სისტემაში ცნობილია 31 თანამგზავრი. მათგან, მთვარის გარდა, ორი ეკუთვნის მარსს, თორმეტი იუპიტერს, ცხრა სატურნს, ხუთი ურანს და ორი ნეპტუნს).

კოპერნიკის მოძღვრება წარმოადგენდა რევოლუციურ გადატრიალებას ასტრონომიაში. მან მძლავრი დარტყმა მიაყენა რელიგიურ მსოფლმხედველობას. შეფასებას აძლევდა რა კოპერნიკის მიერ ჩადენილ მეცნიერულ გმირობას, ენგელსი აღნიშნავდა, რომ მისი თეორიის მეოხებით დასაბამი მიეცა ბუნებათმეცნიერების განთავისუფლებას თეოლოგიისაგანო[2] და, მართლაც, კოპერნიკის შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნის შესანიშნავ მეცნიერთა მთელმა პლეადამ განაგრძო მუშაობა ამ მიმართებით და საბოლოოდ დაადასტურა კოპერნიკის მოძღვრე-

[1]პლანეტა ბერძნულად მოხეტიალეს ნიშნავს.

[2] თეოლოგია — ღვთისმეტყველება, რელიგიური „მოძღვრება", რომელიც ცდილობს დაასაბუთოს რელიგიური დოგმები.

ბის სისწორე, რითაც ბუნებათმეცნიერება საბოლოოდ განთავისუფლდა თეოლოგიისაგან.

მაგრამ ახალი მოძღვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლას დიდი მსხვერპლიც დასჭირდა. მისი მხარდაჭერისათვის რომის ეკლესიის მსახურებმა კოცონზე ცოცხლად დაწვეს კოპერნიკის მიმდევარი იტალიელი ჯორდანო ბრუნო, ხოლო მეორე იტალიელი მეცნიერი გალილეო გალილეი კი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ასტრონომიული დამზერისათვის ტელესკოპი და საჰაერაოზე გამოიტანა კოპერნიკის მოძღვრების ჭეშმარიტების დამადასტურებელი ფაქტები, ინკვიზიციამ მრავალჯერ აწამა.

მე-17, მე-18 საუკუნეებში მეცნიერებმა კიდევ უფრო გააღრმავეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს სამყაროს აგებულების შემსწავლელი მეცნიერება — ასტრონომია. დიდმა რუსმა მეცნიერმა ლომონოსოვმა აღმოაჩინა თანამედროვე ბუნებისმეტყველების ძირითადი კანონი — ნივთიერებათა წონის მარადისობის კანონი, ხოლო დიდი ინგლისელი მეცნიერის ნიუტონის მიერ აღმოჩენილმა მსოფლიო მიზიდულობის კანონმა და მის მიერვე დამუშავებულმა ციური სხეულების მოძრაობის თეორიამ არა მხოლოდ ახსნა, არამედ საოცარი სიზუსტით გამოთვალა ციურ სხეულთა მოძრაობა.

პროგრესული მეცნიერების ისტორიამ ოქროს ასოებით აღბეჭდა და უკვდავყო იმათი სახელები, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია ჭეშმარიტების დადგენას. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან: პოლონელი კოპერნიკი, იტალიელები ბრუნო და გალილეი, რუსი ლომონოსოვი და ინგლისელი ნიუტონი. მათმა ნათელმა გონებამ და დაუღალავმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა სამყაროს აგებულების შესწავლას.

მზის სისტემის შესწავლიდან მეცნიერი ასტრონომები გადავიდნენ უფრო რთული და მძიმე ამოცანის გადაწყვეტაზე. მათ დაიწყეს ვარსკვლავთა ურიცხვი სისტემების შესწავლა, რომელთა შემადგენლობაში, ერთ-ერთ რიგით სისტემად, ჩვენი მზის სისტემაც შედის.

მზის სისტემების იმ ერთობლიობას, რომელშიც ჩვენი მზის სისტემაც შედის, რძის გზის ან ირმის ნახტომის სისტემა ან მოკლედ გ ა ლ ა ქ ტ ი კ ა ეწოდება. ეს უკანასკნელი სახელწოდება წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან „გალაქტიკოს“, რაც რძისას ანუ რძიანს (რძის გზას) ნიშნავს. ამ სისტემას შეადგენს დაახლოებით 150 მილიარდი ყველა ის ვარსკვლავი, რომელიც გადაჭიმული არის დედამიწის მხურავ ცის მრგვალ თაღზე ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალაქტიკაც ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო. მზე მონაწილეობს რა ამ ბრუნვით მოძრაობაში ერთ სრულ შემობრუნებას გალაქტიკის

ცენტრის გარშემო 185 მილიონ წელიწადს ანდომებს. დედამიწა კი ერთ სრულ მოქცევას მზის ცენტრის გარშემო მხოლოდ 365 დღესა და 6 საათს ანდომებს. ეს განსხვავება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მზის სიჩქარე 240 კმ-ია წამში, დედამიწისა კი მხოლოდ 39 კმ წამში.

თანამედროვე ასტრონომიულმა მეცნიერებამ დაადგინა, რომ იმ გალაქტიკასთან ერთად, რომელშიც ჩვენი მზის სისტემაც შედის სამყაროში არსებობს აგრეთვე უამრავი სხვა გალაქტიკები, რომლებიც ჩვენი გალაქტიკის მსგავსად მილიარდობით მზე-ვარსკვლავებს მოიცავენ. გალაქტიკების ერთობლიობაც გარკვეულ ოჯახს, სისტემას ჰქმნის, მას მ ე ტ ა გ ა ლ ა ქ ტ ი კ ა ეწოდება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამყაროში თვით მეტაგალაქტიკებიც კი უთვალავნი არსებობენ და ასე შემდეგ და ასე ამგვარად, უსასრულოდ.

ჩვენი მზე მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი ვარსკვლავია თვალუწვდენელ სამყაროში. ჩვენ მზის სისტემას, თუმცა იგი თავის მხრივ საკმაოდ ბევრ დიდსა თუ მცირე სხეულებს მოიცავს, სამყაროს უსაზღვრობაში სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია. უამრავნი არიან მასზე უფრო დიდი, თუ მასზე უფრო მცირე, მასზე უფრო ცხელი, თუ მასზე უფრო ცივი, მასზე უფრო მოკაშკაშე, თუ მასზე უფრო ფერმკრთალი მზე-ვარსკვლავები, რომლებიც ჩვენი მზე-ვარსკვლავისაგან განსხვავდებიან: მასითაც, სიმკვრივითაც, ფერითაც, ბრწყინვალებითაც და ა. შ. მაგრამ ამასთან აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამისა მთელი სამყაროს ყველა მზე-ვარსკვლავის ფიზიკური თვისებები, ქიმიური შემადგენლობა, მოძრაობა და სხვა დამახასიათებელი ნიშნები დაახლოებით ერთნაირია.

ღამით, მოწმენდილი ცის ნახევარსფეროზე შეუიარაღებელი თვალით დაახლოებით 2—3 ათასი ვარსკვლავი მოჩანს. სინამდვილეში კი მათი რიცხვი გაცილებით უფრო მეტია. ძლიერი ტელესკოპით ცის თაღის დათვალიერების დროს ეს რიცხვი რამდენიმე ასეულ მილიარდამდე გაიზრდება და იმატებს ტელესკოპის ოპტიკური სიძლიერის გაზრდასთან ერთად. იმ ვარსკვლავთა უმრავლესობა, რომელთაც შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ, მოთავსებულია ათიდან რამდენიმე ასეული სინათლის წლის[1] მანძილზე. ჩვენი გალაქტიკის განივი კი, 80.000 სი-

---

[1] სინათლის წელი ის მანძილია, რომელსაც სინათლის სხივი ერთ წელიწადში ვაირბენს. და რადგან სინათლის სხივის სივრცეში გავრცელების სიჩქარე 300 ათასი კილომეტრია წამში, ამიტომ მას შემდეგ რაც გამოვიანგარიშებთ, თუ რამდენი წამია წელიწადში (60×60×24×365) დავრწმუნდებით, რომ ერთი სინათლის წლის მანძილს შეესაბამება ათი ათასი მილიარდი კილომეტრი. ე. ი. სინათლის წელი უდრის ათი ათას მილიარდ კილომეტრს.

ნათლის წელს უდრის, მაგრამ არსებობენ ისეთი მზე-ვარსკვლავებიც, რომლებიც განუზომლად უფრო შორს მდებარეობენ ჩვენგან. ასე მაგალითად, ჩვენი გალაქტიკის უახლოესი მეზობელი ანდრომედას გალაქტიკა დედამიწიდან ერთი მილიონი სინათლის წლის მანძილზე მდებარეობს. ცნობილია მრავალი სხვა გარეშე გალაქტიკებიც, რომლებიც მილიონობით და მილიარდობით სინათლის წლით არიან დაშორებულნი დედამიწიდან. თუ გავიხსენებთ, რომ ერთი სინათლის წელი ათი ათას მილიარდ კილომეტრს შეესაბამება, ადვილი წარმოსადგენია, რა კოლოსალური მანძილით არიან დაშორებული ჩვენი პლანეტიდან სხვა გალაქტიკებსა და მეტაგალაქტიკებში შემავალი მზე-ვარსკვლავები და პლანეტები.

დედამიწიდან ასეთი უდიდესი დაშორების მიუხედავად ჩვენ მაინც ვხედავთ ვარსკვლავთა ერთ ნაწილს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ მეტად ძლიერი სიკაშკაშე გააჩნიათ. ეს გასაგებიცაა, რადგან ყოველი ვარსკვლავი (მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი მზე-ვარსკვლავიც) სფეროსებურ მოცულობაში თავმოყრილ გავარვარებულ მნათი ნივთიერებების უზარმაზარ გროვას წარმოადგენს. ჩვენს მიერ დანახულ ვარსკვლავებს სხვადასხვა ხილული სიკაშკაშე გააჩნიათ. ეს კი მხოლოდ იმით არაა გამოწვეული, რომ ისინი სხვადასხვა მანძილით არიან დაშორებული დედამიწიდან, არამედ იმითაც, რომ მათ სხვადასხვა ჭეშმარიტი სიკაშკაშე გააჩნიათ. დიდი სიკაშკაშის ვარსკვლავებს გიგანტებს უწოდებენ, მცირე სიკაშკაშისას კი — ჯუჯებს.

ჩვენ მზე-ვარსკვლავს ჭეშმარიტი სიკაშკაშის მხრივ, საშუალო ადგილი უკავია სამყაროში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი სიკაშკაშე 400—500 ათასჯერ ნაკლები რომ ყოფილიყო (როგორც ეს ბევრ ჯუჯა ვარსკვლავებს ახასიათებს), დედამიწაზე მუდმივი ზიბნელე და მძაფრი სიცივე იქნებოდა და, რა თქმა უნდა, ვერც ადამიანი წარმოიშვებოდა და იარსებებდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამყაროში არსებულ უთვალავ მზე-ვარსკვლავებს შორის ეჭვს გარეშე სავარაუდოა ისეთთა არსებობაც, რომელთა პლანეტებზე ჩვენი პლანეტის — დედამიწის მსგავსი პირობები იქნება და, მაშასადამე, იქნება ყველა პირობა ადამიანის მსგავს გონიერ ცოცხალ არსებათა არსებობისათვის.

ამჟამად, სამყაროსა და ჩვენი მზის სისტემის მრავალი საკითხია გარკვეული და დაზუსტებული, მათ შორის ციურ სხეულთა ასაკიც. მეცნიერული მონაცემები ადასტურებენ, რომ დედამიწა დაახლოებით 3—4 მილიარდი წლისაა, ხოლო ჩვენი მზის სისტემა კიდევ უფრო მეტი ხნის, იგი დაახლოებით 12 მილიარდი წლის წინათ წარმოიქმნა,

გალაქტიკური მოვლენების შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ გალაქტიკის ასაკი კიდევ უფრო მეტია, ვიდრე მზისა და ა. შ.

თუკი საკითხი მზისა და დედამიწის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ შედარებით დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ კოპერნიკის დროს გადაიჭრა, მეორე, მასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხი, თუ როგორ წარმოიშვა მზის სისტემა — მეცნიერების მიერ უფრო მოგვიანებით იქნა გადაწყვეტილი. ეს გასაგებიცაა, რადგან აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო იყო ახალი ფაქტების დადგენა, რაც როგორც ცნობილია, იოლ ამოცანას როდი წარმოადგენს. თავის მხრივ კი, მეცნიერული გაგება იმისა, თუ როგორ წარმოიშვა მზის სისტემა, აუცილებელია სამყაროს აგებულების სწორი სურათის დადგენისა და იმ რელიგიური ცრურწმენის გაბათილებისათვის, რომელიც ამტკიცებს, თითქოს მზეც, დედამიწაც და ყველა სხვა ციური სხეულიც ღმერთის შიერ იყოს შექმნილი.

ამჟამად, მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ უსასრულო სამყაროში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ციური სხეულების რღვევისა და აღმოცენების უწყვეტი პროცესი. ვარსკვლავები ყოველ წამში გამოასხივებენ და გამოყოფენ უამრავ სინათლესა და სითბოს, რის გამოც კარგავენ საკუთარ ნივთიერებათა ნაწილს. ამიტომ, დროთა განმავლობაში ასეთ ვარსკვლავთა მასა თანდათანობით მცირდება, ამასთან ეცემა მათი ტემპერატურა და კლებულობს მათ მიერ გამოსხივებული ენერგიის რაოდენობაც. მიმდინარეობს ვარსკვლავთა ქრობის პროცესი. ასტრონომია კარგად იცნობს ასეთი კატეგორიის ვარსკვლავებს, ისინი ქრობის სხვადასხვა სტადიაში იმყოფებიან. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვარსკვლავთა მიერ გამოყოფილი ნივთიერებანი ანუ გაფანტული მატერია არ იკარგება. თუ სამყაროს რომელიმე ნაწილში ხდება ციური სხეულის დაშლა და მისი გადაქცევა გაფანტულ მატერიად, მაშინ შემოუსაზღვრავი სამყაროს რომელიმე მეორე ნაწილში ხდება ციური სხეულის წარმოქმნა გაფანტული მატერიიდან.

სამყაროში არსებული ეს მუდმივი „წრებრუნვა" მუდმივად ცვალებად პირობებში სხვადასხვაგვარად ხორციელდება. როგორც მეცნიერული ფაქტები ადასტურებენ, ახალ მზე-ვარსკვლავთა სისტემები სიცარიელისაგან კი არ წარმოიშვებიან, არამედ ვარსკვლავთაშორის სივრცეში არსებული გაფანტული მატერიის, „მტვერისა" (ცივი, მყარი ნაწილაკებისა) და გაზისაგან წარმოიქმნებიან საკუთარი, ბუნებრივი კანონების მიხედვით.

გაფანტული მატერიის „მტვერი" და გაზი „გუნდებს" ქმნის. თავის მხრივ კი ამ „გუნდების" ერთობლიობა „ღრუბლებს" ანუ „ნისლეულებს" ქმნიან. ნისლეულებს თავდაპირველად არ გააჩნიათ გამოკვეთი-

ლი ფორმა და სტრუქტურა. დროთა განმავლობაში, ბუნებრივ კანონ-ზომიერებათა შედეგად, ხდება მათი შემდგომი კიდევ უფრო მეტად შემჭიდროვება, რის შედეგადაც მათში წარმოიქმნება ისეთ ნივთიერებათა შენადედი, რომელიც ბოჭკოს მოგვაგონებს. ამ პროცესთან ერთად ნისლეულთა შიგნით მრავალგვარი რთული პროცესები მიმდინარეობს. მაგალითად, დადგენილია, რომ მიზიდულობის ენერგია, რომელიც გააჩნიათ კოსმოსურ ნაწილაკებს ნისლეულების შემჭიდროვების დროს, ჯერ სითბურ, ხოლო შემდეგ კი ატომურ ენერგიად გადაიქცევა და, ბოლოს, ნისლეულთა წნევა იმდენად გაიზრდება, რომ ისინი ე. ი. ნისლეულები ცალკეულ უზარმაზარ შენადედებად დაიშლებიან და წარმოქმნიან მზე-ვარსკვლავებს. სწორედ ასე წარმოიშვა ჩვენი მზე-ვარსკვლავიც.

მაშასადამე, ვარსკვლავთა ერთი ნაწილის ქრობისა და „კვდომის" სანაცვლოდ მიმდინარეობს ჩამქრალ ვარსკვლავთა მიერ გამოყოფილი ნივთიერებების ანუ გაფანტული მატერიის „მტვერისა" და გაზის თავმოყრა ნისლეულთა სახით და მათგან კი, თავის მხრივ, ახალ მზე-ვარსკვლავთა წარმოშობა. სამყაროს ციური სხეულების რიცხვი უთვალავია და ეს სხეულები განუწყვეტლივ სახეცვალებადობენ: ერთნი ქრებიან, მაგრამ სამაგიეროდ სხვანი წარმოიქმნებიან. ასე მიმდინარეობს ეს გრანდიოზული „წრებრუნვითი" პროცესი, რომელსაც არც დასაწყისი და არც დასასრული არ გააჩნია.

აუეთია ვარსკვლავების სასიცოცხლო გზა.

ხოლო რაც შეეხება ჩვენი მზე-ვარსკვლავის ერთ-ერთ პლანეტის, ადამიანებით დასახლებული დედამიწის წარმოშობასა და განვითარებას, აკადემიკოს ო. ი. შმიდტის თეორიის მიხედვით, რამდენიმე მილიარდი წლის წინათ, ჩვენი მზის პლანეტების წარმოშობამდე, მზის გარშემო სივრცე კოსმიური „მტვერისა" და გაზისაგან შედგებოდა. მათში უწყვეტად მიმდინარეობდა ორი პროცესი: ურთიერთ შორის მიზიდულობა და ენერგიის ერთი სახის გარდაქმნა მეორე სახის ენერგიად. ხანგრძლივი განვითარების პროცესში „მტვერისა" და გაზის ნაწილაკები ერთიმეორეს ეჯახებოდნენ, ეწებებოდნენ და ცალკე გუნდებად ერთიანდებოდნენ. ასე ჩამოყალიბდა რამდენიმე უზარმაზარი ზომის სხეული — პლანეტა, მათ შორის ჩვენი პლანეტაც, დედამიწაც.

ზემოაღწერილ პროცესს თან ახლდა მექანიკური ენერგიის დიდი რაოდენობით გარდაქმნა სითბურ ენერგიად, რაც „მტვერისა" და გაზის ნაწილაკებისაგან შედგენილ გუნდებს ღერძის გარშემო ბრუნვას ანიჭებდა იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც მოიქცეოდა მზის გარშემო ნაწილაკების უმრავლესობა.

ამრიგად, მეცნიერული დასკვნები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ

ციური სხეულები (მათ შორის ჩვენი მზე-გარსკვლავიც და ჩვენი პლანეტა — დედამიწაც) ბუნებრივ კანონზომიერებათა გზით წარმოიშვნენ და ვითარდებიან.

თუმც ყველა როდი იზიარებს მატერიალისტური მსოფლმხედველობის ასეთ გაგებას სამყაროს მარადიულობის შესახებ. რელიგიის მსახურნი და მეცნიერ-იდეალისტები, სხვა პოზიციაზე დგანან. ისინი სთვლიან, რომ სამყარო „ზებუნებრივი" ძალის მიერ არის შექმნილი და რომ ყველაფერი ჩვენს გარშემო არსებული და მათ შორის ჩვენც, ადამიანებიც მხოლოდ „ღვთაებრივი შემოქმედების" პროდუქტს წარმოვადგენთ.

სამყაროს შექმნის საკითხზე მეცნიერება და რელიგია სხვადასხვაგვარი შეხედულებისანი არიან. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა თვით საკითხის დასმიდან იწყება. მეცნიერებისათვის ძიებისადმი მისწრაფება და საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა გასარკვევის მართებული გადაწყვეტისა და ჭეშმარიტების დადგენის უმნიშვნელოვანესი საშუალებებია. რელიგიისათვის კი, პირიქით, ეს საშუალებები ყოვლად მიუღებელია და უდიდეს შეცოდებად ითვლება. რელიგია თვლის, რომ ღმერთის ყოვლისშემძლეობისადმი რწმენა ეპვმიუტანელ და წმინდა ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს და, ამიტომ ყოველგვარი დამტკიცების გარეშე: ასევე ეპვმიუტანელად უნდა ვიწამოთ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ჭეშმარიტებაო. სინამდვილეში კი ეს „ჭეშმარიტება" მეტად უსუსურია.

საკმარისია ადამიანმა ბრმად და მექანიკურად კი არ აითვისოს რელიგიური დოგმები და შემდეგ ფანატიკურად კი არ იწამოს, არამედ დაკვირვებულად, დინჯად და კრიტიკული თვალთახედვით შეამოწმოს ისინი, რომ მისთვის ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული და ნათელი გახდეს რელიგიურ რწმენათა დაუსაბუთებლობა, მცდარობა და სიყალბე.

ამავე დროს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გაუმართლებელი იქნება რელიგიასთან ბრძოლის გაიოლება. ის ვინც ფიქრობს, რომ ადვილად შეიძლება რელიგიურ დოგმათა გაბათილება, სერიოზულად ცდება. რელიგიის წარმოშობას და შემდგომ მის ესოდენ ფართოდ გავრცელებას თავისი საფუძველი გააჩნია. რელიგიის ყოველი ნებისმიერი დოგმა მხოლოდ დიდი და შრომატევადი მეცნიერული მუშაობის შედეგად დაიძლევა. ყველა დროისა და ეპოქის მოწინავე მოაზროვნეთათვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ ჭეშმარიტებათა დადგენა და გამარჯვებული კვარცხლბეკზე ასვლა მხოლოდ იმას ძალუძს, ვინც მთელ თავის შესაძლებლობას, მთელ თავის არსებას, მთელ თავის სიცოცხლესა და ცხოვრებას შესწირავს მეცნიერებას. მარქსი წერდა

„მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო სამხედრო გზა, და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვს“[1].

დღეისათვის, როდესაც მეცნიერების განუხრელი წინსვლის მეოხებით რელიგიური მსოფლგაგება ზედიზედ განიცდის მარცხს, ღვთისმეტყველი იდეალისტები განწირულთა თავგამოდებით ებღაუჭებიან კოსმოლოგიის[2] პრობლემებს — სამყაროს აგებულებისა და განვითარების პრობლემებს. კოსმოლოგიით მათი დაინტერესება იმით აიხსნება, რომ იმ საკითხებიდან, რომლებიც სამყაროს აგებულებასა და განვითარებას შეეხება, ბევრი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გადაწყვეტილი. და მათ სურთ ეს გადაუწყვეტელი პრობლემები რელიგიის ინტერესებისათვის გამოიყენონ. რელიგიის დამცველები ამტკიცებენ, რომ მეცნიერებას მხოლოდ იმ მოვლენებისა და პროცესების ახსნა ძალუძს, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე მიმდინარეობს, ხოლო სამყაროს სიდიადე აღემატება ყოველივე იმას, რასაც ადამიანის შეზღუდული გონება შეიძლება ჩაწვდეს და ამიტომ მისი ახსნისათვის აუცილებელია მივმართოთ რელიგიას, აუცილებელია ვაღიაროთ სამყაროს ღვთაებრივი შექმნის სასწაული.

როგორც ვხედავთ, ღვთისმეტყველი იდეალისტები მეტად იოლ გამოსავალს პოულობენ. მათი აზრით, რაკი მოვლენა გაუგებარია, ის უნდა ავხსნათ ასევე გაუგებარი და შეუცნობადი, არარსებული ღვთაებრივი ნებით. დიალექტიკური მატერიალიზმი კი გვასწავლის, რომ როცა ესა თუ ის მოვლენა გაუგებარია, უნდა ვიმუშაოთ მისი ჯერჯერობით ფარული არსის გამოკვლევაზე, მისი ბუნებრივი მიზეზების გამონახვაზე.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ობიექტური სამყაროს ამომწურავი შემეცნება წარმოუდგენელია. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ მატერიალური სამყარო შეწყვეტდა განვითარებას, თუ იგი შეჩერდებოდა თავის მოძრაობაში და ამოწურავდა თავის თავს. მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება, რადგან სამყარო მუდმივი მოძრაობის, დაშლა-განახლების და, მაშასადამე, მუდმივი განვითარების მდგომარეობაში იმყოფება.

იდეალისტების ერთ-ერთი არგუმენტი ღმერთის მიერ სამყაროს

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, წინასიტყვაობა ფრანგული გამოცემისათვის, გვ. 27.

[2] კოსმოლოგია — მოძღვრება კოსმოსის შესახებ, მოძღვრება მთლიანი სამყაროს შესახებ.

შექმნის სასარგებლოდ შემდეგია: თუ ჩვენი გარემომცველი სამყაროს ყველა საგანს აქვს საწყისი და ბოლო, მაშინ სამყაროსაც უნდა ჰქონდეს საწყისი და ბოლო. აქედან ისინი აკეთებენ შესაბამის დასკვნას: რადგან სამყარო ოდესღაც შეიქმნა ღვთაებრივი ძალით (ე. ი. მას ჰქონდა საწყისი, ა. ჩ.), მაშასადამე ოდესმე დადგება მისი აღსასრულიც (ე. ი. მას ექნება ბოლო, ა. ჩ). მაგრამ მთელ სამყაროზე იმის გავრცელება, რაც მხოლოდ ცალკეული საგნებისა და ნივთიერებისათვის არის დამახასიათებელი, სწორი არაა.

სამყაროში ყოველი საგანი თუ ნივთი წარმოიშვება რომელიღაც მეორე საგნისა თუ ნივთისაგან, მაგრამ დროთა ვითარებაში ისინი შინაგანი თუ გარეგანი ძალების წინააღმდეგობათა მეოხებით, დრომოჭმულნი ხდებიან, შეწყვეტენ არსებობას და გარდაიქმნებიან რომელიმე სხვა საგნად თუ ნივთად, მატერიის სხვა ფორმად. მატერიის არსებობა და მოძრაობა რთული, მუდმივი და უსასრულო „წრებრუნვაა". ამის შესახებ ენგელსი წერდა: „ესაა წრებრუნვა, რომელშიც მატერიის არსებობის ყოველი სასრულოვანი ფორმა... ერთნაირად წარმავალია, და რომელშიც მარადი არაფერია, გარდა მარად ცვალებადი, მარად მოძრავი მატერიისა და კანონებისა, რომელთა თანახმადაც იგი მოძრაობს და ცვალებადობს"[1].

ეგრეთწოდებული თეორია სამყაროს „დასაწყისის", „გაფართოებისა" და „დასასრულის" შესახებ მცდარი და ყალბია. ის არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას რაიმე დამაჯერებელი არგუმენტებით და ეწინააღმდეგება მეცნიერების მიერ დადგენილ ფაქტებს. მეცნიერების თანამედროვე მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით ახლა უკვე სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მიერ შეცნობილი სამყარო უსაზღვროა. ლენინი წერდა: „...ბუნება უსასრულოა, მაგრამ იგი დაუსრულებლივ არსებობს, და, აი, სწორედ ეს ერთადერთი კატეგორიული, ერთადერთი უპირობო აღიარება მისი არსებობისა ადამიანის ცნობიერებისა და შეგრძნების გარეშე, განასხვავებს სწორედ დიალექტიკურ მატერიალიზმს იდეალიზმისაგან".[2]

წარსულში „სწავლული" ღვთისმეტყველები ხშირად ფიქრობდნენ, რომ მათ უკვე მთლიანად შეიცნეს და დაადგინეს სამყაროს საზღვრები, მაგრამ ყოველთვის იძულებული ხდებოდნენ ასტრონომიული, ჭეშმარიტი აღმოჩენების შედეგად უარი ეთქვათ თავიანთ „აღმოჩენებზე". მით უფრო სავალალოა ის ფაქტი, რომ მეცნიერ-იდეალისტებს ჭკუა

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 28.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 332.

ვერ ასწავლა წარსულის მწარე გაკვეთილებმა. ამჟამად ისინი ისე შორს წავიდნენ თავიანთ მკრეხელობაში, რომ აცხადებენ, თითქოს გამოთვალეს სამყაროს რადიუსი, ე. ი. დაადგინეს სამყაროს საზღვრები. სინამდვილეში კი მათი ეს მორიგი „აღმოჩენა“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ეწინააღმდეგება მეცნიერული ასტრონომიის თანამედროვე მონაცემებს. საბჭოთა ასტრონომებმა უმძლავრესი ახალი ტელესკოპების გამოყენებით გადალახეს მათი „საზღვარი“ და მრავალი ახალი კოსმოსური სხეული აღმოაჩინეს.

ფ. ენგელსი წერდა: „მარადისობა დროში, დაუსრულებლობა სივრცეში... იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ დასასრული არავითარი მიმართულებით, არც წინ, არც უკან, არც ზევით, არც ქვევით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“.[1] და მართლაც, რა მიმართულებითაც უნდა ვიკვლიოთ, მაინც არასოდეს არ ექნება დასასრული ახალი, სულ უფრო შორეული ობიექტების აღმოჩენას.

სამყარო უსასრულოა.

დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო მუდმივად არსებობს, რომ ის მარადიულია.

დიალექტიკური მატერიალიზმი მიუთითებს, რომ ბუნებაში მოძრაობა, დაშლა-განახლება და განვითარება ხდება საგნებსა და მოვლენებში არსებულ შინაგან წინააღმდეგობათა ძალით, რომ სამყაროს მოძრაობა, დაშლა-განახლება და განვითარება არის თვითმოძრაობა და თვითგანვითარება. ამიტომ დიალექტიკური მატერიალიზმი, ანზოგადებს რა ბუნებაში არსებული მოძრაობის ყველა ფორმას, მოძრაობად გულისხმობს ცვლილებას საერთოდ. უძრაობა და წონასწორობა მოძრაობის მომენტებია მხოლოდ. აბსოლუტური უძრაობა ბუნებაში არ არსებობს. ის საგნები, რომლებიც ერთი შეხედვით აბსოლუტურად უძრავ მდგომარეობაში მყოფებად გვეჩვენება, სინამდვილეში განუწყვეტელ მოძრაობასა და ცვლილებებს განიცდის შინაგანი და გარეგანი მიზეზების გავლენით.

ამავე დროს ყოვლად მიუღებელია მოძრაობის მექანისტური გაგება, რომელიც პრიმიტიულს ხდის და ამახინჯებს ბუნებაში არსებულ მოძრაობითი ფორმების მრავალსახეობას, ეს ცალმხრივი გაგებაა, რომელსაც ყოველი მოძრაობა სხეულის მხოლოდ გადაადგილებამდე დაჰყავს. მოძრაობის მექანისტური გაგება გარეგან ბიძგს გულისხმობს, ასეთ გაგებას კი მივყევართ იდეალისტური ფილოსოფიის ცრურწმენამდე, რომლის მიხედვითაც მოძრაობის მიზეზი იმყოფება არა ბუნებაში, არამედ მის გარეთ, ე. ი. ღმერთში.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 60.

სინამდვილეში მატერიალისტური სამყაროს არსებობის, მოძრაობისა და განვითარების მიზეზი არის არა ღმერთი, არამედ თვით მატერია. მატერიის მოძრაობა და განვითარება მოიცავს ქიმიურ, ფიზიკურ, ბიოლოგიურ პროცესებს, საზოგადოებრივ განვითარებას და ა. შ. მატერიის ყოველგვარი მოძრაობისა და განვითარების მიზეზი უნდა ვეძებოთ არა გარეგან ბიძგში, არამედ მატერიის შინაგან წინააღმდეგობებში. მისთვის დამახასიათებელი დაპირისპირებული ძალებისა და ტენდენციების ბრძოლაში. ლენინი გვასწავლიდა, რომ მოძრაობისა და განვითარების მხოლოდ ასეთი გაგება იძლევა ყოველივე არსებულის, მათ შორის სამყაროს თვითმოძრაობის, თვითგანახლებისა და თვითგანვითარების გასაღებს.

თუ დავუშვებთ და ვცნობთ, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო, მაშინ აუცილებლად წამოიჭრება გადაუწყვეტელი საკითხები, სახელდობრ: ღმერთი ვინღა შექმნა? რა ძალით ან როგორ წარმოიშვა იგი? და თუ ვინმე ასეთ არარსებულ ძალასაც დაასახელებს, მაშინ მასაც ანალოგიური კითხვები დაესმის და ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ.

მაშასადამე, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ ყოველი მატერიალური საგანი არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, რომ სამყარო თავისი ბუნებით მატერიალურია. მატერია კი ყოველთვის იყო, არის და იქნება. სამყარო არასოდეს და არავის არც „მიწიერ“ და არც „ზეციურ“ ძალებს არ შეუქმნიათ. იგი ყოველთვის არსებობდა და არ საჭიროებდა შემოქმედს, არც ღმერთსა და არც ბუნებრივ ძალას.

სამყარო შეუქმნადი, მოუსპობადი და ამდენად მარადიულია.

იდეალისტურ-რელიგიური მსოფლმხედველობის მომხრენი იმასაც ამტკიცებენ, რომ ღმერთმა სამყარო არაფრისაგან, სიცარიელისაგან შექმნაო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს არ ძალუძს ახსნა, თუ როგორ მოხდა ეს. მეცნიერებას კი სრულიად თავისუფლად შეუძლია დაადგინოს ზემოაღნიშნული შეხედულების მცდარობა და მთლიანად გააბათილოს ეს აბსურდული მტკიცება.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის სწავლულები ხანგრძლივი გამოკვლევების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გარემომცველ სამყაროში ყველაფერი ერთი და იგივე ნივთიერებებისაგან შედგება ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველაფერი ნივთიერებათა უმცირესი ნაწილაკების — ატომთა ცალკეული სახეობების ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან შედგება.

მართლაც, დადგენილ იქნა, რომ დედამიწაც, მზის სისტემაში შემავალი პლანეტებიც, მზეც, გალაქტიკაც და მეტაგალაქტიკებიც კი ერთი

და იგივე ნივთიერებებისაგან, ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან შედგება. მეტიც, მეცნიერებმა ისიც კი გამოიკვლიეს, რომ ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან შედგება როგორც უსულო ბუნება, ისე სულიერი არსებანი, მაგრამ ის ფაქტი, რომ უსულო საგნები და ცოცხალი არსებანი ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან შედგება, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ჯერ ერთი, ქიმიური ელემენტები უსულო ბუნების საგნებში და სულიერ არსებათა ცოცხალ ორგანიზმებში აბსოლუტურად განსხვავებული დოზებითა და პროპორციებით შედის და, მეორეც, რაც მთავარია, ცოცხალ ორგანიზმთა შემადგენლობაში ქიმიური ნივთიერებანი განსაკუთრებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნებითაა შეერთებული. სწორედ ეს გამოჰყოფს სულიერ არსებებს უსულო საგნებისაგან და განსაზღვრავს მათ სპეციფიკურ თვისებებს.

მეცნიერების უდიდესი მიღწევაა იმ უმნიშვნელოვანესი ფაქტის დადგენა, რომ ქიმიური ელემენტების არც მოსპობა და არც წარმოშობა არ შეიძლება. მაშასადამე, არც ის საგნები და ნივთები ან სულიერი არსებანი, რომლებიც ამ ელემენტებისაგან შედგება, არ შეიძლება შეიქმნას არაფრისაგან ან საკუთარი ძალებით მოისპოს. ასევე მუდმივია ენერგია. არაფრისაგან არც ენერგიის მიღება ან მოსპობა არ შეიძლება. მრავალრიცხოვანი და უზუსტესი მეცნიერული ცდები, რომლებიც აღნიშნული კანონების დასადგენად ჩატარდა, ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდა, სახელდობრ: ყოველი ნივთიერების წონა უდრის გარდაქმნის შედეგად მისგან მიღებული ახალი ნივთიერების წონას. ამავე დროს ცნობილია, რომ ენერგიის ფორმები იცვლება, თვით ენერგია კი უცვლელი რჩება. ნივთიერებათა წონის ანუ მასისა და ენერგიის მარადისობის კანონი დიდმა რუსმა მეცნიერმა ლომონოსოვმა აღმოაჩინა. შემდგომში ეს კანონი ყოველმხრივ დადასტურდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მასში ითქვა ბუნებაში არსებული საგნებისა და მოვლენების თვისებები და სამყაროს კანონზომიერებანი, მან უფრო ფართოხასიათი მიიღო.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ მატერიის მარტივ მოძრაობათა კანონს მექანიკა შეისწავლის, ხოლო მექანიკის ერთ-ერთ ძირითად კანონს ნიუტონის მიზიდულობის კანონი წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად ისმება კითხვა: მიზიდულობის კანონი მხოლოდ მზის სისტემის თვისებაა, თუ იგი მის გარეთაც ვრცელდება?

ასტრონომიის მიერ დაგროვილი ფაქტები გვიდასტურებენ, რომ მიზიდულობის კანონი ძალაშია მზის სისტემის გარეთაც. ვარსკვლავების ყოველმხრივი და დაწვრილებითი შესწავლის შედეგად დადასტურ-

და, რომ მათ შორის მიზიდულობის კანონი ზუსტად ისეთივე ხასიათისაა, როგორიც ჩვენს მზის სისტემაში.

ნიუტონის მიერ მიზიდულობის კანონის აღმოჩენამდე ღვთისმსახურნი ხან ამტკიცებდნენ, რომ დედამიწა ეყრდნობა სამ ვეშაპს, ხან — ოთხ სპილოს, ხან — უზარმაზარ კუს და ა. შ. მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანის გონებამ მიაღწია იმ დონეს, როდესაც ბუნებრივად წარმოიშვა კითხვა: „რას ეყრდნობა ის, რაც დედამიწას იკავებს?“ ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა პასუხს ვერავინ იძლეოდა და ადამიანი მივიდა იმ დროისათვის განსაცვიფრებელ ჭეშმარიტებამდე — დედამიწა და ციური სხეულები არაფერს არ შეიძლება ეყრდნობოდნენ — დედამიწა, ისევე როგორც ყოველი სხვა ციური სხეული, თავისთავად, ყოველგვარი საყრდენის გარეშე იმყოფება სამყაროს სივრცეში. ამ მიხვედრამ გადატრიალება მოახდინა ადამიანთა შეგნებაში. ხოლო ნიუტონის მიერ მიზიდულობის კანონის აღმოჩენამ საბოლოო, გამანადგურებელი დარტყმა აგემა რელიგიურ მსოფლმხედველობას.

ამჟამად შესწავლილია მრავალი დიდი თუ მცირე ვარსკვლავის მოძრაობა. დადგენილია, რომ დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის და მზის. გარშემო, რომ მზე ბრუნავს თავის გალაქტიკაში და საკუთარი ღერძის. გარშემო, რომ ჩვენი და სხვა გალაქტიკებიც ბრუნავენ თავიანთი ღერძების გარშემო და მოძრაობენ ერთმანეთის მიმართ. ერთი სიტყვით, უსასრულო სამყაროში, სადაც კი მიწვდა ადამიანის თვალი და გონება, ყველგან დადასტურდა მიზიდულობის კანონის სისწორე.

ის გარემოება, რომ მატერიის ცალკეულ ნაწილაკებს შორის მიზიდულობა მთელ სამყაროში ყველგან ერთი და იგივე კანონით ხორციელდება, იმაზე მიგვითითებს, რომ მოვლენები როგორც დედამიწაზე, ისე სხვა ციურ სხეულებზე ერთი და იგივე ფიზიკური კანონების მიხედვით მიმდინარეობენ. და თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ სამყაროში არსებული ყველა სხეული ერთი და იგივე ქიმიური ელემენტისაგან შედგება, მაშინ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად უნდა ვცნოთ

ს ა მ ყ ა რ ო ს მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა.

ყველა ადამიანს საკუთარ თავზე და გარემომცველ ბუნებაზე დაკვირვების პროცესში სრულიად ბუნებრივად ებადება მთელი რიგი, მისი არსებობისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე, საკითხების გარკვევისა და გაგების სურვილი. ასეთ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება საკითხი სამყაროს შესახებ, იმის შესახებ თუ, როგორაა სამყარო აგებული, რა ძირითად კანონზომიერებებს ემყარება მისი არსებობა, როგორია მისი წარსული, აწმყო, განვითარების გზა და მომავალი. ამ საკითხებზე ფიქრობდნენ ჩვენი „შორეული მამა-პაპანი“ ასევე შორეულ, უძველეს დროში — კაცობრიობის კულტურის გარიჟ-

რაზე და ამავე საკითხებზე ფიქრობს თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი. ამ საკითხებს იმ უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე სხვადასხვაგვარად წყვეტენ ადამიანები. ეს საკითხები, ათასეული წლების განმავლობაში, ცხარე კამათისა და მძაფრი ბრძოლების საგანს წარმოადგენდნენ და ამჟამადაც წარმოადგენენ ორ მტრულ, შეურიგებელ და ურთიერთგამომრიცხავ მსოფლმხედველობას შორის — მატერიალისტურსა და იდეალისტურ მსოფლმხედველობებს შორის, ჭეშმარიტ ცოდნასა და ცრუ რწმენას შორის, მეცნიერებასა და რელიგიას შორის.

ხანგრძლივი დრო და აურაცხელი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა ადამიანს, ვიდრე საკუთარ თავსა და გარემომცველ ბუნებას შეიცნობდა. მან დაიწყო იმით, რომ არსებობის უფლების მოპოვებისათვის უმარტივესი პრიმიტიული იარაღი დაამზადა, ხოლო საკუთარ უვიცობასთან ტიტანურმა შეჭიდებამ დამთავრებინა იმით, რომ კოსმოსში გაიკრა სამყაროს „უშუალოდ გაცნობის მიზნით“.

პროგრესული მეცნიერება მთელი სამყაროსა და მათ შორის ადამიანის არსებობის საფუძვლად, დიდი ბერძენი მოაზროვნის ჰერაკლიტეს მიერ მინიშნებულ პრინციპს მიიჩნევს. ეს პრინციპი ასეა გამოთქმული: „პანტა რეი“, რაც იმას ნიშნავს, რომ — „ყველაფერი მიმდინარეობს“, „ყველაფერი იცვლება“.

მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის მეოხებით გახდა შესაძლებელი სამყაროს არსებობისა და განვითარების კანონების აღმოჩენა და ამ კანონების ობიექტური ხასიათის დასაბუთება. მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი ასაბუთებს, რომ მთელს სინამდვილეს ბუნების საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ ის წარმოადგენს, რომ მათ ერთი და იგივე ზოგადი კანონები განაგებენ. ენგელსი წერდა: „...ბუნებაში ურიცხვ ცვლილებათა ქაოსში იგივე დიალექტიკური მოძრაობის კანონები მეღავნდება, რომლებიც ისტორიაშიც მოვლენათა მოჩვენებითს შემთხვევითობას განაგებენ; ეს იგივე კანონებია, რომლებიც ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორიაშიც წითელი ზოლივით გადიან და თანდათან მოაზროვნე ადამიანების ცნობიერებამდე აღწევენ“.[1] სამყაროში ყველაფერი მუდმივ მოძრაობასა, მუდმივ ცვალებადობასა და მუდმივ განვითარებაში იმყოფება. და, როგორც ენგელსი ამბობს, მთელი ბუნება, უწვრილესი ნამცეციდან დაწყებული უდიდეს ციურ სხეულამდე, მუდმივ წარმოშობასა და მოსპობაში, განუწყვეტელ მდინარებაში, დაუღალავ მოძრაობასა და ცვალებადობაში იმყოფება.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 14.

საბჭოთა მეცნიერების წარმატებებს ის განაპირობებს, რომ იგი თავისი გამოკვლევების მეთოდოლოგიას აფუძნებს დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობაზე და, მაშასადამე, ბუნების მოვლენებს შეიცნობს მათ განვითარებაში, რის საფუძველზედაც ქმნის მართებულ თეორიებს. შემდეგ კი, დაკვირვებისა, ფაქტიური მასალის დაგროვებისა და მათი გაანალიზების მეშვეობით აზუსტებს ამ თეორიებს, ამოწმებს პრაქტიკით და ახალი სარწმუნო დასკვნებით კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მათ. საბჭოთა მეცნიერებამ შესძლო სამყაროს ხილული მოვლენების ანალიზი შეძენილი გამოცდილებითა და მოპოვებული ცოდნით და ამის შედეგად — ხილული მოვლენების ნამდვილი მიზეზების ახსნა, რის საფუძველზედაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახდა სამყაროს ზოგად კანონზომიერებათა დადგენა.

ღვთისმეტყველნი და იდეალისტი ვაი-მეცნიერნი აშკარად გრძნობენ, რომ მათი ნაცოდვილარი „ღვთისადმი რწმენის ხუხულა“ წყალს მიაქვს, ამიტომ თვითონ ისინიც წყალწაღებულთა საერთო წესის მიხედვით „ხავსს ეკიდებიან“ და ირწმუნებიან: ნურაფერზე ნუ ფიქრობთ, ნურაფერს ნუ იკვლევთ, ნურაფერს ნუ ეძებთ, რადგან ფიქრი, კვლევა და ძიება მხოლოდ მწუხარებას მოგიტანთო. ასე, მაგალითად, ებრაელთა რელიგიური და სამართლის ნორმების ძირითადი ძეგლი — თალმუდი მოითხოვს: „იდუმალს ნუ ეძებ, საიდუმლოს ნუ გამოიკვლევ“, ხოლო ბიბლიაში კი სწერია: „ბევრ სიბრძნეში ბევრი მწუხარებაა და, ვინც ამრავლებს შემეცნებას, — ამრავლებს მწუხარებასაცო“.

რელიგიისა და იდეალისტური მეცნიერების წინააღმდეგ, მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი გვიჩვენებს სწორ გზას ბუნებაში არსებული საგნებისა და მოვლენების შესწავლისა და შემეცნებისათვის, იგი არის სამყაროს შესწავლისა და შემეცნების მეცნიერული მეთოდი და სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. მან განავითარა, განაზოგადა და ახალ საფეხურზე აიყვანა ნივთიერებათა წონის ანუ მასისა და ენერგიის მარადისობის კანონი და გადააქცია ის ბუნების ერთ-ერთ ძირითად კანონად — მატერიისა და მოძრაობის მარადისობის კანონად. ამით დიალექტიკურმა მატერიალიზმმა გააქარწყლა რელიგიის მსახურთა და იდეალისტ-ფილოსოფოსთა ყალბი, ანტიმეცნიერული შეხედულება სამყაროზე.

რელიგიისა და იდეალისტური მეცნიერების წინააღმდეგ მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი გამოდის იქედან, რომ სამყაროში არსებული საგნები და მოვლენები ქაოტურ მდგომარეობაში კი არ არიან, არამედ ერთმანეთთან გარკვეულ კავშირში იმყოფებიან და განა-

პირობებენ ერთმანეთს; რომ სამყაროში ყველაფერი კანონზომიერად მიმდინარეობს და არავითარ სასწაულებს მასში ადგილი არა აქვს.

რელიგიისა და იდეალისტური მეცნიერების წინააღმდეგ მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ სამყარო უსასრულო, მარადიული და ერთიანია, რომ იგი ვითარდება ობიექტურ კანონზომიერებათა საფუძველზე და რომ სამყაროს უსასრულობა, მარადიულობა და ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს.

სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობა

საკითხი სიცოცხლის წარმოქმნის შესახებ, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდნენ უმდაბლეს საფეხურზე მდგომი უმარტივესი ცოცხალი სხეულები, მაღალგანვითარებულ ცოცხალ არსებებამდე და ბოლოს საკითხი თვით ადამიანის წარმოშობის შესახებ, ბუნებათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს საკითხთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

ეს საკითხები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იტაცებდა ადამიანის გონებას. ბუნებრივია, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ისინი სხვადასხვა გადაწყვეტას პოულობდნენ, სხვადასხვა ეპოქაში მათ სხვადასხვა პასუხი ეძლეოდათ, მაგრამ ერთი კი უცილობლად საერთო ჰქონდა ყველა დროსა და ყველა ეპოქას, სახელდობრ, შეუძლებელი იყო მათზე პასუხის გაუცემლობა, რადგან ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია გარკვეული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

წინამდებარე შრომის შესავალში, ვეყრდნობოდით რა მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, აღვნიშნავდით რომ სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოებაში არ არსებობენ შეუცნობელი საგნები და მოვლენები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი საგნები და მოვლენები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილი, მაგრამ რომლებიც მომავალში უთუოდ იქნებიან შეცნობილიც და ახსნილიც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ იმას როდი ნიშნავს, რომ აქ შესაძლებელი იყოს აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევა. ერთია — თანდათანობით, გამოცდილების მომატებით, ცოდნის გაღრმავებით, განვითარებისა და წინსვლის მეოხებით მივაღწიოთ საგნებისა და მოვლენების შეცნობასაც და ახსნასაც, მაგრამ მეორეა — შეეეცადოთ ჩვენს მიერ შეცნობილი წარმოადგენდეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და იგი ახსნილი იქნას აბსოლუტური სიზუსტით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანის გონება ამაოდ დაშვრებოდა, რადგან მარადიულ მოძრაობასა, დაშლა-განახლებასა და განვითარებაში მყოფი ობიექტური სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებათა შეცნობა და შესწავლა შესაძ-

ლებელია, მაგრამ მათი ამომწურავი შეცნობა და ზედმიწევნით ზუსტი შესწავლა კი შეუძლებელია.

ისეთთა რიცხვს, რომელთაც არ შეიძლება წაეყენოთ აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის მოთხოვნა, მიეკუთვნებიან, მაგალითად: არაორგანული მატერიიდან ორგანული მატერიის წარმოქმნა, „მაიმუნ-ადამიანის" გაადამიანების პროცესის აღდგენა და სხვა, რადგან ისინი ისტორიული განვითარების მილიონი წლების მიღმა დარჩენილ განვლილ ეტაპს წარმოადგენენ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე წარსულ ეპოქათა საზღვრების დადგენა ვინაიდან, როგორც მარქსი აღნიშნავდა: „ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში, სხვადასხვა ეპოქებს შორის აბსტრაქტულად მტკიცე განმაცალკევებელი საზღვრითი ხაზები ისევე არ არსებობს, როგორც არ არსებობს ასეთი საზღვრები დედამიწის ისტორიის ეპოქებს შორის"[1].

მართალია, არსებობს ზოგიერთი ბანალური ხასიათის აბსოლუტური ჭეშმარიტება, როგორიცაა მაგალითად ის, რომ: ფრინველი დაფრინავს, ორჯერ ორი ოთხია, თევზი დაცურავს, პარალელური ხაზები არ ერთდებიან, ადამიანი ორ ფეხზე დადის და ა. შ. მაგრამ ფაქტი და უტყუარობა იმაში მდგომარეობს, რომ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ყ ო ვ ე ლ ი ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი დ ა რ გ ი ა მ დ ა გ ვ ა რ ბ ა ნ ა ლ უ რ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ებ ს ვ ერ გ ა ს ც დ ე ბ ა დ ა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს მ ხ ო ლ ო დ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა თ ა ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი ს გ ა ვ ლ ი თ მ ი უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა. სწორედ ამიტომ წერდა ენგელსი, რომ: „ვინც ნამდვილი, უცვლელი, უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტების მასშტაბით უდგება შემეცნებათ, რომელნიც საგანთა ბუნების მიხედვით ან მრავალი თაობის განმავლობაში რელატიური (შედარებითი, ა. ჩ.) უნდა დარჩნენ, ისე რომ მხოლოდ თანდათან მიაღწიონ სისრულეს, ან რომელნიც კოსმოგენიის, გეოლოგიის, კაცობრიობის ისტორიის მსგავსად საბოლოოდ დაუსრულებელნი და ნაკლულოვანი დარჩებიან, ისტორიული მასალის ნაკლულოვანობის გამო, იგი ამით მხოლოდ თავის საკუთარ უმეცრებასა და უცოდინარობას ამტკიცებს".[2]

ბუნებისა და საზოგადოების კანონების შესწავლასა და შემეცნებას არა აქვს აბსოლუტური საზღვარი, იგი უსასრულოა და ამიტომაც დაუსრულებლად გაგრძელდება. რაც გუშინ არ ვიცოდით, დღეს ვიცით, რაც დღეს არ ვიცით, ხვალ გვეცოდინება, მომავალში შეიმეცნება და შეფარდებითი ჭეშმარიტებების გზით აბსოლუტურ ჭეშმარიტებას

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 321.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 66.

მივუახლოვდებით, რადგან შეფარდებითი ჭეშმარიტება თავისთავში შეიცავს აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებს.

ამ თავში, ისევე როგორც სამყაროს აგებულების შესწავლის დროს, ჩვენ შევეცდებით მეცნიერებათა სხვადასხვა დარგების ცალკეული მონაცემების ფართოდ მოშველიებით მართებულად განვიხილოთ და სწორად გადავწყვიტოთ სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის საკითხი.

როდესაც ვაკვირდებით ჩვენ გარემომცველ ბუნებას, რომელშიც ვარსებობთ და ვცხოვრობთ, ჩვენდა უნებლიედ მას ორ ნაწილად ვყოფთ: ცოცხალ არსებათა და უსულო საგანთა სამყაროებად. ცოცხალ არსებათა სამყარო ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ მასში, უმცირესი მიკრობიდან დაწყებულ და ადამიანით დამთავრებულ, ყოველ ცოცხალ არსებას რაღაც საერთო, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გააჩნია, რაც, ერთი მხრივ, აახლოვებთ და ანათესაებთ მათ, ხოლო, მეორე მხრივ, თვით უმარტივეს, ცოცხალ არსებასაც კი გამოჰყოფს არაცოცხალ, უსულო საგანთა სამყაროდან. აი, სწორედ ამ „რაღაცას“ ვუწოდებთ ჩვენ სიცოცხლეს.

მაგრამ ეს მხოლოდ პირობითი და ზედაპირული ახსნაა. თავისთავად ცხადია, რომ „რაღაც“ არ შეიძლება გამოგვადგეს სიცოცხლის დასახასიათებლად.

რაში მდგომარეობს სიცოცხლის არსი?

არის თუ არა სიცოცხლე, ისევე როგორც ყველაფერი დანარჩენი მატერიალური, თუ იგი თავისი ბუნებით არამატერიალური და „ზებუნებრივია“?

როგორ წარმოიქმნა სიცოცხლე?

როგორ წარმოიშვა ადამიანი?

დასმულ კითხვებზე მეცნიერულ-მატერიალისტური და რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობები სრულიად სხვადასხვა და დიამეტრალურად ერთიმეორის საპირისპირო პასუხებს იძლევიან.

აღნიშნულ საკითხთა შესახებ მეცნიერულ შეხედულებებზე ათასეული წლებით უფრო ადრე რელიგიური შეხედულებები არსებობდა, ხოლო რელიგიურ შეხედულებებზე უფრო ადრე კი... „აკვნიდან ახლად გადმოსული“ პირველყოფილი ადამიანი, ბორძიკით იდგამდა ფეხს, ხელებს უმწეოდ ასავსავებდა, გულუბრყვილო თვალებით იცქირებოდა და უსუსური გონებით ყველას და ყველაფერს წაღმა-უკუღმა აღიქვამდა. თავის მხრივ, ადამიანის მიერ ბუნების ძალების გაუკუღმართებულმა აღქმამ წარმოშვა რელიგია. სწორედ ამიტომ წერდა ენგელსი, რომ: „ბუნების ძალები პირველყოფილი ადამიანისათვის რაღაც უცხო,

იდუმალებით მოცული, აღმატებული რამ არის. გარკვეულ საფეხურზე, რომელსაც ყ ვ ე ლ ა კულტურული ხალხი გადის, იგი მას შეეგუება განსახიერების გზით. სწორედ ამ განსახიერებისადმი მისწრაფებამ შეჰქმნა ყველგან ღმერთები...“[1]

ბუნების მოვლენებისა და საგნების განსახიერებამ ანიმიზმის სახელწოდება მიიღო (ლათინური სიტყვისაგან — ანიმა — სული), რაც ბუნების მოვლენათა გასულდგმულებასა და იმის აღიარებაში მდგომარეობს, რომ ბუნების ყოველი საგნის უკან უხილავი, არამატერიალური სული იმალება, რომელიც მას განაგებს.

ანიმიზმი წარმოიშვა ადამიანთა ისტორიის გარიჟრაჟზე, როდესაც ადამიანებს არ შეეძლოთ ბუნების კანონების შეცნობა და ახსნა. პირველყოფილი ადამიანები ფიქრობდნენ, რომ გარემომცველ ბუნებაში არსებული საგნები და მოვლენები გასულიერებულნი იყვნენ და, რომ ამ საგნებსა და მოვლენებს ადამიანთა მსგავსად შეეძლოთ გონიერი მოქმედება, რადგანაც ისინი უმწეონი იყვნენ ბუნების ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ პირველყოფილი ადამიანების ცნობიერებაში ბუნების მოვლენები და საგნები ყოვლადძლიერ და მრისხანე არსებათა სახით იყო წარმოდგენილი. ლენინი წერდა, „...პირველყოფილი ადამიანი სრულიად დაბეჩავებული იყო არსებობის სიძნელით, ბუნებასთან ბრძოლის სიძნელით“.[2] გარდა ამისა მათ არაფერი იცოდნენ საკუთარი სხეულის აგებულების შესახებ, არ ესმოდათ, როგორ არსებობს და როგორ მუშაობს იგი, რა არის ძილი და სიზმარი, რით უნდა აიხსნას გონების დაკარგვა, რაში მდგომარეობს სხვადასხვა დაავადებათა არსი და, საერთოდ, რა არის სიცოცხლე და რა არის სიკვდილი.

როგორც ენგელსი აღნიშნავს, მას შემდეგ რაც ადამიანთა ცნობიერებაში ჩაისახა ე. წ. სულის არსებობის ცრურწმენა, იგი უნდა დაფიქრებულიყო სულის რაობაზე. და მართლაც, იმდროინდელი ადამიანი იმაზე ფიქრის დროს, თუ რას წარმოადგენდა სული მივიდა მცდარ დასკვნამდე, — თუ სული სიკვდილის დროს სხეულს ეთიშება და სიცოცხლეს განაგრძობს, საჭირო აღარ არის მისთვის განსაკუთრებული სიკვდილის გამოგონება; ასე წარმოიშვა წარმოდგენა სულის უკვდავებაზე. სულის არსებობის რწმენა დამახასიათებელია ყველა ძველი და თანამედროვე რელიგიისათვის. თვით ღმერთის რწმენა წარმოშობილია სულის არსებობის რწმენის საფუძველზე.

პირველყოფილი ანიმიზმი რელიგიისა და ფილოსოფიური იდეალიზმის საფუძველს წარმოადგენდა, რომელზეც აღმოცენდა და თანდა-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 414.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 128.

თანობით განვითარდა რელიგიური ცრურწმენები და ფილოსოფიური იდეალიზმის ცრუმეცნიერული დებულებები.

სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ რელიგიური შეხედულებები შემდეგში მდგომარეობს: ადამიანს ორმაგი ბუნება აქვს და ორ სხვადასხვა არსებას მოიცავს — მოკვდავ, ხრწნად სხეულსა და უკვდავ ღვთიურ სულს. ადამიანის სხეულში ღვთაებრივი საწყისი — სული, მხოლოდ იმის წყალობით ცოცხლობს, რომ მასში ღვთაებრივი სული არსებობს. თუ სხეულში სულია, მაშასადამე, სიცოცხლეც არის, ხოლო თუ მასში არ არის სული, მაშასადამე, არც სიცოცხლეა. სული აძლევს ადამიანს სიცოცხლეს, ხოლო სიკვდილი კი სხეულისაგან სულის განთავისუფლებაა.

რელიგიის თვალსაზრისით, ცნობიერების მოვლენები: შეგრძნება, აზრი, სურვილი, ნებისყოფა და სხვა „სულიერი საწყისებია", ე. ი. არამატერიალური ფაქტორებია. რომლებიც დროებით იმყოფებიან ადამიანის ორგანიზმში. ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა რელიგიური შეხედულებანი სულის ადგილსამყოფელად ადამიანის სხეულის სხვადასხვა ადგილებს ასახელებენ. ერთნი ფიქრობენ, რომ სული იმყოფება სისხლში, მეორენი ირწმუნებიან, რომ სული გულშია, ხოლო მესამეთა აზრით მისი ადგილსამყოფელი თვალებშია და ა. შ.

სულის უკვდავების აღიარებიდან გამომდინარე რელიგია ამტკიცებს, რომ არსებობს „იმქვეყნიური" „საიქიო" ცხოვრება. ეს ცხოვრება ორგვარია: სამოთხისეული და ჯოჯოხეთისეული. ჯოჯოხეთი ქვესკნელში მოთავსებული საწამებელია, სადაც ღმერთი სამარადჟამოდ ათავსებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში „ცოდვაჩადენილ" ადამიანებს, ხოლო სამოთხე კი ზეცაში არსებული ნეტარსამყოფელია, სადაც ღმერთი იმ ადამიანებს განამწესებს, ვისაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში „ცოდვა" არ ჩაუდენიათ. ამიტომ ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების აზრს რელიგია სიკვდილისათვის მზადებაში ხედავს და ადამიანთა სულებს „ამზადებს" სიკვდილის შემდეგ სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მარადიული ცხოვრებისათვის.

რელიგიური მოძღვრება იმქვეყნიური საიქიო ცხოვრების შესახებ, სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ ერთ-ერთი ძირითადი რელიგიური დოგმაა. რელიგიური მოძღვრების მიხედვით თუ მორწმუნე ეკლესიის ყველა დოგმას ასრულებს, მას სიკვდილის შემდეგ ბედნიერი და ნეტარი „იმქვეყნიური" ცხოვრება — სამოთხე მოელის. სახარებაში იოანესაგან (თავი 8.51) ნათქვამია: „უკეთუ ვინმე სიტყუაი ჩემი დაიმარხოს, სიკვდილი არა იხილოს უკუნისამდე". და პირიქით, თუ ადამიანი ამქვეყნად არ ასრულებს რელიგიურ ადათ-წესებს, არ აღიარებს

მის დოგმებს, არ იჩენს სათანადო მორჩილებასა და გულმოდგინებას, მაშინ მას „იმქვეყნად“ უსაშინელესი ტანჯვა — ჯოჯოხეთი, გეენა მოელის. ამის შესახებ სახარებაში სწერია: „ვითარცა იგი შეჰკრბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაჰსწვან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა... რამუთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი, და მოქმედნი ურჯულოებისანი... და შესძრან იგინი საკმლისა მას ცეცხლისასა; მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“. (სახარება მათესაგან, თავი 13. 40—42).

რადგან სიცოცხლე არამატერიალური, „ზებუნებრივი“, ღვთაებრივი საწყისის არსებობის შედეგი, ხოლო სიკვდილი კი ღვთაებრივი საწყისის ნეშტისაგან განშორების საიდუმლო აქტი, ამიტომ რელიგიური მოძღვრების თანახმად, სიცოცხლისა და სიკვდილის არსება საიდუმლოებით არის მოცული და მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის. მაშასადამე, რელიგიური მოძღვრების თანახმად, სიცოცხლე ღმერთთან არის დაკავშირებული, იგი ღმერთის „წყალობაა“, ღმერთის ძალით არის წარმოშობილი და ბუნებაში არსებული ყველა მრავალფეროვანი ცოცხალი არსებაც ღმერთის მიერ არის შექმნილი.

თავდაპირველად, სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობაზე უსისტემოდ გაბნეული მრავალი ლეგენდა არსებობდა. ასე მაგალითად, უძველესი დროის პირველყოფილ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ პირველი ადამიანები მთვარიდან ჩამოცვივდნენ მიწაზე. სხვა ლეგენდის მიხედვით, თითქოს რაღაც შეთევზის მსგავსმა სულმა ისინი ზღვის ფსკერიდან ამოიყვანა თევზებივით. ზოგიერთები კი ფიქრობდნენ, რომ ადამიანი თავისთავად ამოძვრა დედამიწიდან დიდი წვიმების შემდეგ, ზოგის აზრით, ისინი ნაყოფივით პირდაპირ ხეებზე ამოიზარდნენ, ზოგიერთი ლეგენდა კი ამტკიცებდა, რომ ადამიანები კვერცხიდან გამოიჩეკნენ და ა. შ.

გარდამავალ საფეხურს, სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობაზე, მითიურ ზღაპარ-ლეგენდებიდან რელიგიურ მოძღვრებაში ჩამოყალიბებულ ვერსიებამდე, წარმოადგენს სხვა და სხვა ხალხში გავრცელებული თქმულებები ადამიანის თიხისაგან გამოძერწვის შესახებ. თიხისაგან ადამიანის შექმნის მითი მთელ დედამიწაზე გავრცელდა და იგი ყოველმა რელიგიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ამ მითზე დაყრდნობით რელიგიური მოძღვრება ადამიანებს არწმუნებდა, რომ ისინი „მიწის შვილები“ და „არარანი“ არიან ღმერთებთან და ამ ქვეყნად ღმერთების მიერვე დაწესებულ წეს-კანონებთან შედარებით.

„დაბადების“, „ბიბლიის“, ძველ იუდეველთა და ქრისტიანთა საღმრთო წიგნის, მიხედვით დაახლოებით 7.500 წლის წინათ ღმერთმა ექვსი დღის განმავლობაში შექმნა სამყარო, მცენარეები, ცხოველები

და ადამიანი. პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა; მეორე დღეს — ცის თაღი; მესამე დღეს — გამოყო რა წყალი ხმელეთისაგან, ღმერთმა დაიწყო ხმელეთის გალამაზება, წარმოშვა მცენარეულობა; მეოთხე დღეს შექმნილი იქნა მნათობები: მზე, მთვარე და ვარსკვლავები; მეხუთე დღეს შექმნა ქვეწარმავლები და ფრინველები; მეექვსე დღეს — ცხოველები და ადამიანი, ხოლო მეშვიდე დღეს კი ასეთი „დიდი და დამქანცავი შრომის“ შემდეგ „დაღლილი“ ღმერთი ისვენებდა.

თვით „ბიბლია“ თავისსავე ტექსტში იმდენ წინააღმდეგობებს შეიცავს, რომ სხვა არგუმენტების მოშველიების გარეშეც თავისთავად ცხადი ხდება მისი მცდარობა და უბადრუკობა.

ასე მაგალითად, თუ „ბიბლიის“ ერთ ადგილზე ზემოაღწერილი სურათია გადმოცემული, მეორე ადგილზე ნათქვამია, რომ ღმერთმა ერთდროულად კი არ შექმნა მამაკაციცა და დედაკაციც, არამედ ჯერ თიხისაგან გამოძერწა პირველი მამაკაცი — ადამი, შთაბერა მას სული და გააცოცხლა იგი. შემდეგ კი დააძინა, გამოუღო ნეკნი, შთაბერა სული და შეუქმნა მას მეუღლე, პირველი დედაკაცი — ევა და თითქოს ამის შემდეგ მათგან წარმოიშვა მთელი კაცობრიობა.

მივმართოთ თვით საღვთო წიგნს — „დაბადებას“ („ბიბლიას“). ამ წიგნის პირველი ნაწილის პირველსა და მეორე თავებში გადმოცემული ამბები ადამიანის შექმნის შესახებ აბსოლუტურად არ შეესაბამება ერთი-მეორეს. ასე მაგალითად, თუ პირველ თავში ნათქვამია, რომ ადამიანი შეიქმნა „ღმერთის სიტყვის“ ანუ ღმერთის ნება-სურვილის მიხედვით სამყაროს გაჩენიდან მეექვსე დღეს: „... და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თავისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად. შექმნა იგინი და აკურთხა იგინი ღმერთმან... და იყო მწუხრი, და იქნა განთიად, დღე მეექუსე“,[1] სამაგიეროდ ამავე წიგნის, ამავე ნაწილის მომდევნო თავში კი საწინააღმდეგო აზრია განვითარებული, სახელდობრ, ღმერთმა ადამიანი შექმნა არა მეექვსე დღეს, არამედ სამყაროს გაჩენისთანავეო: „... და ყოველი ველისა პირველ, ვიდრე აღმოცენებად... შექმნა ღმერთმან კაცი... და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა, და იქმნა კაცი სულად ცხოველად“.[2]

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

უფრო მეტიც, მე-17 საუკუნეში მცხოვრებმა ინგლისელმა მღვდელმა, მეცნიერის წამოსასხამით შენიღბულმა ხუცესმა ჯონ ლაიტფუტმა, კიდევ უფრო „დააკონკრეტა“ საღვთო წიგნის დებულებანი სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის შესახებ. მან „გამოთანგარიშა“,

---

[1] „დაბადება“, ნაწილი პირველი, წიგნი პირველი, თავი ა, გვ. 3. 1884.

[2] იქვე, თავი ბ.

რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა ძველი წელთაღრიცხვით 5004 წლის 23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე.

ასეთია რელიგიური მსოფლმხედველობის კრედო სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის არსისა და ბუნების შესახებ.

გასარკვევ საკითხში რელიგიურ შეხედულებებს უპირისპირდება და აქარწყლებს მეცნიერული შეხედულებანი. მეცნიერება საუკუნეების განმავლობაში მძლავრად უტევდა და ზედიზედ აცამტვერებდა რელიგიური მითებით „გამაგრებულ ზღუდეებს". მეცნიერების განვითარების ისტორია არის რელიგიურ-იდეალისტურ მსოფლმხედველობასთან მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ბრძოლის ისტორია, რასაც გარდუვალად მივყავართ მეცნიერების გამარჯვებასა და რელიგიის დამარცხებამდე ყველა სადავო საკითხში.

როგორც დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, ს ი ც ო ც ხ ლ ე ა რ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი თ ვ ი თ-გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა. ცოცხალ ორგანიზმში განუწყვეტლივ მიმდინარეობს წარმოქმნისა და მოსპობის, ახლის წარმოშობისა და დაღუპვის, სიცოცხლისა და სიკვდილის პროცესები. ენგელსი წერდა: „...სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვითონ სიცოცხლეშია, ასე რომ სიცოცხლე ყოველთვის იაზრება ამ თავის აუცილებელს შედეგთან, სიკვდილთან მიმართებაში, რომელიც მასში მუდამ არის ჩანასახის სახით. სიცოცხლის დიალექტიკური გაგება მეტი სხვა არაფერია და ვინც ეს ერთხელაც არის უკვე გაიგო, მისთვის ყოველგვარი ლაპარაკი სულის უკვდავებაზე თავიდან აცილებულია".[1]

ამრიგად, მეცნიერება აბათილებს და უარყოფს რელიგიურ შეხედულებას იმის შესახებ, თითქოს სიცოცხლე და სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირებაა, თითქოს ისინი ურთიერთს გამორიცხავენ, თითქოს ასე დგას საკითხი: ან სიცოცხლე ან სიკვდილი. მეცნიერება საკითხისადმი რეალური მიდგომით, ფაქტებზე დაყრდნობით და მოპოვებული მასალის მართებული გაანალიზებით ადასტურებს, რომ რელიგიური შეხედულება სიცოცხლესა და სიკვდილზე ყალბი და არასწორი შეხედულებაა, რომელიც სიცოცხლის განვითარების კანონების არცოდნას ემყარება.

სინამდვილეში ჩვენ, ადამიანები სწორედ იმიტომ ვარსებობთ და ვცოცხლობთ, რომ ჩვენში განუწყვეტლივ რაღაც კვდება და იცვლება ახლით, ხოლო ახალშობილი კი, თავის მხრივ, განვითარების გზით საკუთარი დაღუპვისაკენ მიისწრაფვის. ეს გასაგებია, რადგან ყოველი

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 305.

ახალი: ვითარდება, თანდათანობით დრომოჭმული ხდება, ბოლოს კი იღუპება — ქრება და ახლით იცვლება. „სიცოცხლე, — ამბობდა ენგელსი — სიკვდილს გულისხმობს", ე. ი. რამდენადაც ჩვენში ხდება ძველის შეცვლა ახლით, დრომოჭმულის კვდომა, იმდენად შესაძლებელია თვითგანახლება, შესაძლებელია თვით სიცოცხლეც.

ორგანიზმი მხოლოდ იმდენად არის ცოცხალი და ნორმალურად ასრულებს თავის ფუნქციებს, რამდენადაც არსებობს მისი უმნიშვნელოვანესი ორგანოების — სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მომნელებელი და სხვა ორგანოების შეთანხმებული მოქმედება. ორგანიზმი მანამდე ცოცხლობს და არსებობს, სანამდე არ დარღვეულა კავშირი სხეულის უმნიშვნელოვანეს ორგანოებსა და ნაწილებს შორის და სანამდე ეს კავშირი ხორციელდება მთელი ორგანიზმის ინტერესებისათვის. მაშასადამე, სიკვდილი სხეულისაგან სულის განშორების შედეგი კი არ არის, არამედ იგი ორგანიზმის ცალკეული ორგანოებისა და ნაწილების შინაგანი, ურთიერთკავშირის ძირეული დარღვევიდან გამომდინარეობს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანის ყველა ან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ორგანო თუ ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, ისინი მთელი და დაუზიანებელნი არიან, მაგრამ რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო მათ შორის ურთიერთკავშირი დარღვეულია, ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციებს ვეღარ ასრულებენ და ამიტომ მთელ ორგანიზმს ცხოველმოქმედების ნიშნები არა აქვს. მსგავსი შემთხვევები — სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გარდამავალი მდგომარეობაა, მათ რიცხვს მიეკუთვნებიან, მაგალითად ადამიანი, რომელიც წყალში იხრჩობოდა, მაღალი ძაბვის ელექტროდენით ახლად დაშავებული ადამიანი, ადამიანი სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვისას და ა. შ.

სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გარდამავალ მდგომარეობას ზოგჯერ „ფარულ სიცოცხლეს", ზოგჯერ კი კლინიკურ სიკვდილს უწოდებენ.

„ფარული სიცოცხლე" ანუ კლინიკური სიკვდილი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მართალია მთელი ორგანიზმი და მისი ცალკეული ნაწილები კვლავ ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას, მაგრამ ცხოველმოქმედების არსებითი ნიშნების: გულისცემის, სუნთქვის, კანისა და კუნთების რეფლექსების დადგენა უკვე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, თუ არ განახლდა ტვინის უჯრედებში ჟანგბადის მიწოდება, იქ ხდება დაშლის შეუქცევი პროცესი, რაც ტვინის ფუნქციის დაკარგვის გარდუვალი ნიშანია. ტვინის დაღუპვას კი თან სდევს თანამიმდევრული კვდომის პროცესი —

სხვადასხვა ჯგუფის ქსოვილების რღვევა, რასაც თავის მხრივ სიკვდილი მოჰყვება. ხოლო თუ უაწრაფესი და ეფექტური სამედიცინო ჩარევა მოხდა. მაშინ სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე მყოფ ადამიანს კვლავ უბრუნდება სიცოცხლე. და მართლაც, როგორც ყველამ იცის, უამრავი მაგალითები არსებობს. დაღრჩობის პირად მისულ, ელექტროდენით ახლად დაშავებულ, თუ სისხლის დიდი რაოდენობით დაშკარგავ ადამიანთა „კვლავ გაცოცხლებისა“.

ამრიგად ცხადი ხდება, რომ არაფერი ზებუნებრივი არაა სასიცოცხლო მოვლენებში. სიცოცხლის ფორმებისა და კანონების მრავალგვარობის მიუხედავად, არავითარი საიდუმლო და შეუცნობელი ძალები სიცოცხლესა და სიკვდილში არ არის და არც შეიძლება არსებობდეს.

მაშასადამე. სიცოცხლის არსი ორგანიზმის თვითგანახლებაში მდგომარეობს და იგი (ე. ი. სიცოცხლე) თავისი ბუნებით მატერიალურია.

მართალია, ათეიზმის ფილოსოფიური საფუძველი დიალექტიკური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სიცოცხლე თავისი ბუნებით მატერიალურია მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ყოველი მატერია სიცოცხლის მატარებელი იყოს. არაორგანულ მატერიას სიცოცხლე არ ახასიათებს, იგი მხოლოდ ორგანული სამყაროს კუთვნილებაა. ამავე დროს აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორგანულ და არაორგანულ სამყაროებს შორის გადაულახავი ზღვარი არ არსებობს. ორგანული მატერია მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნით — სიცოცხლისუნარიანობით, არაორგანული, არაცოცხალი მატერიის განვითარებას წარმოადგენს, მისი უფრო მაღალი, თვისებრივად ახალი ფორმაა. ეს დებულება მატერიალისტური მეცნიერების უძირითადესი და უნივერსალური პრინციპიდან — განვითარების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმად განვითარება, როგორც ორგანული, ასევე არაორგანული მატერიის საყოველთაო ნიშანია.

სიცოცხლე, როგორც მატერიის არსებობის ფორმა, მატერიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნა. მაგრამ როდის და როგორ წარმოიქმნა სიცოცხლე? აი კითხვა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს პასუხის გაცემას. ეს კითხვა და საერთოდ სიცოცხლის წარმოქმნის პრობლემა ყოველთვის იპყრობდა როგორც იდეალისტთა, ასევე მატერიალისტთა ყურადღებას, მაგრამ, მარქსამდელ ფილოსოფიაში და ბუნებისმეტყველებაში არათუ გადაწყვეტილი იყო სიცოცხლის წარმოქმნის საკითხი, არამედ მისი გადაწყვეტისათვის სწორი გზაც კი არ იყო დასახული.

სიცოცხლის წარმოქმნის შესახებ, მარქსამდელ ბუნებისმეტყველე-

ბაში გავრცელებულ ჰიპოთეზათა შორის უმთავრესია ორი ჰიპოთეზა: ერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ უპირველესი და უმარტივესი ცოცხალი არსებანი გაჩნდნენ თავისთავად, ისინი თვითჩაისახენ უშუალოდ გარემომცველი ბუნების უსიცოცხლო, არაორგანულ ნივთიერებათაგან, ხოლო მეორე ჰიპოთეზის მიხედვით პირველი ცოცხალი არსებანი დედამიწაზე მოხვდნენ სხვიდანღაც გარედან და დასახლდნენ მასზე მას შემდეგ, რაც ჩვენს პლანეტაზე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სიცოცხლისათვის.

პირველი ჰიპოთეზა უფრო ძველია, ვიდრე მეორე. მან საუკუნეებს. გაუძლო და დღესაც კი ზოგიერთი უცოდინარი და გაუნათლებელი ადამიანი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ჭიები თავისთავად ჩნდება ნაკელში ან დამპალ ხორცში, სხვადასხვა პარაზიტები კი სიბინძურიდან წარმოიშობიან.

ცოცხალი არსების თვითჩასახვის ჰიპოთეზა გარემომცველ ბუნებაზე მეტად პრიმიტიული და ზედაპირული დაკვირვების შედეგად წარმოიშვა. მან მეცნიერებაში კიდევ უფრო მეტად მოიკიდა ფეხი მას შემდეგ, რაც მე-17 საუკუნეში ინგლისელმა მეცნიერმა ლევენჰუკმა მის მიერვე დამზადებული გამადიდებელი შუშების დახმარებით აღმოაჩინა უმარტივეს ცოცხალ არსებათა, ბაქტერიების უმცირესი მიკროორგანიზმების ანუ მიკრობების მანამდე უხილავი სამყარო. ლევენჰუკისა და მისი მრავალრიცხოვანი წამბაძველების მიერ დაყენებული ცდები ყოველთვის ერთიდა იგივე შედეგით მთავრდებოდა. სახელდობრ, საკმარისი იყო მცირე ხნით თბილ ადგილას დაედვათ სწრაფფუჭებადი და ადვილად ლპობადი ნივთიერება, რომ მასში იმწამსვე გაჩენილიყვნენ მიკროორგანიზმები, რომლებიც წინათ იქ არ ყოფილან. ამიტომ ცდის ჩამტარებლებს, ერთი შეხედვით ბუნებრივად, ეგონებოდათ აზრი, რომ მიკროორგანიზმები თავისთავად, თვითჩასახვის წესით ჩნდებოდნენ ლპობის პროცესში მყოფ ნივთიერებებში. საქმე იმაშია, რომ ზერელე დამკვირვებლებს მხედველობის გარეშე რჩებოდათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ: მწერები და სხვადასხვა პარაზიტები ხშირად დებენ თავიანთ კვერცხებს სიბინძურესა და ლპობის პროცესში მყოფ ნივთიერებებში. სწორედ ამ კვერცხებიდან ვითარდება ცოცხალ არსებათა ახალი თაობა.

ლევენჰუკელთა შეხედულება გავრცელებული იყო მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე, ვიდრე ეგი უარყოფილი არ იქნა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის ცდებით. პასტერმა დამტკიცა, რომ: ჯერ ერთი, მიკროორგანიზმები მეტად ფართოდ არიან გავრცელებულნი ჩვენს გარემომცველ ბუნებაში, და მეორე, რომ მათ

არაჩვეულებრივად სწრაფი გამრავლების უნარი აქვთ. პასტერმა ლპობად ნივთიერებებში მიკროორგანიზმების გაჩენა ახსნა არა იმით, რომ ისინი იქ თავისთავად ჩნდებიან. არამედ იმით, რომ ამ ნივთიერებებში სხვადასხვა გზით ხვდებიან მიკროორგანიზმები. ეს რომ მართლაც ასეა, ამას გვიდასტურებს შემდეგი ცდა. თუ ჭურჭელში მოთავსებულ სითხეს კარგად ავადუღებთ და შემდეგ კი ჰერმეტიულად დავხურავთ, მაშინ სითხეში მიკროორგანიზმები არ გაჩნდებიან და არც მისი ლპობა დაიწყება.

ამგვარად, პასტერმა უარყო შეხედულება, თითქოს ლპობის პროცესში მყოფი ნივთიერებები წარმოშობენ მიკროორგანიზმებს. პირიქით, მან ეჭვმიუტანლად დაადასტურა, რომ თვით ამ ნივთიერებების ლპობაა გამოწვეული გარედან რაღაც გზით მოხვედრილი მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედებით. და ამდენად ნათელი გახადა, რომ უმარტივესი ცოცხალი არსებანი (მიკროორგანიზმები, ბაქტერიები და სხვა) წარმოიშვებიან არა თავისთავად, არამედ მხოლოდ მათივე მსგავსი ცოცხალი არსებიდან. პასტერის ამ დასკვნამ ლახვარი ჩასცა რელიგიურ და იდეალისტურ შეხედულებებს სიცოცხლის წარმოქმნის შესახებ. ენგელსი წერდა: „სისულელეა ადამიანი შეეცადოს ახსნას თუნდაც ერთადერთი უჯრედის წარმოშობა პირდაპირ მკვდარი მატერიიდან და არა უსტრუქტურო ცოცხალი ცილიდან, და წარმოიდგინოს, თითქოს შეიძლებოდეს აიძულონ ბუნება მცირეოდენი აშმორებული წყლის საშუალებით 24 საათის განმავლობაში შექმნას ის, რაზეც მას ათასეული წლები დასჭირდა“.[1]

უფრო გვიანი ხანისაა და უფრო მეტად გავრცელებულია მეორე ჰიპოთეზა, ე. წ. სიცოცხლის მარადიულობის ჰიპოთეზა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ ჰიპოთეზის გავრცელებას ხელი შეუწყვეს პასტერის ცდებმა. პასტერის ცდების შემდეგ ზოგიერთები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ცოცხალი არსებანი საერთოდ არასოდეს და არავითარ პირობებში არ წარმოიშვებიან სხვანაირად, თუ არა დაბადების გზით. და თუ ეს ასეა, მაშინ სიცოცხლეს არ ჰქონია დასაბამი — იგი მარად უნდა არსებულიყო.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დედამიწა მარადიული არ არის, ამიტომ მასზე არც შეიძლებოდა მარადიულად არსებულიყო სიცოცხლე. ამ ჰიპოთეზის მომხრეთა აზრით, სამაგიეროდ შეიძლებოდა დედამიწაზე სიცოცხლე გავრცელებულიყო სამყაროს სივრცეში მოხეტიალე უამრავი სასიცოცხლო თესლისა და ჩანასახის მეშვეობით. ისინი ასე მსჯელობდნენ: უსაზღვრო სამყაროში, ეჭვს გარეშეა, არიან სხვა ციუ-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 314.

რი სხეულებიც, სადაც ცოცხალი არსებანი არსებობდნენ და ვითარდებოდნენ ჩვენი პლანეტის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე. სიცოცხლის უმცირესი მარცვლები, მიკროორგანიზმთა ჩანასახები ამ ციურ სხეულთა ზედაპირიდან რაღაც გზებით მიჰქროდნენ ვარსკვლავთშორისო სივრცეში და ამიტომ შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ დედამიწაზეც. ამ ჰიპოთეზის ერთერთი მიმდევარი ჰელმჰოლტი წერდა, რომ „რაკილა ყველა ჩვენი ცდა — შეექმნათ ორგანიზმები უსიცოცხლო ნივთიერებებიდან — მარცხით მთავრდება, ამიტომ მე მგონია სავსებით სწორად მოვიქცევით, თუ ჩვენს თავს ვკითხავთ: შექმნილა კი საერთოდ სიცოცხლე ოდესმე, ისეთივე ხნიერი ხომ არაა იგი, როგორც მატერია, და ხომ არ გადადის მისი ჩანასახები სამყაროს ერთი სხეულიდან მეორეზე, განვითარდნენ რა ყველგან, სადაც კი ხელშემწყობი ნიადაგი ჰპოვეს!"[1]

ეს ჰიპოთეზაც, ისევე როგორც პირველი ჰიპოთეზა იდეალისტურია და ვერავითარ მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ ამ ჰიპოთეზაში განვითარებულ შეხედულებას ვიწამებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ სადღაც უსაზღვრო სამყაროს რომელიღაც ნაწილში არსებობს მარადიული ციური სხეული და მასზე არსებობს მარადიული სიცოცხლე. ჩვენ კი ვიცით, რომ გარემომცველ ბუნებაში არაფერი არ არსებობს მარადიული, გარდა მარად მოძრავი, დაშლა-განახლებასა და განვითარებაში მყოფი მატერიისა. გარდა ამისა, მეცნიერების უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ამჟამად ცნობილია, რომ სამყაროს სივრცეს სქვალავს განსაკუთრებული სინათლე, ე. წ. მოკლეტალღოვანი ულტრაიისფერი სხივებით. ეს სხივები ვერ აღწევენ დედამიწამდე, რადგან მისი ზედაპირიდან 30 კილომეტრის სიმაღლეზე მათ ნთქავს ატმოსფეროში მყოფი გაზი — ოზონი. როდესაც ეს სხივები მეცნიერებმა ხელოვნური გზით მიიღეს, აღმოჩნდა, რომ ისინი სპობენ ყოველივე ცოცხალს. ცხადია, რომ სიცოცხლის ყოველგვარი ჩანასახი, რომელიც სამყაროში „მოგზაურობის" დროს, ამ სხივების მოქმედების არეში მოხვდება, მაშინვე დაიღუპება. მაშასადამე, ვერავითარი სიცოცხლისუნარიანი ჩანასახები დედამიწაზე ვერასოდეს ვერ მოატანდნენ.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, მივდივართ შემდეგ ლოგიკურ დასკვნამდე: სიცოცხლის წარმოქმნის შესახებ, ზემოაღნიშნული ორივე იდეალისტურ-რელიგიური ჰიპოთეზა და შათ მიერ ნაჩვენები გზა მცდარი და ამდენად მიუღებელია. თანმიმდევრულ, მეცნიერულ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობას სიცოცხლის წარმოქმნის სა-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 315.

კითხის გადაწყვეტაში მხოლოდ ერთი გზის მიღება შეუძლია. ეს გზა მატერიის ვანვითარების აღიარებაში მდგომარეობს. იმ უტყუარი ჰეშმარიტების აღიარებაში, რომ ცოცხალი წარმოიშვა არაცოცხალისაგან მატერიის ხანგრძლივი, რთული და მრავალგვარი გარდაქმნების შედეგად, რომლებმაც ბოლოს მიგვიყვანეს დედამიწაზე ცილის ტიპის ნივთიერების წარმოშობამდე. ცილა კი სიცოცხლის მატარებელია.

ენგელსი აღნიშნავდა, რომ „სიცოცხლე არის ცილოვანი სხეულების არსებობის წესი და არსებობის ეს წესი არსებითად ამ სხეულების ქიმიური შემადგენელი ნაწილების მუდმივ თვითგანახლებაში მდგომარეობს“.[1]

დედამიწაზე სიცოცხლე ერთბაშად არ წარმოქმნილა. თვით უმარტივესი ცოცხალი არსებანიც იმდენად რთული აგებულების არიან, იმდენად რთულია მათი შემადგენლობა, რომ შეუძლებელი იყო მათი ერთბაშად წარმოქმნა. ლენინი წერდა: „ბუნებისმეტყველება დადებითად ამტკიცებს, რომ დედამიწა ყოფილა ისეთ მდგომარეობაში, როცა მასზე არ არსებობდა არც ადამიანი და საერთოდ არც სხვა რაიმე ცოცხალი არსება და შეუძლებელიც იყო არსებულიყო. ორგანული მატერია უგვიანესი მოვლენაა, ხანგრძლივი განვითარების ნაყოფია...“[2]

მიუხედავად იმისა, რომ არაორგანულ მატერიასა და ორგანულ მატერიას შორის მჭიდრო კავშირი და ერთიანობა არსებობს, მაინც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არაორგანული ბუნება და ორგანული ბუნება ერთიანი მატერიალური სამყაროს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მხარეებია, რომელთაც თვისობრივად სხვადასხვა კანონზომიერებანი გააჩნიათ.

იმ ნივთიერებებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალ არსებათა: ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმებში შედიან, ორგანულ ნივთიერებებს უწოდებენ, ხოლო არაცოცხალ, უსულო საგნებში შემავალმა ნივთიერებებმა კი არაორგანულ ნივთიერებათა სახელწოდება მიიღეს. რით განსხვავდებიან ორგანული ნივთიერებანი არაორგანული ნივთიერებებისაგან? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ორგანულ ნივთიერებებს საფუძვლად უდევს ელემენტი ნახშირბადი. მართალია ეს ელემენტები არაორგანულ ნივთიერებებშიც შედის, მაგრამ მათში იგი სუფთა, თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფება. ორგანულ ნივთიერებებში კი იგი შეერთებულია

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 96.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 82.

სხვა ელემენტებთან: წყალბადთან, ჟანგბადთან, აზოტთან, გოგირდთან, ფოსფორთან და ა. შ. რომლებთანაც ნაირგვარ ნაერთებს ქმნის. ორგანულ ნივთიერებებში არაორგანული ნივთიერებებისაგან განსხვავებით ამ ქიმიურ ელემენტთა შეერთების წესი და მათი ურთიერთობა გაცილებით უფრო რთულია.

სიცოცხლის წარმოქმნის შესახებ მეცნიერული შეხედულება ჩამოყალიბა გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ა. ოპარინმა. იგი მატერიის განვითარებას სამ ეტაპად ჰყოფს და იძლევა არაორგანული მატერიიდან ორგანული მატერიის წარმოქმნის მართებული სურათს.

პირველ ეტაპზე ხდება იმ ორგანული ნივთიერებების აღმოცენება, რომლებისგანაც ძირითადად აგებულია ყველა ცოცხალი არსების ორგანიზმი. ცოცხალი არსებისათვის კი დამახასიათებელია არა მხოლოდ ნახშირბადი, არამედ ისეთი ნივთიერებები, რომლებიც წარმოებული არიან ნახშირწყალბადებისაგან, ე. ი. ნახშირბადისა და წყალბადის ნაერთებისაგან. მაშასადამე, სწორედ ამ ეტაპზე ხდება არაორგანული ნივთიერებიდან — ნახშირბადიდან, უმარტივესი ორგანული ნივთიერების — ნახშირწყლების წარმოშობა.

მატერიის განვითარების მეორე ეტაპზე ნახშირწყალბადებისაგან აღმოცენდება ცოცხალი უჯრედის ძირითადი მასალა ცილა და სხვა მისი მსგავსი რთული ორგანული ნაერთები.

მესამე, დამაგვირგვინებელ ეტაპზე კი რთული ორგანული ნივთიერებანი ქმნიან ისეთი სახის სისტემებს, რომლებსაც უკვე შეიძლება ეწოდოთ უმარტივესი ცოცხალი არსებანი.

ღმერთის მიერ სიცოცხლის გაჩენის შესახებ ბიბლიური მოძღვრების დასაცავად ღვთისმეტყველები და იდეალისტები ეყრდნობოდნენ იმას, რომ ამ უკანასკნელ ხანებამდე მეცნიერებამ არ იცოდა, თუ როგორ წარმოიქმნებოდნენ ორგანული შენაერთები, ე. ი. როგორ ხდებოდა ნახშირბადის შეერთება წყალბადთან და სხვა ნივთიერებებთან. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ნახშირწყალბადს არ შეუძლია ბუნებრივად წარმოშობაო.

თანამედროვე მეცნიერება კი ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ ნახშირწყალბადი (მეთანი CH_4) შეიძლება წარმოიქმნას ცოცხალი არსებისაგან დამოუკიდებლადაც, ბუნებრივი გზით. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტები: ჯერ ერთი, სპექტრული ანალიზის საშუალებით დადგენილი იქნა, რომ ნახშირწყალბადი არის მზეზეც და იუპიტერზეც მიუხედავად იმისა, რომ არც გავარვარებულ მზეზე და არც ცივ იუპიტერზე სიცოცხლე არ შეიძლება არსებობდეს. გარდა ამისა თვითმყოფადი ნახშირწყალბადი აღმოჩენილია აგრეთვე

დედამიწაზეც. ფართოდაა ცნობილი ნახშირბადის ისეთი არაორგანული შენაერთი, როგორიცაა კარბიდი (ნახშირბადისა და ლითონის ნაერთი), რომელიც წყალთან ურთიერთმოქმედების დროს იძლევა ნახშირწყალბადს.

ეს ფაქტები ნებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ნახშირბადის პირველსაწყისი ძირითადი მასა, რომელიც შევიდა დედამიწის შედგენილობაში მისი ფორმირების დროს, იყო ნახშირბადის ლითონთან შეერთებით მიღებული ე. წ. ლითონის კარბიდი. დედამიწის ზედაპირზე ამოხეთქილი კარბიდები ატმოსფეროს წყლის ორთქლთან ურთიერთმოქმედების დროს წარმოქმნიდნენ ნახშირბადისა და წყალბადის ნაერთებს. ე. ი. ნახშირწყალბადებს და, მაშასადამე, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოქმნამდე გაცილებით უფრო ადრე კარბიდის წყალთან ურთიერთმოქმედებით ხდებოდა ნახშირწყალბადის დიდი რაოდენობით დაგროვება. თანდათანობით, ქიმიური პროცესების ბუნებრივი განვითარების შემდგომ მსვლელობაში მარტივი ნახშირწყალბადის მოლეკულები უფრო რთული ორგანული ნივთიერების მოლეკულებად ერთიანდებოდნენ. ამ პროცესს შემდეგი სახე ჰქონდა. ნახშირწყალბადები შეუერთდნენ წყლის ორთქლსა და უფრო მოგვიანებით აღმოცენებულ ამონიაკს, რომელიც აზოტისა და წყალბადის ნაერთს წარმოადგენს. ამ რეაქციის შედეგად წარმოიქმნა ნივთიერება, რომელიც ოთხი ელემენტისაგან: ნახშირბადის, ჟანგბადის, წყალბადისა და აზოტისაგან იყო აგებული. ასე მოხდა ცილის წარმოშობა.

ნათქვამის ნათელსაყოფად აღნიშნული პროცესი წარმოვიდგინოთ შებრუნებით.

ამჟამად ყველასათვის ცნობილია, რომ ყოველი ცოცხალი არსების, მათ შორის თვით უმარტივესი ცოცხალი არსების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ცილოვანი ნივთიერებანი. თუ ცილოვან ნივთიერებებს წყალხსნარებს შევურევთ, გამოიყოფიან უაღრესად მცირე, მაგრამ მიკროსკოპის საშუალებით მაინც ხილვადი, უწვრილესი წვეთები. ჰოლანდიელმა მეცნიერმა დე-იონგმა, რომელმაც პირველმა გამოიკვლია ეს მოვლენა, ამ წვეთებს „კოაცერვატები“ (ლათინური სიტყვიდან Coacervatus — შეკრებილი) უწოდა. მან გამოარკვია, რომ მათი წარმოქმნისას წყალში გახსნილი ნივთიერება თავს იყრის და ერთიანდება გარკვეულ წერტილებში და რომ წვეთების თხევადი მდგომარეობის მიუხედავად, ნივთიერების მოლეკულები უწესრიგოდ კი არ არიან გაფანტულნი (როგორც ეს საერთოდ ხსნარებში ხდება ხოლმე), არამედ გარკვეული წესით არიან ერთმანეთთან შეერთებულნი და წარმოადგენენ, თუმც რა თქმა უნდა მეტისმეტად მარტივი და არამდგრადი, მაგრამ მაინც ერთგვარი კანონზომიერი აღნაგობის, ერთ-

გვარი ორგანიზაციის პირველ ჩანასახს. ამ ჩანასახის წინა საფეხურს და, მაშასადამე, სიცოცხლის საწყის ფორმას კი ნახშირბადისა და წყლის ნაერთი ნახშირწყალბადი წარმოადგენს.

სიცოცხლის წარმოქმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კოაცერვატთა წვეთებს უნარი აქვთ გარემომცველი ხსნარიდან წარიტაცონ და თვით შეიმატონ სხვადასხვა ორგანული ნივთიერებანი, რის შედეგადაც კოაცერვატის თითოეულ წვეთს ხელსაყრელ პირობებში შეუძლია ზრდა მოცულობითა და წონით, ე. ი. მას შეუძლია ზრდა გარემომცველი ხსნარიდან ორგანულ ნივთიერებათა წარტაცების ხარჯზე. მაშასადამე, კოაცერვატული წვეთები ურთიერთმოქმედებენ გარემოსთან. კოაცერვატული წვეთებისა და გარემოს ურთიერთმოქმედების შედეგად, მიმდინარეობს როგორც შეერთების, ასევე დაშლის პროცესები. თუ დაშლის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, მაშინ წვეთი კარგავს ცხოველმყოფელობას და თუ შეერთების პროცესი მიმდინარეობს უფრო სწრაფად, მაშინ პირიქით, კოაცერვატული წვეთი იზრდება და სიცოცხლისუნარიანი ხდება. ერთი სიტყვით სწარმოებს ბუნებრივი შერჩევა. უფრო სუსტნი იღუპებიან, უფრო ძლიერნი კი რჩებიან. ცხადია, რომ ის წვეთები, რომელთა აღნაგობა უფრო იყო შეგუებული ორგანული ნივთიერებების წარტაცებისათვის, უფრო სწრაფად იზრდებოდნენ, სხვები კი ნაკლებ სრულყოფილი აღნაგობით, ჯერ ზრდაში ჩამორჩებოდნენ, შემდეგ კი სულ ჭრებოდნენ, მათში მოქცეული ორგანული ნივთიერებები კი კვლავ გარემომცველ ხსნარში გადადიოდნენ და მათ შთანთქავდნენ უფრო სრულყოფილი აღნაგობის მქონე წვეთები, რაც იწვევდა ამ უკანასკნელთა არა მხოლოდ მუდმივ რაოდენობით, მოცულობით და წონით გადიდებას, არამედ მათი აღნაგობის ხარისხის განუწყვეტელ გაუმჯობესებასაც, მათ სრულყოფას.

ამდაგვარად, მილიონი წლების მანძილზე ვითარდებოდა ცილის წვეთების აღნაგობა. იგი სულ უფრო რთული და სრულყოფილი ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს კი ცილის წვეთებმა ის მაღალი შეგუებულობა და ცხოველმოქმედების სირთულე შეიძინეს, რომელიც ცოცხალ არსებებს ახასიათებს.

ასე წარმოიქმნა სიცოცხლე.

ცილას ჯერ კიდევ არ ჰქონდა უჯრედის აგებულება, მაგრამ იგი ცოცხალი გახდა. ენგელსი მიგვითითებს, რომ ცოცხალი ნივთიერება იქაც კი არსებობს, სადაც ჯერ კიდევ არაა უჯრედი და, რომ უჯრედამდე არსებული ფორმები წინ უსწრებს ორგანიზმებს, რომელთაც უჯრედის აგებულება აქვთ. შემდგომში ცილოვანი სხეულების სტრუქტურა კიდევ უფრო რთულდებოდა, მათი აღნაგობა კიდევ უფრო

იხვეწებოდა, რის შედეგადაც უუჯრედო ცოცხალი ცილა ცოცხალ უჯრედად გადაიქცა.

აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი თავის საინტერესო ნაშრომში „სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე" არკვევს შემდეგ საკითხებს: „უნებლიედ იბადება კითხვა — რატომ არ წარმოიშვება სიცოცხლე ახლაც? რატომ არის, რომ ცოცხალი არსებანი ახლა თავისივე მსგავსი არსებებისაგან იბადებიან? პასუხი ამ კითხვაზე ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს. სიცოცხლე ამჟამად იმიტომ არ ჩნდება, რომ იგი უკვე გაჩნდა. სიცოცხლის წარმოქმნის პროცესი თავისი განხორციელებისათვის მოითხოვს დროის არაჩვეულებრივად დიდ შუალედებს, ახლა კი ყოველგვარ ორგანულ ბუნებრივ ნივთიერებას, იგი რომც წარმოქმნილიყო, ძლიერ სწრაფად მოსპობდნენ ბაქტერიები და სხვა მიკროორგანიზმები, რომლებიც ბინადრობენ ხმელეთზე, წყალში და ჰაერში. ამიტომ ეს ორგანული ნივთიერება ვერ შესძლებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცვლას, გარდაქმნას კოაცერვატებად და თავისი აღნაგობის სრულყოფას.

მაგრამ ჩვენ ლაბორატორიებში შეგვიძლია აღვადგინოთ სიცოცხლის წარმოშობის პროცესი და ხელოვნური გზით შევქმნათ ცოცხალი არსებანი? ამჟამად ეს ჯერ კიდევ შეუძლებელია, ვინაიდან საკმაოდ კარგად არ არის ცნობილი ყველაზე უმარტივესი ორგანიზმების შინაგანი ფაქიზი აგებულება. მაგრამ მომავალში მეცნიერება უთუოდ შესძლებს ამის განხორციელებას და ადამიანი ხელოვნური გზით შექმნის ცოცხალ არსებას".[1]

დედამიწაზე სიცოცხლე დაახლოებით 1500 მილიონი წლის წინათ ჩაისახა. თავდაპირველი უმარტივესი ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან ზოგიერთნი, გარეგან საარსებო პირობებისადმი ნაკლებად შეგუებულნი, იღუპებოდნენ. მეორენი, რომლებიც უფრო მაღალი საარსებო თვისებების გამო უფრო მეტად შეგუებულნი გამოდგნენ, გადარჩებოდნენ ხოლმე და თაეიანთ თვისებებს მემკვიდრეობით გადასცემდნენ ჩამომავალთ. ბუნებრივი შერჩევის თანახმად, სძლებდნენ და მრავლდებოდნენ ის ცოცხალი არსებანი, რომლებიც ყველაზე უფრო შეგუებულნი იყვნენ გარემომცველ ბუნებასთან. დროთა ვითარებაში იცვლებოდა თვით დედამიწა, მისი ნიადაგი, მისი ჰავა. მასთან ერთად კი იცვლებოდნენ, რთულდებოდნენ და ვითარდებოდნენ ცოცხალი ბუნების სახეობანი. მილიონობით წლები დასჭირდა უმარტივესი ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან უფრო რთული მრავალუჯრედიანი ორგანიზმების წარმოქმნას. იმდროინდელ მდინარეებსა და ტბებში,

---

[1] ა. ი. ოპარინი, სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე, სახელგამი, გვ. 25 — 26.

ზღვებსა და ოკეანეებში გაჩნდნენ წყლის ცხოველები, რომლებმაც შემდეგ დასაბამი მისცეს წყალხმელეთა ცხოველებს — ამფიბიებს. მათგან კი წარმოიშვნენ ქვეწარმავლები. ქვეწარმავლებისაგან, თავის მხრივ, წარმოიშვნენ ფრინველები და ძუძუმწოვრები, ხოლო ძუძუმწოვარ ცხოველთა შორის უმაღლეს, ყველაზე უფრო განვითარებულ ფორმას ადამიანი წარმოადგენს.

ყველა ზემოჩამოთვლილთ ხერხემალი გააჩნიათ, ამიტომ ისინი ერთი საერთო სახელით არიან ცნობილნი. მათ ხერხემლიანები ეწოდებათ. მაშასადამე, ხერხემლიან ცხოველთა განვითარების მთავარი საფეხურებია:

წყლის ცხოველები — თევზები,
წყალხმელეთა ცხოველები — ამფიბიები.
ქვეწარმავლები,
ფრინველები,
ძუძუმწოვრები,
ადამიანი.

ერთი შეხედვით შეიძლება ყოვლად წარმოუდგენლად მოგვეჩვენოს ის, რომ ადამიანსა და ისეთ ცხოველებს შორის, როგორიცაა მაგალითად: ვეშაპი, ბაყაყი, გველი, ბეღურა, სპილო, რაიმე საერთო არსებობდეს. მაგრამ ადამიანისა და ამ ცხოველების გულდასმით შედარებითი შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათ შორის უეჭვო და უდაო მსგავსება ფაქტია. ფაქტი კი, როგორც იტყვიან, ჯიუტია. და მართლაც, ყველა ზემოჩამოთვლილ ცხოველებს: აქვს ხერხემალი. ხერხემლიდან ორივე მხრივ გადის ნეკნები. ჩონჩხის ძვლები ერთმანეთთან შეერთებულია იოგებით. ძვლებზე მიმაგრებულია კუნთები. რომლებიც ორგანიზმის მამოძრავებელ სისტემას შეადგენენ. მათი სხეულები დასერილია სისხლძარღვებითა და ნერვებით. დაბოლოს, ყველა მათგანს აქვს დამცველი საფარველი — კანი. გარდა ამისა, ხერხემლიანები ერთიმეორეს ემსგავსებიან შინაგანი ორგანოების აგებულებითაც. მათ თითქმის ყველას აქვთ ფილტვები, გული და ელენთა. მათი საჭმლის მომნელებელი აპარატი შესდგება პირისა, საყლაპავი მილისა, კუჭისა. ნაწლავებისა, ღვიძლისა და ჯირკვლებისაგან, რომლებიც საკვების შესათვისებლად საჭირო წვენს გამოჰყოფენ. ყველა ხერხემლიანს აქვს (თუმც მეტნაკლებად განვითარებული) მხედველობის, ყნოსვისა და სმენის გრძნობა.

ევოლუციური განვითარების მეცნიერული მოძღვრება საკუთარი აქარწყლებს იდეალისტთა და ღვთისმეტყველთა დაუსაბუთებელ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ცოცხალი არსებანი შექმნილი არიან ღმერთების მიერ ერთბაშად და ერთხელ და სამუდამოდ უცვლელ

მდგომარეობაში იმყოფებიან. ამის შესახებ ენგელსი სწერდა, რომ იდეალისტთა და ღვთისმეტყველთათვის სამყარო „იყო რაღაც გაქვავებული, რაღაც უცვლელი, ხოლო უმეტესობისათვის — ერთი დაკვრით გაკეთებული რაღაც".[1] ამ დაუსაბუთებელი მტკიცების საწინააღმდეგოდ, ევოლუციური განვითარების მოძღვრება მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით ცხადად და გარკვევით ასაბუთებს, რომ ბუნებაში ყველაფერი მოძრავი და ცვალებადია. საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა ცოცხალ არსებათა სახეობანი. თუ მთელ რიგ თაობათა მანძილზე ეს ცვლილებანი არც ისე შესამჩნევია სამაგიეროდ, ათასეული წლების განმავლობაში განვითარებულნი, ბოლოს და ბოლოს ისინი იმდენად მნიშვნელოვანნი ხდებიან, რომ ახალ, მანამდე არ არსებულ სახეობათა წარმოშობას იწვევენ. ამავე დროს, მათი სხეულის აგებულება და ცხოვრების წესი გარემოს გარკვეული პირობების გავლენით ყალიბდებოდა. და რადგანაც, დედამიწაზე გარემოს პირობები მრავალგვარია, ამიტომ გარემოს სწორედ ამ მრავალგვარი პირობების გავლენითაა პირობადებული მრავალგვარ ცოცხალ არსებათა წარმოშობაც.

მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა ჟან ლამარკმა თავის ფუნდამენტალურ შრომაში „ზოოლოგიის ფილოსოფია" (1809 წ.) წამოაყენა ჰიპოთეზა ბუნებრივი პირობების თანდათანობითი ცვლილებისა და სიცოცხლის განუწყვეტლობის შესახებ დედამიწაზე. მან ამ შრომაში აშკარად და ნათლად გამოთქვა აზრი, რომ მაღალი განვითარების მქონე ორგანიზმები განვითარდნენ დაბალი განვითარების მქონე ორგანიზმებისაგან და, რომ განვითარების ამ კანონის ძალით მაიმუნები ადამიანთა შორეული წინაპრები უნდა იყვნენო. ლამარკი როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი არა მხოლოდ აღრიცხავდა და აღწერდა ფაქტებს, არამედ იკვლევდა მათ მიზეზებს და აყენებდა ფართო მოსაზრებებს ბუნების ცხოვრებისა და მისი მოვლენების შესახებ. ასეთი გზით იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მცენარეთა და ცხოველთა ნამარხი ფორმები წარმოადგენდნენ თანამედროვე ფორმათა წინაპრებს, მაგრამ მათგან განსხვავდებიან იმის გამო, რომ ცხოვრობდნენ სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში.

ჟან ლამარკის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ბრძოლა გამოუცხადა რელიგიურ-იდეალისტურ შეხედულებებს, დაასაბუთა ცოცხალ არსებათა უცვლელობაზე წარმოდგენების რეაქციული ბუნება და მოგვცა პირველი მწყობრი მოძღვრება ორგანული სამყაროს

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 12.

ჩ. დარვინი

ისტორიული განვითარების შესახებ. მის დროს მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაო ფაქტობრივი მასალა დაგროვილი, რათა შესძლებოდა ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების სრული და საკმაოდ ამომწურავი დასაბუთება, ამიტომ ჟან ლამარკს არ შეეძლო პასუხი გაეცა კითხვაზე: როგორ და რა გზით წარმოიშვებიან ცვლილებანი ორგანიზმში და აქედან გამომდინარე, როგორ და რა გზით წარმოიშვებიან ახალი სახეობანი და ჯიშები? ამ კითხვაზე პასუხი გასცა დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა ჩარლზ დარვინმა.

ჩარლზ დარვინის ბრწყინვალე მეცნიერულმა შრომებმა საბოლოოდ უკუაგდო წინათ გაბატონებული რელიგიურ-იდეალისტური რწმენა იმის შესახებ, რომ ცოცხალ არსებათა სახეობანი მუდმივნი და უცვლელნი არიან. მან თავისი ძირითადი შრომის სახელწოდებითაც კი — „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით“ — უარყო მცდარი იდეა სახეობათა შექმნის შესახებ. ამ შრომის შესავალში დარვინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბუნებისმეტყველი, რომელიც გულდასმით შეისწავლის ორგანიზმთა ურთიერთნათესაობის, გეოგრაფიული გავრცელების, გეოლოგიური თანმიმდევრობისა და მრავალ სხვა ამგვარ ფაქტს, მივა დასკვნამდე, რომ სახეობები ღმერთს კი არ შეუქმნია, არამედ ერთიმეორისაგან წარმოიქმნენ. „მაგრამ ასეთი კარგად დასაბუთებული დასკვნაც კი არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი მანამ, სანამ არ გამოირკვეოდა ის, თუ რატომ იცვლებოდნენ დედა-

მიწის ზურგზე მოსახლე ურიცხვი სახეობანი სწორედ იმგვარად, რომ წარმოიქმნა აგებულების ის სრულყოფილობა და შეგუებულობა, რომელიც ჩვენს სამართლიან განცვიფრებას იწვევს"[1]—წერდა დარვინი. მან თვითონ გადაჭრა მის მიერვე დაყენებული საკითხი და ამით დიდი წელილი შეიტანა პროგრესული მეცნიერების განვითარებაში.

დარვინის დამსახურება მეცნიერების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა აღმოაჩინა ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების ჭეშმარიტი კანონზომიერებანი და პირველმა შექმნა ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების მატერიალისტური თეორია. მისი თეორია მატერიალისტურად ხსნიდა ცოცხალ არსებათა მრავალგვარობისა და ცხოვრების პირობებისადმი მათი შეგუებულობის მიზეზებს, ორგანული სამყაროს ერთიანობას. მან დაამტკიცა, რომ თანამედროვე ორგანული სამყარო ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგია და ხაზი გაუსვა ადამიანის სისხლით ნათესაობას ადამიანის მსგავს მაიმუნებთან.

დარვინის მოძღვრებას მაღალი შეფასება მისცეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა. ისინი დარვინის თეორიას გასული საუკუნის ბუნებისმეტყველების უდიდეს მონაპოვრად და მეცნიერული ბიოლოგიის საფუძვლად მიიჩნევდნენ.

მარქსი დარვინის შრომის „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით", შესახებ სწერდა, რომ „... ეს წიგნი აძლევს საბუნებისმეტყველო-ისტორიულ საფუძველს ჩემს შეხედულებებსო".[2]

მაგრამ მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები ხაზგასმით მიუთითებდნენ დარვინის თეორიაში არსებულ წინააღმდეგობებსა და შეცდომებზე.

დარვინს ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების პროცესი წარმოდგენილი ჰქონდა ორგანიზმების თვისებებსა და ნიშნებში პატარა რაოდენობითი ცვლილებების ნელი და თანდათანობითი დაგროვებების სახით. იგი, იმყოფებოდა რა გაბატონებული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზემოქმედების ქვეშ, ცდილობდა მიეჩქმალა თვისობრივი სახეცვლილებანი განვითარების პროცესში და სწერდა, რომ ბუნებრივ შერჩევას არასოდეს არ შეუძლია გააკეთოს უეცარი ნახტომებიო. გარდა ამისა დარვინს ადამიანის წარმოშობის გაგებაში მხედველობის გარეშე რჩებოდა შრომის როლი მაიმუნის გაადამიანებაში. სწორედ ამ მიზეზთა გამო, ვერც დარვინმა და ვერც მისმა იმდროინდელმა მიმდევრებმა, იმდენად, რამდენადაც ვერ ამაღლ-

---

1 ჩ. დარვინი, სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით, გვ. 86.

2 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXII, გვ. 551.

დნენ დიალექტიკური მატერიალიზმის გაგებამდე, ამოცანა ბოლომდე ვერ ამოხსნეს და ვერ მოგვცეს სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის მართებული, მეცნიერული ახსნა.

ლამარკიდან დაწყებული, რომელმაც პირველად ჩაუყარა საფუძველი ანთროპოგენეზისის (ბერძნული — სწავლება სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის შესახებ. ა. ჩ.) პრობლემას, თვით დარვინის ჩათვლით ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა წამოაყენეს ე. წ. ბიოლოგიური ჰიპოთეზები, რომელთაგან არც ერთი არ ითვალისწინებდა ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი ცხოველის, სპეციფიკურ თავისებურებებს, შრომის როლს ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში. თუ კი ზოგიერთი ამა თუ იმ ჰიპოთეზის ავტორი ხანდახან სოციალურ ფაქტორებსაც მიმართავდა ადამიანის ევოლუციის ასახსნელად, ის ამ ფაქტორებს აყენებდა მეორე რიგზე, და რაც მთავარია, თვით ეს სოციალური ფაქტორი არასწორად ესმოდა. დარვინმა ვერ გაიგო მარქსის მიერ მისდამი გაგზავნილი „კაპიტალის" I ტომი, სადაც მარქსი მიუთითებს შრომის უდიდეს მნიშვნელობაზე ადამიანის ევოლუციის პროცესში. მაგრამ მიუხედავად ამისა, დარვინის შრომებმა საერთოდ, და, კერძოდ კი, „სახეობათა წარმოშობამ ბუნებრივი შერჩევის გზით" (1859 წ.) და „ადამიანის წარმოშობამ და სქესობრივმა გადარჩევამ" (1871 წ.) ძირი გამოუთხარეს რელიგიისა და იდეალიზმის საფუძვლებს და ღირსეული ადგილი დაიკავეს პროგრესული მეცნიერების საგანძურში.

ადამიანის წარმოშობა, ანუ მისი გამოყოფა ცხოველთა მოდგმიდან, მისი გაადამიანება იმავე კანონზომიერებას ემორჩილება, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ ორგანულ სამყაროს. „განვიხილავთ რა ისტორიას ორი მხრიდან, — ამბობს მარქსი, — ის შეიძლება გაიყოს ბუნების ისტორიად და ადამიანთა ისტორიად, მაგრამ ორივე ეს მხარე განუყრელადაა დაკავშირებული ერთიმეორესთან".[1] ღვთისმეტყველი იდეალისტები კი ცდილობენ ადამიანი განაცალკევონ ორგანულ არსებათა სამყაროდან, რადგან მათი აზრით ადამიანს სრულიად განსაკუთრებული, ყველასა და ყველაფრისაგან განსხვავებული, „სასწაულებრივი" წარმოშობა აქვს. სინამდვილეში, მოწინავე მეცნიერებამ უტყუარად დაადგინა, რომ ადამიანი წინათ არსებული და აწ გადაშენებული ადამიანის მსგავსი მაიმუნისაგან წარმოიშვა ხანგრძლივი და რთული განვითარების შედეგად.

იმ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, რომლებიც ორგანულ სამყაროს შეისწავლიდნენ, ცოცხალი ბუნების ღრმა,

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, გვ. 8.

სერიოზული და გულდასმითი გაცნობისა და აგრეთვე მაიმუნის ადა
მიანთან მსგავსების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადა
მიანის წინაპარი მაიმუნი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების წამოყე
ნება რევოლუციურ გადატრიალებას მოასწავებდა მეცნიერებასა დ
ადამიანთა აზროვნებაში. იგი ძირს უთხრიდა რელიგიურ შეხედულე
ბებს და იდეალისტ-მეცნიერთა იმ უბადრუკ ჰიპოთეზებს, რომლებიც
ადამიანის წარმოშობას ღვთაებრივი განგების სასწაულებრივ ძალას
უკავშირებდნენ. გერმანელი მეცნიერის ემილ დიუბუა-რეიმონის
მოხდენილი გამოთქმა რომ გავიმეოროთ: „ეს იყო აფეთქება, რომ
ლის მსგავსი არ ენახა მეცნიერებას, აფეთქება, რომელიც ასე დიდ
ხანს მზადდებოდა და ასე უეცრად მოხდა“.

რადგან რელიგიას არ შეეძლო რაიმე არსებითი არგუმენტი დაე
პირისპირებინა მეცნიერების ამ მართებული მტკიცებისათვის, ამიტომ
მან ჩვეულსა და ნაცად ხერხს მიმართა. ჯერ დემაგოგიურად ატეხ
განგაში: ადამიანისა და მაიმუნის ერთი საერთო წინაპრისაგან გამო
ყვანა ამცირებს და შეურაცხყოფს ადამიანსო, მაგრამ როდესაც მიხვ
და, რომ ამ დემაგოგიით ფონს ვერ გავიდოდა და იგი მხოლოდ წყლის
ნაყვას წარმოადგენდა, მაშინ შეეცადა ყველაფერი გაუკუღმართებუ
ლად წარმოედგინა და დაიწყო მტკიცება, რომ მაიმუნები კი არ არიან
ადამიანთა წინაპრები, არამედ, პირიქით, წინათ ადამიანები ყოფილან
მაიმუნთა წინაპრები, მაგრამ ისინი რაღაც ცოდვის ჩადენისათვის
ღმერთს მაიმუნებად გადაუქცევია და ამის გამო ამ უკანასკნელებში
შემორჩენილა ადამიანთან მსგავსების ზოგიერთი ნიშანი.

მეცნიერებამ ყური არ ათხოვა ღვთისმეტყველთა და იდეალისტთა
გაბოროტებულ ჩხირკედელაობას და მტკიცე ნაბიჯით გაემართა წინ,
ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ ნათელ გზაზე. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტე
ბისაკენ მავალს მას ჰქონდა შეცდომებიც და ჩავარდნებიც, მაგრამ ამ
გზიდან არასოდეს არ გადაუხვევია და საბოლოოდ ჭეშმარიტება დად
გენილ იქნა.

თავდაპირველად ეგონათ, რომ ადამიანი წარმოიშვა ამჟამად
მცხოვრებ მაიმუნთაგან შორეულ წარსულში და დროთა განმავლო
ბაში განიცადა სახეცვლილებანი, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს ის
განასხვავეს მაიმუნისაგან. მაგრამ მეცნიერებამ შემდეგ დააზუსტა,
რომ ადამიანი წარმოსდგა არა ამჟამად მცხოვრებ მაიმუნთა უძველეს
თაობათაგან, არამედ ამჟამად მცხოვრებ მაიმუნთა უძველეს თაობებს
და ადამიანთა უძველეს თაობებს ერთი საერთო წინაპარი ჰყოლიათ.
რომელთაგან შემდეგში სხვადასხვა გარდამავალ რგოლთა ერთი შტო
საგან ახლა მცხოვრები მაიმუნები წარმოქმნილან, ხოლო მისგანვე
მომდინარე მეორე შტოსაგან კი, მთელ რიგ შუალედ რგოლთა გავ-

ლით — მაიმუნ-ადამიანი (პითეკანტროპი), რომლისგანაც თავის მხრივ ადამიანი წარმოშობილა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მაიმუნები და ადამიანები „ბამა-შვილები“ კი არ არიან, არამედ მეტად შორეული ნათესავები, რომელთაგანაც თავ-თავის მხრივ, არც ერთი და არც მეორე (ე. ი. არც მაიმუნები და არც ადამიანები) არ გვანან აწ გადაშენებულ იმ საერთო წინაპრებს, რომლისაგანაც წარმოშობილან ერთნიც და მეორენიც.

ამჟამად, ეჭვმიუტანელ სინამდვილედაა მიჩნეული ადამიანისმაგვარი მაიმუნისა და ადამიანის ნათესაობის საკითხი და ზუსტად არის დადგენილი ადამიანისმაგვარი მაიმუნის ადამიანთან მსგავსების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ადამიანებსა და თანამედროვე ადამიანისმაგვარ მაიმუნებს (ორანგუტანგს, შიმპანზეს, გორილასა და გიბონს) შედარებითი ანატომიის მიხედვით, დაახლოებით 623 საერთო ნიშანი აქვთ, ხოლო ისეთი ნიშნების რიცხვი, რომლებიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და მაიმუნს კი არა დაახლოებით 312-მდე აღწევს.

გორილა

ადამიანებსა და ადამიანისმაგვარ მაიმუნებს შორის, უწინარეს ყოვლისა, შეიმჩნევა გარეგანი მსგავსება, რომელიც პირველი შეხედვისთანავე მკვეთრად გვეცემა თვალში. ასე მაგალითად, მათ ისევე როგორც ადამიანებს გარეთა კუდი არა აქვთ, თითებზე აქვთ ფრჩხილები და არა ბრჭყალები, აქვთ აგრეთვე 32 კბილი, მათ შორის: საკბეჩი კბილები, ღოჯები, პატარა და დიდი საძირე კბილები, შეუძლიათ მხოლოდ უკანა კიდურებით სიარულიც (თუმც, ჩვეულებრივად ოთხივე კიდურით დადიან), მათი გულმკერდი, ისევე როგორც ადამიანისა წინიდან გაბრტყელებულია და არა შეკეწროვებული, როგორც ყველა სხვა ძუძუმწოვარისა, მათი ყურის ნიჟარები თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ადამიანის ყურის ნიჟარისაგან, ცერი ოთხივე კიდურზე

დაპირისპირებულია სხვა დანარჩენ თითებთან ისევე, როგორც ადამიანის ხელზე, საჯდომი კორძებისა და ლოყის უკანა ტომსიკების უქონლობა მათ განასხვავებს ყველა დანარჩენი ცხოველებისაგან და აახლოვებს ადამიანთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანისმაგვარი მაიმუნების სიცოცხლის ხანგრძლივობა თითქმის იგივეა, რაც ადამიანისა.

დასახელებული მაიმუნების ადამიანთან მსგავსება შინაგან აგებულებაშიც მეღავნდება. მათი ჩონჩხის, კუნთების, სისხლძარღვების, ნერვებისა და შინაგანი ორგანოების აღნაგობაში შესამჩნევია მსგავსება ადამიანის იმავე ორგანოებთან. ისინი სნეულდებიან ისეთივე დაავადებებით, როგორითაც ადამიანები (ჭლექი, მალარია, დიზენტერია, ტიფი და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ მათსა და ადამიანის თავის ტვინის ნახევარსფეროების განვითარებაში დიდი განსხვავებაა, მაინც თავის ტვინის განვითარებით, ყველა დანარჩენი ცხოველებიდან, ყველაზე უფრო ახლო ადამიანთან ისინი დგანან. თავის მხრივ, თავის ტვინის რთული აგებულებით ისინი უფრო ადამიანს ჰგვანან, ვიდრე სხვა ძუძუმწოვრებს. დარვინი აღნიშნავდა, რომ „ტვინის აღნაგობით ადამიანი შიმპანზესა ან ორანგუტანგისაგან უფრო ნაკლებად განსხვავდება, ვიდრე ეს უკანასკნელი უმდაბლესი მაიმუნებისაგანო". თავის ტვინის მაღალ განვითარებასთან დაკავშირებით ადამიანისმაგვარი მაიმუნის ემოციურ განცდებში ადამიანის ემოციური განცდების მსგავს ნიშნებს ვხედავთ. მაგალითად, მათ შეუძლიათ პირისახეზე გამოხატონ მოწყენილობა, სიხარული, მრისხანება, ისინი იცინიან და ტირიან (თუმცა უცრემლოდ). მეტად ცნობისმოყვარენი და დაკვირვებულნი არიან და უნარი აქვთ მიბაძონ ადამიანის საქციელს. ადვილად ეჩვევიან ბალიშის, საბნისა და დანა ჩანგლის ხმარებას, თეფშებიდან ჭამას. იარაღად იყენებენ კეტებსა და ქვებს, შეუძლიათ ერთმანეთზე დააწყონ ყუთები ანდა ერთი ჯოხის ბოლო გაურჭონ მეორის ღრუიან ბოლოში, რათა მაღლიდან ჩამოიღონ რაიმე საგანი. დარვინი ზოოლოგ სმიტის ნაამბობს გადმოგვცემს და მოგვითხრობს, რომ „ერთი ოფიცერი ხშირად აჯავრებდა ერთ მაიმუნს. ერთხელ მაიმუნმა დაინახა საღღესასწაულო სამოსელში გამოწყობილი ეს ოფიცერი. მან სწრაფად ჩაასხა წყალი ორმოში სწრაფადვე აზილა ტალახი და მარჯვედ ესროლა ოფიცერს, რითაც დიდად გაამხიარულა დამსწრენი. ამის შემდეგ მაიმუნი ყოველთვის იცინოდა და მხიარულობდა, როდესაც თავის მსხვერპლს დაინახავდა ხოლმე. აღსანიშნავია აგრეთვე ი. პ. პავლოვის ლაბორატორიაში დაყენებული ერთ-ერთი ცდა: მაიმუნს დაუდეს საჭმელი, რომელსაც ირგვლივ ანთებული სანთლები შემოუწყვეს, რათა მაიმუნისათვის დაბრკოლება შეექმნათ. მაიმუნმა ვიდრე საჭმელთან მივიდოდა წყალი დალია. შემთხვევით მაიმუნის ტუ-

ჩიდან ჩამოღვრილი წყლის წვეთები სანთელს მოხვდა და ჩააქრო. მაიმუნმა მაშინვე დაიგუბა პირში წყალი და შხეფებით ყველა სანთელი ჩააქრო. აღნიშნული და სხვა მრავალი ცდა იმას ამტკიცებს, რომ მაიმუნის საქციელი ერთდაგვარად უახლოვდება ადამიანის საქციელს, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიბაძვა ძირითადად მექანიკურ ხასიათს ატარებს \ და მოკლებულია დამოუკიდებელ ღრმა აზროვნებას.

მოყვანილი მაგალითები არამც და არამც არ გვაძლევენ უფლებას გავაიგივოთ მაიმუნისა და ადამიანის გონიერება და ინტელექტუალობა. უცხოეთის ზოგიერთი ვაი-მკვლევარი ვერ ხედავს თვისებრივ განსხვავებას ადამიანთა და მაიმუნთა ქცევაში. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მაიმუნთა „ადამიანისმაგვარი მოქმედება", „იარაღების გამოგონება და გამოყენება" შემთხვევითი მოვლენაა, ხოლო ადამიანისათვის, განვითარების ადრეულ საფეხურზედაც კი, ყველაზე დამახასიათებელ და მთავარ ნიშან-თვისებას შორის იარაღების შექმნა და გამოყენება წარმოადგენდა. მაგრამ ადამიანის ქცევასთან მაიმუნის ქცევის ასეთი აშკარა მიახლოების შესაძლებლობა მეტად საგულისხმო ფაქტია, რომელიც ადასტურებს ადამიანის ნათესაობას მაიმუნებთან, განსაკუთრებით კი, ადამიანისმაგვარ მაიმუნებთან.

ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ არც ერთი სახეობის ცხოველში ისე არ არის განვითარებული ურთიერთდახმარება, როგორც მაიმუნებში. ისინი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ თავიანთი შვილებისადმი, რაც დიდად მოგვაგონებს ადამიანის სიყვარულს შვილების მიმართ. როგორც დარვინი ადასტურებს, მოზრდილ მაიმუნებს როგორც დედლებს, ასევე მამლებს ობოლი მაიმუნები ყოველთვის თავისთან მიჰყავთ და მზრუნველობით უვლიან მათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანსა და მაიმუნებს მრავალი საერთო გემოვნებითი შეგრძნება აქვთ. მაიმუნებს, ადამიანთა მსგავსად, უყვართ: ჩაი, ყავა, ღვინო და თამბაქო.

დაბოლოს, სისხლის ქიმიური შემადგენლობით ადამიანები და ადამიანისმაგვარი მაიმუნები მეტად ახლოს დგანან ერთიმეორესთან. ცნობილია, რომ ფიზიოლოგიური კანონის თანახმად, როდესაც ერთ ცხოველს სხვა, არამონათესავე, ცხოველის სისხლს შეუშხაპუნებთ, იგი იწამლება. მეცნიერებმა მოახდინეს ასეთი ცდა: ადამიანის სისხლი გადაუსხეს ადამიანისმაგვარ მაიმუნს და მაიმუნი არ მოიწამლა, ხოლო ყველა დანარჩენ ცხოველზე, მათ შორის თვით უმდაბლესი ჯიშის მაიმუნებზეც კი, ადამიანის სისხლი ისე მოქმედებს, როგორც საწამლავი.

ერთი სიტყვით, ფაქტებით აშკარად დასტურდება მაიმუნსა და

ადამიანს შორის მსგავსება და ნათესაობა, მაგრამ მეორეს მხრივ ასევე მრავალი ფაქტი მოიპოვება იმის დასადასტურებლად, რომ ადამიანი მაინც მკვეთრად განსხვავდება მაიმუნისაგან.

მხოლოდ ადამიანსა აქვს სხეული სავსებით გამართული და ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი. მისი ხელები ფეხებთან შედარებით მოკლეა, ადამიანისმაგვარ მაიმუნებს კი, პირიქით, ხელები უფრო გრძელი აქვთ, ვიდრე ფეხები. ადამიანის ტერფი თაღისებური მოყვანილობისაა. ადამიანისმაგვარი მაიმუნების ტერფი კი ბრტყელია. აღნიშნულის გამო ადამიანს სიარულის დროს თავისუფლად შეუძლია ტერფს დაეყრდნოს, ხოლო მაიმუნების უკანა კიდურები ხეებზე მოძრაობისთვისაა მოსახერხებელი, სასიარულოდ კი ნაკლებად გამოსადეგია. ადამიანის ხელი თავისუფალია დაყრდნობის ფუნქციისაგან, ძალზე იშვიათად იხმარება ცოცვისათვის, ამიტომ მისი ცერი კარგადაა განვითარებული, დანარჩენი თითები კი აღჭურვილია ფაქიზი მოძრაობის უნარით, რაც აუცილებელია შრომისათვის და ამიტომ ადამიანს ხელით მრავალგვარი მუშაობის შესრულება შეუძლია; ამგვარად ხელი ადამიანისათვის შრომის ორგანოს წარმოადგენს. ადამიანისმაგვარ მაიმუნებს კი, ხელზე ცერი მოკლე და ცუდად განვითარებული აქვთ და თუმცა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მათი ცერიც უპირისპირდება დანარჩენ თითებს, მაგრამ ხელით რთული მოძრაობის შესრულება არ შეუძლიათ. მათი ხელი ძირითადად ტაცებითი ტიპისაა და ადამიანის ხელის მსგავს ფუნქციებს ვერ ასრულებს. გარდა ამისა ადამიანისა და ადამიანისმაგვარი მაიმუნის სხეულების გარეგან და შინაგან ორგანოებს შორის მრავალი სხვა არსებითი განსხვავებაც არსებობს, მაგრამ მთავარი მათ შორის მაინც თავის ტვინის სხვადასხვაგვარობაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისმაგვარი მაიმუნის თავის ტვინი, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ჰგავს ადამიანის თავის ტვინს, ის მაინც გაცილებით უფრო სუსტადაა განვითარებული. მაშინ, როდესაც ადამიანის თავის ტვინის წონა 1000 გრამზე ნაკლები არ არის, ხოლო ზოგჯერ კი 1.800—2.000 გრამსაც კი აღწევს, ადამიანისმაგვარი მაიმუნის თავის ტვინის წონა 400—600 გრამს არ აღემატება. ადამიანის თავის ტვინის ზედაპირი საშუალოდ 1.250 კვ. სანტიმეტრს უდრის, ადამიანისმაგვარი მაიმუნისა კი — მხოლოდ 350—400 კვ. სანტიმეტრს. ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანს ძლიერ განვითარებული აქვს თავის დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქის ხვეულები და ღარები და ამასთან უფრო დიდი აქვს ტვინის საერთო მოცულობაც.

თანამედროვე ადამიანისმაგვარმა მაიმუნებმა სხეულის აგებულებაში წარსულიდან მოყოლებული, თანდათანობით შეიძინეს ის მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებმაც შეუძლებელი გახადეს მათი ადა-

მიანად გადაქცევა და ერთხელ და სამუდამოდ მიაჯაჭვეს ისინი ცხოველთა სამყაროს.

ადამიანისა და თანამედროვე ადამიანისმაგვარ მაიმუნთა საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, ადამიანისა და თანამედროვე ადამიანისმაგვარი მაიმუნების მსგავსება და ნათესაობა აიხსნება იმით, რომ მათ საერთო წინაპრები ჰყავდათ. ეს წინაპრები უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნები იყვნენ.

უძველეს ადამიანისმაგვარ მაიმუნებს ნამარხ მაიმუნებსაც უწოდებენ, რადგან ისინი შესწავლილნი იქნენ მიწიდან ამონათხარი ჩონჩხების მიხედვით. პალეონტოლოგიის, ე. ი. ნამარხი ორგანიზმების შესახებ მეცნიერების მონაცემები ადასტურებენ, რომ უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნები სხეულის აგებულებით გაცილებით უფრო ჰგვანან ადამიანს, ვიდრე თანამედროვე ადამიანისმაგვარი მაიმუნები. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეცნიერებამ აღმოაჩინა გრძელი ჯაჭვის ის უმნიშვნელოვანესი რგოლები, რომლებმაც უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნებიდან თანამედროვე ადამიანებამდე მიგვიყვანეს.

უძველეს ადამიანისმაგვარ მაიმუნს, თავის მხრივ, წინაპრები ჰყავდა. მისი უძველესი და ამდენად უპირველესი წინაპრები ნახევრად მაიმუნები (ლემურები) იყვნენ, რომელნიც დაახლოებით 50 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. ამ ნახევრად მაიმუნიდან, რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ ის ცხოველი წარმოიქმნა, რომლის ქვედა ყბა 1911 წელს გეოლოგმა შლოსერმა აღმოაჩინა ეგვიპტეში ფაიუმის უდაბნოში. შლოსერმა ამ ცხოველს „პარაპითეკი" („მაიმუნთან ახლომდგომი") უწოდა. პარაპითეკი პატარა ტანის, დაახლოებით კატისოდენა ცხოველი უნდა ყოფილიყო.

პარაპითეკისაგან დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ გაჩნდა პროპლიოპითეკი, ე. ი. უძველესი მაიმუნი. პროპლიოპითეკისაგან დაახლოებით 10—15 მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ: ერთის მხრივ პლიოპითეკი და თანამედროვე ადამიანისმაგვარი მაიმუნები გიბონი და ორანგუტანგი, ხოლო, მეორეს მხრივ კი — აწ გადაშენებული დრიოპითეკი.

მაშასადამე, პროპლიოპითეკები წარმოადგენდნენ მაიმუნთა იმ საერთო ფორმებს, იმ საწყისსა და უპირველეს წინაპრებს, რომელთაგანაც ერთი შტო მიემართება თანამედროვე ადამიანისმაგვარი მაიმუნებისაკენ, ხოლო მეორე შტო კი — უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნებისაკენ. და მართლაც, პროპლიოპითეკის იმ შტოს პირველი რგოლი, რომელიც თანამედროვე ადამიანისმაგვარ მაიმუნებისაკენ

მიემართება არის პლიოპითეკი, გიბონისა და ორანგუტანგის უშუალო წინაპარი, ხოლო პროპლიოპითეკის იმ შტოს პირველი რგოლი კი, რომელიც ადამიანისაკენ მიემართება, არის უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნების პირველი წარმომადგენელი დრიოპითეკი.

დრიოპითეკებმა საწყისი მისცეს: ერთის მხრივ თანამედროვე ადამიანისმაგვარ მაიმუნებს შიმპანზესა და გორილას, მეორეს მხრივ კი, მაღალგანვითარებულ უძველეს ადამიანისმაგვარ მაიმუნებს — რამაპითეკებსა („სიხარულის მომცემებს") და ავსტრალოპითეკებს („სამხრეთის მაიმუნებს"). აქ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა და მაიმუნთა უძველესი საერთო წინაპრებიდან, პროპლიოპითეკიდან და დრიოპითეკიდან მომავალი შტოები ათეული მილიონი წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო სცილდებოდნენ და შორდებოდნენ ერთიმეორეს. ადრევე დაწყებულ ამ დაცილებას დრიოპითეკის შემდეგ აღარსად ჰქონია უშუალო შეხების წერტილები.

რამაპითეკებმა თითქმის გაადამიანების საზღვარს მიაღწიეს, ხოლო ავსტრალოპითეკები კიდევ უფრო ახლოს იდგნენ ადამიანთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მაიმუნ-ადამიანის უშუალო წინაპარს, რადგანაც მისგან წარმოიშვა „პითეკანტროპი" (ბერძნულად, „პითეკოს" — მაიმუნი, „ანთროპოს" — ადამიანი, ე. ი. მაიმუნ–ადამიანი).

დარვინის სიცოცხლეში ადამიანის წინაპართა ნამარხი ფორმები ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი. იგი წერდა, რომ ადამიანი წარმოშობილია უმდაბლესი ფორმებისაგან და თუმცა „შემაერთებელი რგოლები" ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი უთუოდ აღმოჩნდებიან, რომელიმე ცხელ ქვეყანაშიო. დარვინის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ ასრულდა მისი წინასწარმეტყველება და, მართლაც, აღმოჩენილი იქნა „შემაერთებელი რგოლები" ადამიანსა და მაიმუნს შორის.

ცნობილი დარვინისტი, გერმანელი მეცნიერი ერნსტ ჰეკელი კიდევ უფრო აკონკრეტებდა დარვინის წინასწარმეტყველებას და დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ საჭირო იყო მაიმუნიდან ადამიანზე უშუალო, პირდაპირი გარდამავალი ფორმების ნაშთები სამხრეთ-აზიაში მოეძებნათ. ერნსტ ჰეკელმა მის მიერ წინასწარ მინიშნებულ გარდამავალ ფორმას სახელიც კი დაარქვა და მას პითეკანტროპი ანუ მაიმუნ-ადამიანი უწოდა. მისი სიტყვები გამართლდა.

ახალგაზრდა ჰოლანდიელმა სამხედრო ექიმმა — მეცნიერმა ევგენი დიუბუამ 1890—1892 წლებში წარმოებული გათხრების დროს ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულ იავას, მდინარე ბენგავანის ნაპირზე, სოფელ ტრინილის მახლობლად ადრემეოთხეულის ნაფენებში თხუთ-

მეტი მეტრის სიღრმეზე იპოვნა თავის ქალას სახურავი, ბარძაყის ძვალი და სამი კბილი.

აღმოჩენების სიძველე დაახლოებით 1 მილიონამდე წელს ითვლიდა. 1 მილიონი წლით ადრე კუნძულ იავაზე ჰავა ზომიერი და უფრო ცივი იყო, ვიდრე დღესაა. ეს დადასტურდა იმ უამრავი მცენარეულობის ნაშთების აღმოჩენით, რომლებიც ნაპოვნია სწორედ იმ ქანებში, საიდანაც პითეკანტროპის ძვლები ამოიღეს. მცენარეულობის ნაშთებმა ისიც დაადასტურეს, რომ პითეკანტროპის დროს კუნძული იავა დაფარული ყოფილა გაუვალი, უღრანი ტყეებით, მდიდარი მარადმწვანე მცენარეულობით. ამ პერიოდის ცხოველთა ნაშთებს მიეკუთვნებიან: სპილო, მარტორქა, ირემი, გარეული ღორი, აფთარი, ლომი და სხვა, რომლებიც მეოთხეულის ფაუნას ახასიათებენ. მცენარეული ნაშთების შესწავლამ ცხადყო აგრეთვე, რომ კუნძულ იავაზე პითეკანტროპის დროს ტემპერატურა საშუალოდ 6° ცელსიუსით უფრო ნაკლები ყოფილა, ვიდრე დღესაა და თოვლის ხაზიც 800 მეტრით ყოფილა ძირს ჩამოწეული.



პითეკანტროპი

თავისი განვითარებით პითეკანტროპი მაიმუნზე წინ დგას, მაგრამ ადამიანს ჩამორჩება. მისი თავის ქალის მოცულობა 850 კუბ. სანტიმეტრია, ხოლო კბილები ძალიან ჰგავდა ადამიანის კბილებს. ბარძაყის ძვლის ფორმა კი, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი უკანა კიდურებზე მოსიარულე არსება ყოფილა. მისი სიმაღლე, დაახლოებით 165—170 სანტიმეტრი, თანამედროვე ადამიანის საშუალო სიმაღლის ტოლია.

შემდგომში აღმოჩენილმა პითეკანტროპის რამდენიმე ძალიან ტლანქმა ქვის იარაღმა საბოლოოდ განამტკიცეს შეხედულება, რომ მას შუალედური ადგილი უჭირავს უძველეს ადამიანისმაგვარ მაიმუნსა და უძველეს ადამიანს შორის, რომ იგი ამართლებს თავის სახელს და ნამდვილად წარმოადგენს მაიმუნ-ადამიანს. „გვინდა თუ არა ეს ჩვენ, — წერს ინგლისელი მეცნიერი პაიკრაფტი, — პითეკანტროპი უნდა დაუშვათ ჩვენს ოჯახურ წრეში. იგი გზების განშტოებაზე

დგას, როგორც უტყვი მოწმე ჩვენი მდაბალი (ე. ი. მაიმუნური, ა. ჩ.) წარმოშობისა. ჩვენ შეგვიძლია შეურაცხყოფილებმა უარი ვთქვათ მის ცნობაზე... მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩებიან: ის ერთი ჩვენთაგანია".

მაიმუნ-ადამიანის — პითეკანტროპის შემდგომმა განვითარებამ წარმოშვა სინანტროპი — პირველი ადამიანი. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სინანტროპიდან იწყება ადამიანთა საზოგადოების ისტორია, იგი კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე მცხოვრები პირველი ადამიანია. აქამდე ფიქრობდნენ, რომ სინანტროპი, ე. ი. უძველესი ადამიანი დაახლოებით 500.000—1.000.000 წლის წინათ გაჩნდა, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სულ უკანასკნელი ხანის აღმოჩენა, ალბათ, ამ თარიღის გადასინჯვას გამოიწვევს. ფრანგული სამეცნიერო-ტექნიკური ბიულეტენის „სიანს სერვისის" ცნობით ინვლისელმა მეცნიერ-პალეონთოლოგმა დოქტორმა ლიკმა ტანგანიკაში აღმოაჩინა თავის ქალა, რომელიც მისი აზრით, ძალზე წააგავს ადამიანისას. რადიაქტიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღმოჩენილი თავის ქალის ასაკი დაახლოებით 1.750 ათასი წლისაა.

სინანტროპის ნაშთები იპოვნეს ჩინეთში, ქალაქ პეკინის მახლობლად მდებარე სოფელ ჩოუ-კოუ-ტიენში 1927—1937 წლებში წარმოებული გათხრების დროს. აქედან წარმოსდგა მისი სახელიც. სინანტროპის ნაშთების შესწავლამ ცხადყო, რომ ეს უძველესი ადამიანი თავისი გარეგნული შეხედულებით პითეკანტროპს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს, მაგრამ გონიერებითა და საქციელ-მოქმედებით კი, პირიქით, გაცილებით, უფრო ემსგავსებოდა ადამიანს, ვიდრე პითეკანტროპს. ეს მსგავსება იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი პირველ ადამიანადაა მიჩნეული. ნათქვამს გვიდასტურებს გათხრების დროს მოპოვებული შემდეგი მონაცემები. მისი თავის ქალას ღრუს გაზომვის საფუძველზე გამოიანგარიშეს, რომ სინანტროპის ტვინის მოცულობა დაახლოებით 1.050 კუბ. სანტიმეტრს უდრიდა. თუ გავიხსენებთ, რომ პითეკანტროპის თავის ტვინის მოცულობა 850 კუბ. სანტიმეტრს უდრის, ხოლო თანამედროვე ადამიანისა კი 1. 200-ს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სინანტროპის ტვინი პითეკანტროპის ტვინზე უფრო განვითარებული იყო და თანამედროვე ადამიანის ტვინს უახლოვდებოდა. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სინანტროპის ქვედაყბის ანატომიური აღნაგობის შესწავლის საფუძველზე (ნიკაპის მოყვანილობა, ქვედაყბის რკალის ფორმა და სხვა) მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ სინანტროპს არ ჰქონია ბგერითი, დანაწევრებული ენა, ე. ი. მას არ შეეძლო ლაპარაკი. სინანტროპის ენა „კინეტიკური" იყო. ე. ი. აზრის გადაცემა ხდებოდა ხელის, მიმიკის,

ჟესტიკულაციისა და ცალკეულ ბგერათა წარმოთქმის საშუალებით. სინანტროპში ბგერითი ენა მხოლოდ ჩანასახის სახით იყო მოცემული. იგი უძველეს ადამიანებს თანდათან განუვითარდათ.

სინანტროპის ძვლებთან ერთად ნახეს ხელით გაკეთებული ქვის, ძვლისა და რქის უამრავი იარაღი. იარაღთან ერთად გამოქვაბულებში იპოვნეს ნაცრის ნარჩენები, რომელთა ფენის სისქე ზოგ ადგილას 6—7 მეტრს აღწევდა. თუ ნაცრის სისქისა და იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ სინანტროპის ორ ნაპოვნ თავის ქალას შუა ჩაწოლილი იყო ხუთნახევარი მეტრის სისქე ნაცრიანი მიწის ფენა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ: ჯერ ერთი სინანტროპებს ამ ადგილებში მრავალი ათასი წლის წინათ უცხოვრიათ და, მეორეც, მართალია, სინანტროპებს შეეძლოთ ცეცხლის გამოყენება, მაგრამ არ შეეძლოთ მისი მოპოვება ხელოვნური გზით. საფიქრებელია, რომ ისინი ინახავდნენ მხოლოდ ბუნებრივ ცეცხლს, რომელიც წარმოიქმნებოდა, თუნდაც მეხის ჩამოვარდნისაგან ხეზე ცეცხლის წაკიდებით.

სინანტროპის ნაშთებისა და მისი კულტურის აღმოჩენამ მეცნი-

სინანტროპები

ერებას მისცა ადამიანის წარმოშობის უდავო საბუთები და დაამტკიცა, რომ მისი სახით მაიმუნ-ადამიანები უკვე ადამიანად არიან გადაქცეულნი. თვით რეაქციონერი მეცნიერებიც კი ვერ უარყოფენ ამ უდავო ჭეშმარიტებას, რადგან ცხოველებს არ ძალუძთ ქვისაგან იარაღების გაკეთება და ცეცხლზე საჭმლის დამზადება. სინანტროპი არა მარტო გვიჩვენებს პითეკანტროპის შემდგომ განვითარებას,

არავედ, ბრწყინვალედაც ასაბუთებს ენგელსის თეორიას შრომის როლის შესახებ მაიმუნის გაადამიანების პროცესში და იძლევა უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნის უძველეს ადამიანად გადაქცევის უტყუარ დადასტურებას.

სინანტროპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ჰაიდელბერგელი ადამიანი, რომლის ძვლებიც ნაპოვნი იქნა გერმანიაში, ქალაქ ჰაიდელბერგის მახლობლად 1907 წელს, ხოლო გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, სახელდობრ, 1856 წელს კი გერმანიაშივე,

შიმპანზეს, პითეკანტროპისა და სინანტროპის თავები

ნეანდერის ხეობაში ქალაქ დიუსელდორფის მახლობლად, იპოვნეს ძვლები, რომლებიც ნამარხ ადამიანებს ეკუთვნოდათ. მათ „ნეანდერტალელები“, ნეანდერტალელი ადამიანი უწოდეს. ნეანდერტალელი ადამიანი ჰაიდელბერგელი ადამიანის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

ამრიგად, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის დაახლოებით ერთნაირი სიძველის ფენებში ნაპოვნია უძველესი, ნახევრად მაიმუნების, მაიმუნების, მაიმუნ-ადამიანებისა და ადამიანების ნაშთები. ამჟამად მეცნიერებას თავის განკარგულებაში ათობითა და ასობით მოეპოვება ისეთი უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ მაიმუნის გაადამიანების გრძელ ჯაჭვში შუალედი რგოლების არსებობას. სინანტროპის, ჰაიდელბერგელი და ნეანდერტალელი ადამიანების ძვლებთან ერთად ნაპოვნი მათი ცხოვრების ნირისა და წესის მიმნიშნებელი ნაშთები იმაზე მიგვითითებენ, რომ ისინი ჭკუთვნოდნენ ისეთ საზოგადოებას, რომელსაც ლენინი პირველყოფილ ჯოგს, ხოლო ენგელსი კი, ველურობის ქვედა საფეხურს, ანუ ადამიანთა მოდგმის ბავშვობას უწოდებს.

ნეანდერტალელების ჩამომავალნი არიან თანამედროვე ტიპის უძველესი ადამიანები. მათ კრომანიონელებს უწოდებენ. სახელწოდე-

ბა წარმოსდგა საფრანგეთის სოფელ კრო-მანიონის მიხედვით, სადაც 1868 წელს რკინიგზის გასაყვანად მიწის სამუშაოების შესრულების. დროს მიწის სიღრმიდან ამოიღეს ხუთი მთლიანი ჩონჩხი: ერთი მოხუცი მამაკაცისა, ორი საშუალო ხნის მამაკაცისა, ერთი ქალისა და ერთიც ქალის ჩონჩხთან დაკავშირებული, ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვისა. ჩონჩხების გულდასმით შესწავლით (თავის ქალის დიდი ტევადობის და, მაშასადამე, ტვინის დიდი მოცულობის, შუბლის ძვლის ამოზნექილობის, განვითარებული ნიკაპის შვერილის, სხეულის სრული ვერტიკალური მდგომარეობის მიხედვით) დადგინდა, რომ კრომანიონელი ადამიანი, ადამიანის უმაღლეს ტიპს მიეკუთვნება. კრომანიონელი ადამიანები თანამედროვე ადამიანების უშუალო წინაპრები არიან.

დედამიწის ქერქის ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ცოცხალ ორგანიზმების ასაკი, თუ მიწის იმ ფენების სიძველის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებშიც აღმოჩენილი იქნა ადამიანის უძველეს წარმომადგენელთა ნამარხი ნაშთები, მილიონ წელიწადს ეტოლება. თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრები — კრომანიონელები კი, დაახლოებით ამ 50 — 100 ათასი წლის წინათ გაჩნდნენ. მაშასადამე, ასი ათასობით წელი დასჭირდა იმას, რომ ჩვენი წინაპრები ადამიანები გამხდარიყვნენ. მაგრამ ეს ხანგრძლივობა უმნიშვნელოა იმ ასეულ მილიონ წლებთან შედარებით, რომლის განმავლობაში დედამიწაზე სიცოცხლე ვითარდებოდა.

ასეთია მეტად მოკლედ, მეტად ზოგად მონახაზებში გადმოცემული ის უგრძესი გზა, რომლის გავლითაც წარმოიშვა ადამიანი. თუ თვალს გადავავლებთ ამ გზას და სათითაოდ გავიხსენებთ ლემურებიდან ადამიანებამდე არსებულ ყოველ შუალედ რგოლს (ამ რგოლთა ტიპიურ წარმომადგენლებს), მაშინ ისინი შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვესახებიან:

ნახევრად მაიმუნები (ლემურები...),

მაიმუნებთან ახლო მდგომნი (პარაპითეკები...),

მაიმუნები (პროპლიოპითეკები...),

უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნები (დრიოპითეკები, ავსტრალოპითეკები...),

მაიმუნ-ადამიანები (პითეკანტროპები...),

უძველესი ადამიანები (სინანტროპები, ჰაიდელბერგელები, ნეანდერტალელები...),

თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრები (კრომანიონელები...), თანამედროვე ადამიანები.

(ამასთან დაკავშირებით იხილეთ მაიმუნისა და ადამიანის ევოლუციის სქემა).



მაიმუნისა და ადამიანის ევოლუციის სქემა

ახლა განვიხილოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა მეოხებითაც მაიმუნიდან წარმოიშვა ადამიანი.

· მაიმუნის გაადამიანების საკითხი მეცნიერულად გააშუქა ფრიდრიხ



ფ. ენგელსი

ენგელსმა. მან 1876 წელს. დაწერა ცნობილი ნაშრომი „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“, რომელშიც გენიალურად ახსნა დარვინის მიერ აუხსნელი. გაადამიანების პროცესი.

ადამიანის უძველესი წინაპრები, მაიმუნები მრავალი მილიონი წლის წინათ ულრან და გაუვალ ტყეებში ხეებზე ბინადრობდნენ, ჯოგურ ცხოვრებას ეწეოდნენ და საკვების მოსაპოვებლად ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ. მაგრამ შემდეგში ჰავა გაცივდა. დედამიწის ცხელ სარტყელში ყინულოვანი პერიოდი ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობით დაგროვებითა და ტყის მცენარეულობის განვითარებით აღინიშნა, ხოლო დედამიწის ჩრდილო და სამხრეთ არეებში კი. პირიქით, ჰავის ასეთმა ცვლილებამ უზარმაზარი ტერიტორიის ფართობებზე ტყეების ძლიერი შემცირება გამოიწვია. ტყეები მხოლოდ ახლანდელ ტროპიკულ სარტყელში დარჩნენ. მის სამხრეთით და ჩრდილოეთით კი ან სრულიად მოიპარნენ. ანდა სხვა სახის მეჩხერი ტყეებით შეიცვალნენ. სადაც მაიმუნები ხეებზე ნაკლები საზრდო ჰქონდათ. ამ მიზეზის გამო მაიმუნები ძალებული. გაბდნენ ხეებიდან მიწაზე ჩამოსულიყვნენ და უკანა კიდურებზე დაყრდნობით. ვერტიკალურად წელგამართულებს. ღრ ფეხზე სიარული ეწავლათ.

ენგელსი წერს: მრავალი ასი ათასი წლის წინათ. დედამიწის განვითარების იმ პერიოდის ჯერ კიდევ ზუსტად დაუდგენელ მონაკვეთში. რომელსაც გეოლოგები მეოთხეულ პერიოდს უწოდებენ, საფიქრებელია.

ამ პერიოდის დასასრულს, სადღაც დედამიწის ცხელ ზონაში — ალბათ, ძალიან დიდ, ამჟამად ინდოეთის ოკეანეში ჩაძირულ კონტინენტზე — ცხოვრობდა ადამიანის მსგავს მაიმუნთა განსაკუთრებულად მაღალგანვითარებული ჯიში. დარვინმა მოგვცა ამ ჩვენი წინაპრების დაახლოებითი აღწერილობა. „ისინი მთლად ბალნით იყვნენ დაფარული, წვერები და წვეტიანი ყურები ჰქონდათ და ხეებზე ჯოგებად ცხოვრობდნენ. საფიქრებელია რომ უწინარეს ყოვლისა თავიანთი ცხოვრების წესის გამო, რაც ცოცვის დროს ხელებს სხვა ფუნქციებს აკისრებს, ვიდრე ფეხებს, ამ მაიმუნებმა დაიწყეს ვაკე მიწაზე სიარულის დროს ხელების დახმარების გადაჩვევა და სულ უფრო და უფრო ამართული სიარულის შეთვისება".[1] ასე აგვიწერს ამ პროცესს ენგელსი და იქვე დაასკვნის: „ამით გადამწყვეტი ნაბიჯი იქნა გადადგმული გაადამიანებისაკენ".[2]

თანამედროვე მეცნიერება საკმაოთ დასაბუთებულად ვარაუდობს, რომ ადამიანისმაგვარ მაიმუნთა განვითარება მესამეული პერიოდის ბოლოსა და მეოთხეული პერიოდის დასაწყისში უნდა წარმართულიყო ორი სხვადასხვა მიმართულებით: ეკვატორულ ზონაში ბუნებრივნა პირობებმა ხელი შეუწყო უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნების ხეზე დარჩენას და მათი შთამომავლობა, თანამედროვე ადამიანისმაგვარი მაიმუნები, დღემდე ცხოვრობენ იქვე და იმავე პირობებში, ხოლო ევროპის უფრო ჩრდილო რაიონებსა და სამხრეთ აფრიკაში კი, უძველესი ადამიანისმაგვარი მაიმუნები არ უნდა გადაშენებულიყვნენ, ანდა ხეებიდან მიწაზე ჩამოსულიყვნენ საცხოვრებლად. და მართლაც, დედამიწის დასახლებულ სარტყელებში მაცხოვრებელი მაიმუნები ხეებიდან მიწაზე ჩამოვიდნენ და ორ ფეხზე სიარული დაიწყეს. ამგვარად, ადამიანის წინაპრის, უძველეს ადამიანისმაგვარ მაიმუნის ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ იგი შემდეგ შრომის დახმარებით ადამიანად გადაქცეულიყო. ამჟამად არსებულ თანამედროვე ადამიანისმაგვარ მაიმუნთა გაადამიანების პროცესი კი იმიტომ არ დაიწყო, რომ მათ გაადამიანების ამ დასაწყის საფეხურზე, აღნიშნული ბუნებრივი პირობების გამო, საცხოვრებლად ხეებიდან მიწაზე ჩამოსვლა არ დასჭირვებიათ და ამიტომ ვერტიკალურ მდგომარეობაზე გადასვლას ვერ მიაღწიეს.

სრულყოფილი ვერტიკალური სიარული, ყველა ცოცხალ არსებათა შორის, მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ძუძუმწოვართაგან ზოგიერთ ცხო-

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა"), გვ. 171.

[2] იქვე.

ველს, მაგალითად, მაიმუნს, კენგურუს, ციყვსა და სხვებს შეუძლიათ ნახევრად ამართულად ან ამართულად დგომა, მაგრამ მათთვის ორ ფეხზე სიარული არ არის გადაადგილების ნორმალური ფორმა. ჩვენი წინაპრებისათვის, ადამიანისმაგვარ უძველეს მაიმუნთათვის კი ამართული სიარული, როგორც ენგელსი მიუთითებს, ჯერ წესად, დროთა განმავლობაში კი, აუცილებლად გადაიქცა.

ამართულ სიარულს ადამიანისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმისათვის ჰქონდა, რომ მისი მეოხებით ამას წინა კიდურები ხელებად გარდაექმნა და შრომა შესძლო, ხოლო „შრომა ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა და ამასთან იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შექმნა თვით ადამიანი“[1].

მაგრამ რით უნდა დაეწყო თავდაპირველად ადამიანის წინაპარს შრომა? ენგელსი გვასწავლის, „შრომა იარაღების დამზადებით იწყება“.[2] როდესაც ჩვენს შორეულ წინაპრებს ხეებზე უხდებოდათ ცხოვრება, მაშინ მათ არ ჰქონდათ განვითარებისა და გაადამიანების საშუალება, მაგრამ როდესაც ისინი ხიდან დედამიწაზე ჩამოსულან, წინა კიდურები ხელებად გადაქცევიათ და ორ ფეხზე სიარული დაუწყიათ, შრომასა და არსებობისათვის ბრძოლას ისინი გაადამიანებისაკენ წარუმართავს. მრავალზე მრავალმა წელმა განვლო ვიდრე ჩვენი წინაპარი მაიმუნი იარაღის კეთებას ისწავლიდა. თავდაპირველად იგი ბუნებაში არსებულ და შემთხვევით ხელში მოხვედრილ ქვებსა და ჯოხებს იყენებდა იარაღად. შემდეგ მან გაარკვია მათი უპირატესობა სხვადასხვა შემთხვევაში. ასე მაგალითად, იგი მიხვდა,რომ წვეტიანი ქვები ან ჯოხები გამოსადეგნი იყვნენ ამოსათხრელად, მახვილპირიანები თავდასაცავად და ა. შ. და აი, ამ დაკვირვებისა და მიხვედრის შემდეგ, მათ თანდათან თვითვე დაიწყეს იარაღის დამზადება. მოტეხის, წამახვილებისა და გამოთლის გზით ისინი აკეთებდნენ მათთვის საჭირო იარაღს და იმარჯვებდნენ მათ განსაზღვრულ სამუშაოთა შესასრულებლად. სწორედ იმ დროიდან და მას შემდეგ, რაც ჩვენი წინაპარი მაიმუნი „იარაღის მკეთებელ ცხოველად“ იქცა, ჩვენ მოგვევლინა ადამიანი. ამ მაიმუნმა მოახდინა გადასვლა ცხოველთა სამყაროდან ადამიანთა სამყაროში.

არა ღმერთმა, არამედ შრომამ შექმნა ადამიანი. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა გამოარკვიეს, რომ ადამიანის ძირითადი განსხვავება ცხოველებისაგან შრომაში მდგომარეობს,

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში (იხ. „ბუნების დიალექტიკა“), გვ. 171.

[2] იქვე, გვ. 177.

მდგომარეობს მათ უნარში შეექმნან შრომის იარაღები და ამ იარაღთა საშუალებით აწარმოონ მათი არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათი.

მართალია იმ ფაქტორებიდან, რომლებმაც გამოიწვიეს მაიმუნის გაადამიანება, ყველაზე მთავარ ფაქტორს შრომა წარმოადგენს, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს მხოლოდ და მხოლოდ შრომის წყალობით მოხდა მაიმუნის გაადამიანება. ენგელსი როცა ამბობს, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, იქვე დასძენს, რომ ეს უნდა გავიგოთ „გარკვეული აზრით". ადამიანის ჩამოყალიბება დამოკიდებული იყო მთელ რიგ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე, მათ ერთობლიობაზე. ენგელსის თეორიაში ხაზგასმითაა მითითებული, ამ ფაქტორების ურთიერთკავშირზე და მათი განვითარების დიალექტიკურ საფუძველზე. ენგელსი გვასწავლის, რომ მართალია ამ ფაქტორთა შორის უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორს შრომა წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, ბიოლოგიური ფაქტორებიდან: ჩვენი ცხოველური წინაპრების სხეულებრივი ორგანიზაციის ცვალებადობა, შეგუებლობის უნარი და სხვა. ხოლო სოციალური ფაქტორებიდან: დანაწევრებული მეტყველება, ტვინიცა და აზროვნების განვითარება, საზოგადოების ჩამოყალიბება და სხვა. აქ მთავარი ის არის, რომ მ ა ი მ უ ნ ი ს გ ა ა დ ა მ ი ა ნ ებ ის გ ა მ ო მ წ ვ ე ვ ი ყ ვ ე ლ ა ფ ა ქ ტ ო რ ი, რ ო მ ე ლ თ ა შ ო რ ი ი ა ც შ რ ო მ ა წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს უ პ ი რ ვ ე ლ ე ს, უ მ თ ა ვ რ ე ს დ ა უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ეს ფ ა ქ ტ ო რ ს, დ ა დ ებ ი თ ი თ ვ ა ლ ა ა ზ რ ი ა ი თ, უ კ უ ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ა ს ა ხ დ ე ნ ს ე რ თ ი მ ე ო რ ის გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ა ზ ე.

ეს უკანასკნელი მოსაზრება ოდნავადაც არ აკნინებს შრომის როლს, პირიქით, იგი მხოლოდ აკონკრეტებს და ამით კიდევ უფრო ნათელს ჰფენს მის მნიშვნელობას. იდეალისტები კი ცდილობენ, თუ მთლად არ უარყონ, დაამცირონ მაინც შრომის როლი და მნიშვნელობა მაიმუნის გაადამიანების დიდ პროცესში და გამოთქვამენ შეხედულებას, თითქოს შრომა არ წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებას. რომ ცხოველებსაც აქვთ შრომის უნარი. მაგრამ მათ ავიწყდებათ ან შეგნებულად სურთ დავიწყონ „სულ მცირე რამ". სახელდობრ. მარქსის. სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოველები თავიანთი არსებობის საშუალებებს უშუალოდ ბუნებიდან იღებენ, იყენებენ რა. ამისათვის თავიანთ ბუნებრივ ორგანოებს. ვერც ერთი მათგანი ვერ აკეთებს იარაღს და ბუნებაში არსებული ბუნებრივი „იარაღების" ქვებისა და ჯოხების შემთხვევით გამოყენებაზე შორს წასვლა მათ არ შეუძლიათ. ადამიანი კი სარგებლობს არა მხოლოდ ბუნების წყალობით, არამედ

თვითვე აწარმოებს მისი ცხოვრებისათვის აუცილებელს, ამისათვის იყენებს რა მის მიერვე შექმნილ შრომის იარაღებს. ადამიანი ძირითადად სწორედ იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ იგი იარაღის მკეთებელი არსებაა. მარქსი წერს, რომ „შრომას ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფორმით, რომლითაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს".[1]

შრომითი ჩვევების თანდათანობითი განვითარება და განმტკიცება კი უკუზეგავლენას ახდენდა თვით ხელის სრულყოფაზე. „ამრიგად, ხელი არის არა მარტო შრომის ორგანო, არამედ იგი მისი პროდუქტიცაა"[2].

ადრეც, გამოჩენილი მოაზროვნეები ხაზს უსვამდნენ ხელის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრებისათვის. ასე, მაგალითად, ანაგსაგორა ამბობდა: „ადამიანი მხოლოდ ხელების წყალობითაა ყველაზე გონიერი არსებაო", არისტოტელე წერდა: „ხელი არის იარაღთა იარაღი", ხოლო კანტი ხელს „გარეგან ტვინს" უწოდებდა. ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევდა ხელს დარვინიც, რომლის აზრითაც „ადამიანს არ შეეძლო მიეღწია დედამიწაზე თავისი ახლანდელი გაბატონებული მდგომარეობისათვის ხელების დაუხმარებლად".

ხელების განვითარებამ და სრულყოფამ, თავის მხრივ, ამართული სიარულის განვითარება და სრულყოფა გამოიწვია. ვინაიდან ამის გარეშე ხელები ახალ, უფრო მაღალი დონის შრომით საქმიანობაში ვერ დახელოვნდებოდნენ. შრომის იარაღების დამზადების გაუმჯობესებამ და გამოყენებამ კი ხელებსა და ფეხებს შორის ფუნქციათა შემდგომი განაწილება მოახდინა. ხელებმა სულ უფრო იწყეს ისეთ ორგანოებად გადაქცევა, რომლებიც შრომის იარაღებს ამზადებდა და შრომით საქმიანობას ეწეოდა, ხოლო ფეხები კი საბოლოოდ გადაქცნენ მხოლოდ მოძრაობის ორგანოებად.

ხელის განვითარება და სრულყოფა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ადამიანის სხეულის სხვა ორგანოების ცვალებადობასა და განვითარებასაც იწვევდა. „ხელი განმარტოებით როდი იდგა, იგი მთლიანი, უაღრესად რთული ორგანიზმის მხოლოდ ერთ-ერთი წევრი იყო, და ის, რაც ხელისათვის სასარგებლო იყო, სასარგებლო იყო აგრეთვე მთელი სხეულისათვის... ზრდისა და განვითარების თანაფარდობის კანონის გამო, როგორც ეს დარვინმა უწოდა".[3] და შემდეგ, „ადამიანის ხელის თანდა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 138—139.

[2] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გადადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა"), გვ. 171.

[3] იქვე.

თანობით გაფაქიზება-დახვეწილობამ და მასთან ერთად ამართული სიარულისათვის ფეხის განვითარებამ იმავე თანაფარდობის კანონის ძალით უეჭველად უკუზეგავლენა მოახდინა ადამიანის სხეულის ორგანიზმის სხვა ნაწილებზე".[1]

განვითარებისა და გარემოსთან შეგუების პროცესში ცხოველებს გაუჩნდათ სპეციალური უჯრედები, რომლებიც ასახავენ გარემოს ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე. ეს უჯრედები ნერვული უჯრედებია. ორგანიზმის ევოლუციის შემდგომ მსვლელობაში ნერვული უჯრედები თანდათანობით ერთიანდებოდნენ და შექმნეს ნერვული სისტემა, ხოლო ცოცხალ არსებათა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, ყველაზე მაღალორგანიზებულ ცხოველებში — ადამიანებში წარმოიშვა ნერვული სისტემის უმაღლესი განყოფილება — თავის ტვინი.

ორგანიზმის ყველა ცვლილებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ტვინის განვითარება. არ შეიძლება შრომა, თუ არ იცი რისთვის შრომობ. მუშაობის დროს ადამიანი ძალაუნებურად მოიფიქრებს, თუ როგორ შეამსუბუქოს შრომა, გაუმჯობესოს შრომის იარაღები და მიიღოს თავისი მოღვაწეობის შედეგად უკეთესი შედეგები.

მარქსი კი მიგვითითებს, რომ როდესაც ადამიანს „მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. როცა ის ამ მოძრაობის საშუალებით გარეშე ბუნებაზე ზემოქმედებას ახდენს და ცვლის მას, იგი ამავე დროს ცვლის საკუთარ ბუნებასაც".[2] და მართლაც, სინანთროპიდან დაწყებული სხეულის ფიზიკურ აღნაგობასა და კონსტრუქციაში შრომითი პროცესებით გამოწვეული ეს ცვლილებები, ადამიანთა მთელ შემდგომ მოდგმაში გრძელდებოდა, რის შედეგადაც დაახლოებით ამ 30 000 წლის წინათ ადამიანის ორგანიზმმა ის სახე მიიღო, რომელიც მას დღეს აქვს. ეს ცვლილებები, იმ ცვლილებებთან ერთად რომლებიც ადამიანს შრომით პროცესში ბუნებაზე ზემოქმედების დროს თავის საკუთარ არსებაში შეაქვს გონებრივი განვითარების მხრივ, რითაც მას წინ მიჰყავს ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურა, რა თქმა უნდა, კვლავ გრძელდება და მომავალშიაც კვლავ გაგრძელდება.

შრომის იარაღების სახით, ბუნების საგანთა გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს უძველეს წინაპრებს წარმატებით გამოეყენები-

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა"), გვ. 174.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 227 — 228.

ნათ ეს იარაღები არა მხოლოდ მტრისაგან თავდასაცავად, არამედ ცხოველებზე კოლექტიური ნადირობისათვისაც. უხეში მცენარეული საკვებიდან ხორცეულ საკვებზე გადასვლამ კი ხელი შეუწყო ტვინის განვითარებას. ენგელსი აღნიშნავდა, ხორცეული საჭმელი თითქმის მზა სახით შეიცავს მასალას, რომელსაც ადამიანის სხეული საჭიროებს ნივთიერებათა ცვლისათვის და დიდად უწყობს ხელს ტვინის განვითარებასო, და დაასკვნიდა — ადამიანი ადამიანად ვერ გადაიქცეოდა ხორცეული საჭმლის გარეშეო.

მაგრამ ხორცეული საკვების მნიშვნელობა მხოლოდ ზემოთქმულით არ ამოიწურება. ენგელსი მიუთითებს, რომ ხორცეულ საკვებს მოჰყვა ახალი, დიდი მნიშვნელობის მქონე წინსვლა — ცეცხლის გამოყენება, რომელმაც გარდატეხა მოახდინა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში.

ელვა, ვულკანების ამოხეთქვა, ტყის ხანძარი საშუალებას აძლევდა ადამიანს დაჰკვირვებოდა ცეცხლის გაჩენას და შეეგნო მისი გამოყენების სარგებლიანობა. ცეცხლი მას ათბობდა და იცავდა მხეცების თავდასხმისაგან. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ტყეში ხანძრის გაჩენის შემდეგ, შემთხვევით ნახულმა ცხოველთა დამწვარი ლეშის ნაშთებმა მასში ის აზრი დაბადა, რომ ხორცი ცეცხლზე შეეწვა, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო საჭმლის დეზინფექცირებას და უკეთ შეთვისებას. ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ადამიანებმა პრაქტიკულად შეიგნეს ხორცზე ცეცხლის ზემოქმედების კეთილმყოფელი შედეგები. ადამიანმა დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდა ცეცხლის ხელოვნურად მიღება. იგი მხოლოდ ბუნებაში ნახულობდა და ამიტომ დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით უვლიდა და ინახავდა მას. ცეცხლზე ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე მან ბოლოს და ბოლოს ისწავლა ცეცხლის მოპოვება, ხის ტოტების ერთმანეთზე დარტყმისა და ხახუნის საშუალებით ისწავლა ცეცხლის დანთება, რითაც, გარკვეული აზრით, საბოლოოდ დააღწია თავი ბუნების სტიქიისადმი მორჩილებას. ცეცხლის საშუალებით ადამიანმა დაიკავა უფრო დიდი ტერიტორია და დასახლდა ისეთ ადგილებში, სადაც მას არ შეეძლო უცეცხლოდ ცხოვრება. ამავე დროს ცეცხლმა კიდევ უფრო დააახლოვა ადამიანები ერთიმეორეს.

ჩვენი ძველი წინაპრები, მაიმუნები, საზოგადოებრივი ცხოველები იყვნენ. მხოლოდ ერთად, პირველყოფილ ჯოგში, შეეძლოთ მათ საზრდოს მოპოვება და თავდაცვა გარშემორტყმულ ძლიერ მხეცთაგან. თვით ცხოვრება და არსებობისათვის ბრძოლის პირობები მოითხოვდა ამ პირველყოფილი კოლექტივის — გუნდის, ჯოგის უსათუოდ შენარჩუნებას და იგი მართლაც შენარჩუნებული იქნა. ჩვენი, შედარებით ახლო, წინაპრების — გაადამიანებული მაიმუნების შრომა და ცხოვრე-

ბაც კოლექტიური იყო. ენგელსი აღნიშნავს, რომ „შეუძლებელია ადამიანის, ამ ყველაზე უფრო საზოგადოებრივი ცხოველის, არასაზოგადოებრივი უახლოესი წინაპრებისაგან გამოყვანა“.[1] ანვითარებს რა იგივე აზრს ლენინი წერს: სინამდვილეში „ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი“ ღმერთის იდეას როდი აულაგმავს, იგი ალაგმა პირველყოფილმა ჯოგმაც და პირველყოფილმა კომუნამაც“.[2]

შრომის წყალობით მოპოვებულმა ბუნებაზე აქტიურმა ზემოქმედებამ გააფართოვა ჩვენი წინაპრების თვალთახედვა და გონებრივი არ. „მეორე მხრივ, შრომის განვითარება აუცილებლად ხელს უწყობდა იმას, რომ საზოგადოების წევრები უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ, ვინაიდან იგი ურთიერთმხარდაჭერის, საერთო მოქმედების შემთხვევებს ამრავლებდა და ამ ერთად მოქმედების სარგებლობის შეგნებას თითოეული ცალკე ინდივიდუუმისათვის ნათელს ხდიდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანები იქამდე მივიდნენ, რომ ერთმანეთისათვის რაღაც უნდა ეთქვათ. მოთხოვნილებამ თავისი ორგანოც შექმნა: მაიმუნის განუვითარებელი ხორხი ნელ-ნელა, მაგრამ ურყევად განიცდიდა გარდაქმნას... პირით ორგანოები კი თანდათან ეჩვეოდნენ დანაწევრებულ ბგერათა ერთმეორეზე გამოთქმას“.[3]

წარმოქმნილ მოთხოვნილებასთან ერთად, ადამიანში სამეტყველო ორგანოების შექმნას (გულმკერდის განვითარებას, ხორხის განვითარებას, ხმის დახვეწას, პირის ღრუსა და ბაგეთა სრულყოფასა და ა. შ.) ხელი შეუწყო ამართულმა სიარულმაც. დამახასიათებელია, რომ მრავალ ცხოველს და ფრინველს შეუძლია გამოსცეს მომწოდებელი ან საფრთხისაგან გამაფრთხილებელი დაუნაწევრებელი ბგერები. მაგრამ ურთიერთობის ამგვარი საშუალება, რაც მათთვის საკმაებით დამაკმაყოფილებელი და საკმარისია, სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ადამიანისათვის. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანი, განვითარების თვალსაზრისით, მათზე შეუდარებლად უფრო მაღლა იდგა. და აი, ადამიანთათვის, დაუნაწევრებელი ბგერების დამატებით გაჩნდა ჟესტიკულაცია და მიმიკა, ე. წ. „ხაზოვანი მეტყველება“, ხოლო შემდეგ კი, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოქმნის საფუძველზე „ხაზოვანი მეტყველება“ ბგერით დანაწევრებულ

---

[1] ფ. ენგელსი. შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა“), გვ. 176.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 120.

[3] ფ. ენგელსი. შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა“), გვ. 175.

მეტყველებაში გადაიზარდა, ე. ი. ადამიანმა დაიწყო ლაპარაკი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ხოლო სალაპარაკო ენა კი, შრომის შემდეგ და შრომასთან ერთად ქმნის იმ „ორ ყველაზე უფრო არსებით სტიმულს, რომელთა ზეგავლენითაც მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად, რომელიც, მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსების მიუხედავად, გაცილებით უფრო დიდია და უფრო სრულქმნილი"[1].

ცხოველთა პირველყოფილი ჯოგის ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებად გარდაქმნაში, ბგერით ენასთან ერთად და მასზე წინ, გადამწყვეტი როლი ითამაშა შრომამ. ამის შესახებ ენგელსი წერს: „ტვინისა და მისდამი დაქვემდებარებული გრძნობების განვითარება, განვითარება ცნობიერებისა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა...— უკუგავლენას ახდენდა შრომასა და ენაზე და სულ ახალ ახალ ბიძგს აძლევდა ორივეს შემდგომი განვითარებისათვის. ეს შემდგომი განვითარება, რომელმაც არამც თუ თავისი დასასრული არ ჰპოვა მას შემდეგ, რაც ადამიანი საბოლოოდ გამოეყო მაიმუნს, არამედ... მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ, მიიღო რა, ერთი მხრივ, ახალი მძლავრი ბიძგი, ხოლო მეორე მხრივ — უფრო გარკვეული მიმართულება იმის წყალობით, რომ დასრულებული ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა კიდევ ახალი ელემენტი—საზოგადოება. უეჭველია, რომ მრავალმა ასი ათასმა წელმა განვლო, — რაც დედამიწის ისტორიაში იმაზე მეტი მნიშვნელობა არა აქვს, რაც წამს ადამიანის ცხოვრებაში, — ვიდრე ხეებზე მცოცავი მაიმუნების ჯოგიდან ადამიანთა საზოგადოება წარმოსდგებოდა, მაგრამ საზოგადოება, ბოლოდაბოლოს მაინც გაჩნდა. და ჩვენ კვლავ რა დამახასიათებელ განსხვავებას ვპოულობთ მაიმუნთა ჯოგსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის? შ რ ო მ ა ს".[2]

იმისათვის, რომ ეარსებათ, ადამიანებს უნდა შეექმნათ მატერიალური დოვლათი, საარსებო საშუალებანი: საზრდო, ტანსაცმელი, ბინა, სათბობი, წარმოების იარაღები და ა. შ. ამ საშუალებების შესაქმნელად კი აუცილებელი იყო წარმოება. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველი წარმოება ინდივიდის მიერ ბუნების საგნების მითვისებაა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით. წარმოება ყოველთვის საზოგადოებრივი ხასიათისაა. წარმოების პროცესში იქმნება საზოგადოებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივი ყოფიერება. საზოგადოებრივ წარმოებას აქვს ორი განუყოფელი მხარე: საწარმოო ძალები, ე. ი. ადამიანთა დამოკიდებულება ბუნე-

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა"), გვ. 175.

[2] იქვე, გვ. 175 — 176.

ბის ძალებისადმი. და წარმოებითი ურთიერთობანი, ე. ი. ადამიანთა ურთიერთობანი წარმოების პროცესში. ამრიგად, მატერიალური დოვლათის წარმოება ადამიანთა საზოგადოების წარმოშობის, არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა და მიზეზია.

ჩვენი წინაპრები, რომლებიც ჰქმნიდნენ, თუმც უმარტივეს, მაგრამ უკვე ადამიანთა კოლექტივს, ადამიანთა საზოგადოებას, რომელიც განმტკიცებული იყო ერთობლივი შრომითა და ბუნების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით, აქტიურად ეგუებოდნენ ბუნებას. ხელოვნურად დამზადებული იარაღების შემწეობით, ისინი აქტიურად შეებრძოლნენ ბუნებას და იწყეს მისი თანდათანობითი დამორჩილება. ენგელსი წერს: „ცხოველი მხოლოდ სარგებლობს გარე ბუნებით და მასში ცვლილებებს ახდენს მხოლოდ თავისი არსებობით; ადამიანი კი, მის მიერ შეტანილი ცვლილებებით ბუნებას აიძულებს ემსახუროს მისსავე მიზნებს. ბატონობს მასზე. და ეს არის უკანასკნელი არსებითი განსხვავება ადამიანისა და ნარჩენი ცხოველებისაგან (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.) და აქაც კვლავ შრომაა, ამ განსხვავებას, რომ იწვევს“.[1]

ზოგიერთი იდეალისტი მეცნიერი, თუმცა არ ილაშქრებს ადამიანის ცხოველური წარმოშობის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ებრძვის მონოგენიზმს—პროგრესულ მეცნიერულ მოძღვრებას ადამიანთა წარმოშობის შესახებ ერთი და იგივე წინაპრებისაგან. მონოგენიზმის საწინააღმდეგოდ ისინი იცავენ პოლიგენიზმის თეორიას — თანამედროვე ადამიანის წარმოშობას სხვადასხვა ცხოველთა სახეობისაგან. პოლიგენისტები ანვითარებენ რასისტულ თეორიას, რომლის მიხედვითაც სამ სამშობლოს ცნობენ: ევროპას—თეთრი რასისათვის. აზიას—ყვითელი რასისათვის და ინდო-ავსტრალიას — შავკანიანი რასისათვის. მონოგენისტები კი მათ საპირისპიროდ და საწინააღმდეგოდ თვლიან, რომ ყველა რასა და ყველა ადამიანი ერთი შტოდან არის გამოსული და მაშასადამე, კაცობრიობასაც ერთი საწყისი აქვს. პოლიგენიზმი კაცთმოძულე რასიზმის დასაყრდენია. რასიზმი კი ქადაგებს თეთრკანიანთა უპირატესობას ყვითელ და შავკანიანებთან შედარებით და ცდილობს ამით დაასაბუთოს რეაქციული შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ერთი რასა გაჩენილია იმისათვის, რათა მეორეზე იბატონოს. პოლიგენისტთა მცდარობას და მონოგენისტთა სიმართლეს ის უდავო და ეჭვმიუტანელი ფაქტი ადასტურებს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ რასის წარმომადგენლები მეორეხარისხოვან გარეგნულ ნიშანთვისე-

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა“), გვ. 181.

ბათა განსხვავების მიუხედავად, ძირითადად საერთო ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური და ფსიქიკური ნიშანთვისებებით ხასიათდებიან, და რაც დრო გადის, კი არ შორდებიან ბიოლოგიურად ერთიმეორეს, არამედ, პირიქით, უახლოვდებიან.

ჩვენს პლანეტაზე, დედამიწაზე მაცხოვრებელ ყველა ადამიანს ერთი საერთო ბიოგრაფია აქვს. მას „კაცობრიობის ბიოგრაფია“ ეწოდება. „ხელის, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ერთობლივი მოქმედებით არა მარტო ცალ-ცალკე, არამედ საზოგადოებაშიც, ადამიანებმა შეიძინეს სულ უფრო და უფრო რთული ოპერაციების შესრულების, უფრო მაღალი მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარი. თვით შრომა თაობიდან თაობამდე უფრო სხვანაირი, უფრო სრულყოფილი, უფრო მრავალმხრივი ხდებოდა. ნადირობასა და მესაქონლეობას მიემატა მიწათმოქმედება, ამ უკანასკნელს — რთვა და ქსოვა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა. ნაოსნობა. ვაჭრობასა და ხელოსნობასთან ერთად, და ბოლოს, გაჩნდა ხელოვნება და მეცნიერება; ტომებისაგან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მათთან ერთად — ადამიანის ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში: რელიგია“.[1]

რელიგიის წარმოშობასა და, საერთოდ. მის არსზე ჩვენ მომდევნო თავში გვექნება საუბარი, ხოლო ამ თავში გადმოცემული სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის საკითხთა განხილვის საფუძველზე კი უფლება გვეძლევა გავაკეთოთ შემდეგი საერთო დასკვნა.

ორგანული მატერია მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნით — სიცოცხლისუნარიანობით, არაორგანული, არაცოცხალი მატერიის განვითარებას წარმოადგენს. მისი უფრო მაღალი, თვისებრივად ახალი ფორმაა, სიცოცხლე თავისი ბუნებით მატერიალურია და მისი არსი ორგანიზმის თვითგანახლებაში მდგომარეობს. ადამიანი კი წარმოიშვა ორგანული სამყაროს ბუნებრივი განვითარების გზით, ყოველგვარი მისტიკური თუ ღვთაებრივი ჩარევის გარეშე.

---

[1] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში („ბუნების დიალექტიკა“), გვ. 178 — 179.

რელიგიის აღმოცენება და მისი არსი

წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხების შესწავლის დროს, მართალია, სხვადასხვა სიღრმით, მაგრამ ყოველთვის ვიხილავდით მათ შესახებ არსებულ რელიგიურ თვალსაზრისსაც. რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩვენ მეტ-ნაკლებად უკვე შევეხეთ რელიგიასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს. ამიტომ საკმაებით ბუნებრივია, რომ ამ თავში, რომელშიც განვიხილავთ რელიგიის წარმოშობას, ზოგჯერ მოგვიხდება მათი ნაწილობრივ გამეორება, რათა უკეთ შევძლოთ რელიგიის არსის გარკვევა.

რელიგიის არსის გარკვევისათვის, უწინარეს ყოვლისა პასუხი უნდა გავცეთ ორ კითხვას: პირველი, რა არის რელიგია? და მეორე, როდის და როგორ წარმოიშვა იგი?

ღვთისმეტყველთა აზრით, რელიგია „ამ ქვეყნიერების შემოქმედის" ღვთისადმი (ღმერთისადმი) რწმენაა და იგი ადამიანის ბუნების განუყრელ ნაწილს შეადგენს, მისი არსებობისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და სასმელ-საჭმელი. მათი აზრით, რელიგია ის ძირითადი ნიშან-თვისებაა, რითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისა, თუ სხვა სულიერი არსებისაგან და ამიტომ იქ, სადაც არ არის რელიგია, არც ადამიანია, და პირიქით.

აქედან გამომდინარე, რელიგიური მსოფლმხედველობის მომხრენი „მტკიცებენ", რომ რელიგია ღმერთის მიერ ადამიანის გაჩენისთანავე გაჩნდა, ღმერთისავე ნება-სურვილით და ჩაგონებით, რომ იგი მუდმივია, და ამიტომ, ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს. ვიდრე ღმერთი არ შეცვლის თავის ნება-სურვილს ქვეყნიერებისა და ადამიანთა მიმართო.

ასეთია რელიგიის პასუხი დასმულ კითხვებზე.

ცხადია, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. ისინი რომ მიიღო, სიმართლედ ცნო და იწამო, ან უვიცი უნდა იყო, ან მეტისმეტად გულუბრყვილო, ანდა, პირველი ორიდან გამომდინარე, ფანატიკურად მორწმუნე. მორწმუნე იმ ზომამდე, რომ ანგარიში არ გაუწიო, არც მეცნიერულ მონაცემებს, არც ფაქტებსა და არც გონიერებას. ასეთები კი, რა თქმა უნდა, ყველანი როდი იყვნენ.

წარსულის მოწინავე მოაზროვნენი იმთავითვე ცდილობდნენ დასმულ კითხვებზე პასუხი მეცნიერების პოზიციებიდან გაეცათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძლავრად შეარყიეს რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძვლები, დასახული ამოცანის ბოლომდე შესრულება მაინც ვერ შესძლეს. ამაში მათ ხელი შეუშალათ მარქსამდელი მატერიალიზმის საერთო შეზღუდულობამ, რაც ენგელსის სახარტი გამოთქმით იმაში მდგომარეობდა, რომ ეს იყო „მატერიალიზმი ქვემოდან და იდეალიზმი ზემოდან", ე. ი. ეს იყო მატერიალიზმი ბუნების მოვლენების გაგებაში და იდეალიზმი საზოგადოებრივ მოვლენების გაგებაში. საზოგადოებრივ მოვლენებზე იდეალისტურ შეხედულებათა გამო, მარქსამდელმა მოაზროვნეებმა. ვერ შესძლეს სწორად და ამდენად მეცნიერულად აეხსნათ საზოგადოებრივი მოვლენები, ამიტომ მათ ვერც რელიგიის არსის გარკვევა შესძლეს. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მატერიალისტი მოაზროვნენი ამავე დროს პირველი ათეისტებიც[1] იყვნენ. მათ მიერ მატერიალისტური პრინციპების აღიარება და დაცვა რელიგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ მათ ათეიზმს არ ჰქონდა და, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. არც შეიძლებოდა ჰქონოდა მეცნიერული ხასიათი. ეს იყო მხოლოდ ათეიზმის მეცნიერული დასაბუთების ცდა.

ყველა ათეისტი მოაზროვნე ხაზს უსვამდა ღმერთისადმი რწმენის სიყალბეს და ცდილობდა დაეაბუთებინა ღმერთის, სულების, წმინდანების, მოციქულებისა და სხვა მისთანანის, ერთი სიტყვით, „იმქვეყნიური ცხოვრებისა" არარსებობა. ისინი ცდილობდნენ აგრეთვე განემარტათ. თუ რა არის რელიგია და აეხსნათ. თუ როგორ წარმოიშვა იგი. შევეხოთ რამდენიმე მათგანს, ათეისტთა ყველაზე ტიპიური წარმომადგენლების. შეხედულებებს აღნიშნულ საკითხზე.

დავიწყოთ ანტიკური ხანის ძველი ბერძენი ფილოსოფოსებიდან, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ზოგად. გელუბრყვილო მატერიალისტურ მოძღვრებას ბუნებასა და ადამიანის შესახებ. სწორედ მათზე სწერდა ენგელსი, რომ „უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები, იმავე დროის ბუნების მკვლევარნიც იყვნენ"[2] ასე მაგალითად. პირველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა თალესმა (ცხოვრობდა დაახლოებით 624—547 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ყველა არსებულის საწყისად. საიდანაც მთელი მრავალფეროვანი ბუნება წარმოიქმნა, ასევე ქმნა კონკრეტული საგნებითა და მოვლენებით, ღმერთის მაგიკ-

---

[1] ათეიზმი — ბერძნული სიტყვაა: a — არა, თეოს — ღმერთი, ნიშნავს ღმერთობას, რელიგიური რწმენის მეცნიერულად დასაბუთებულ ცარიელებას.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა. გვ. 190.

რად წყალი გამოაცხადა და ამტკიცებდა, რომ ყველა არსებულის საწყისი წყალია და ყველაფერი, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება, წყლისაგან წარმოიშვებაო. მეორე ბერძენმა ფილოსოფოსმა ანაქსიმენმა (588 — 524 წწ.) ასეთად ჰაერი მიიჩნია, ხოლო ჩვენს მიერ ადრე უკვე მოხსენიებული ჰერაკლიტე (544 — 475 წწ.) კი წერდა: „სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, შექმნილი არ არის არცერთი ღმერთისაგან და არცერთი ადამიანისაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ჰქრება".

სამყაროს წარმოქმნის შესახებ რელიგიურ შეხედულებას არ იზიარებდა აგრეთვე ცნობილი რომაელი ფილოსოფოსი, პოეტი — კარლ ლუკრეციუსი (99 — 55 წწ.). თავის მატერიალისტურ შეხედულებებში იგი იმ აზრს ატარებდა, რომ არაფრისაგან რაიმეს გაჩენა არავის არ ძალუძს, ამიტომ არარაობისაგან ღმერთის მიერ „ამ ქვეყნის" შექმნის რწმენაც უნიადაგო და ყოვლად დაუსაბუთებელიაო. პოემაში „საგანთა ბუნების შესახებ" იგი წერს:

„არარაისაგან თითონ ღმერთიც ვერარას შექმნის
და იმის გამო იპყრობს შიში ყოველსა მოკვდავს,
რადგან ბევრს რასმე ხედავს იგი ზეცად და ქვეყნად,
რომელთ მიზეზის გამოცნობას ვერ მისწვდომია
და ფიქრობს, ვითომც ღმერთი იყოს ყოვლის მოქმედი"[1].

„ძველი დროის უდიდესი მოაზროვნე"[2] არისტოტელე (384—322 წწ.) კი წერდა: „ადამიანი თავისი ღმერთების გარეგან სახეს და მათი ცხოვრების ურთიერთობას ჰქმნის საკუთარი თავის მსგავსად".[3]

ასე მძაფრად და მამაცურად ილაშქრებდნენ ძველი დროის მოწინავე მოაზროვნენი ბნელეთის მოციქულთა მიერ კალთაგადაფარებულ რელიგიურ დოგმათა წინააღმდეგ და თუმც, ცოდნისა და განათლების საერთო დაბალი დონის გამო ისინი პირველხანებში ერთგვარად გულუბრყვილო, ხოლო შემდგომ ხანებში კი, მართალია სწორ, მაგრამ არასრულყოფილ მოსაზრებებს გამოსთქვამდნენ, მაინც დაუცხრომლად მიიწევდნენ წინ და ნათელი აზრით შუქმოფენილნი ჭეშმარიტებას უახლოვდებოდნენ.

ასე გრძელდებოდა მთელი ანტიკური ეპოქის განმავლობაში. შემდეგ კი, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოხდა. ანტიკური მონათმფლობელური ეპოქა

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, 11, 1950 წ., გვ. 246.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 419.

[3] არისტოტელე, პოლიტიკა, 1, 7.

შუა საუკუნეებში (ჩვენი წელთაღრიცხვის V—XV საუკუნეები) ფეოდალურმა ეპოქამ შესცვალა, რომელიც მართალია, საწარმოო ძალების განვითარების მხრივ წინ იდგა მონათმფლობელურ ფორმაციასთან შედარებით, მაგრამ ძლიერ ჩამორჩებოდა მას (განსაკუთრებით პირველი ნახევრის მანძილზე) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

შუა საუკუნეებში კაცობრიობის კულტურული განვითარება შეჩერდა. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამ პერიოდს ენგელსი ასე ახასიათებს: „შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა უპირატესად თეოლოგიური მსოფლმხედველობა იყო. ამასთან ერთად სამღვდელოება იყო ერთადერთი განათლებული კლასი. აქედან თავისთავად გამომდინარეობდა, რომ ეკლესიის დოგმა გადაქცეული იყო გამოსავალ მომენტად და საფუძვლად ყოველგვარი აზროვნებისა. იურისპრუდენცია, ბუნებათმცოდნეობა, ფილოსოფია — მთელი შინაარსი ამ მეცნიერებისა ეკლესიის მოძღვრებასთან შესაბამისობაში მოჰყავდათ“[1]. ეს იყო პერიოდი, როდესაც რელიგია გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა. მაგრამ ათეიზმი თვით ამ პერიოდშიც კი ვითარდებოდა, ერთის მხრივ, კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა და, მეორეს მხრივ საბუნებისმეტყველო მეცნიერების წინსვლის საფუძველზე.

ახალი ხანა შუა საუკუნეების მიწურულიდან იწყება. ამ ხანას დასაბამი მისცა დიდმა პოლონელმა მეცნიერმა ნიკოლოზ კოპერნიკმა (1473 — 1543 წწ.) გენიალური ნაშრომის—„ციურ სხეულთა მოქცევის შესახებ“ გამოქვეყნებით, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მისი ცნობილი ჰელიოცენტრისტული თეორია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენგელსი წერდა, რომ ამ შრომის გამოქვეყნებისთანავე „... იწყება ბუნების კვლევის თეოლოგიისაგან განთავისუფლების თარიღიო“.[2] კოპერნიკის, ხოლო მის შემდგომ კი ჯორდანო ბრუნოსა (1548—1600 წწ.) და გალილეო გალილეის (1564 — 1642 წწ.) დიდი მეცნიერული აღმოჩენების შედეგად ძირი გამოეთხარა რელიგიურ დოგმებს. აკი კიდეც სწერდა გალილეი „მხოლოდ რელიგიურ დოგმათა სიკვდილის შემდეგ იწყება ლეო გალილეის (1564—1642 წწ.) დიდი მეცნიერული აღმოჩენების ვოლტერმა (1694 — 1778 წწ.), რუსომ (1712 — 1778 წწ.), დიდროტებით ცდილობდნენ სიმართლის ჩახშობას. ისინი არაადამიანური სიმკაცრით ებრძოდნენ ათეისტური მსოფლმხედველობის ყოველგვარ გამოვლინებას.

მაგრამ ვერც კოცონთა მწველმა ალმა, ვერც ინკვიზიციის შანთებ-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XVI, გვ. 295.

[2] იქვე.

მა, ვერც ტანჯვა-წამებამ, ვერც გადასახლებებმა და ვერც პიროვნების შეუფაცხმყოფელმა სხვა საშუალებებმა ვერ შესძლეს ათეისტური შეხედულებების აღმოფხვრა. საღი აზრი და გონიერება კვლავ შეუპოვრად განაგრძობდა რელიგიური ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ახალმა ხანამ ახალი მოწინავე პიროვნებანი წარმოშვა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მე-18 საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა — ვოლტერმა (1694 — 1778 წ წ.), რუსომ (1712 — 1778 წ წ.), დიდრომ (1713 — 1784 წ წ.), ჰელვეციუსმა (1715 — 1771 წ წ.), ჰოლბახმა (1723 — 1789 წ წ.) და სხვებმა, რომელთაც ლენინი მებრძოლ ათეისტებს უწოდებდა. ღვთისმეტყველების საწინააღმდეგოდ ფრანგმა მატერიალისტებმა შექმნეს მასებისათვის მისაწვდომი, პოპულარული, მებრძოლი ათეისტური ლიტერატურა, რომელშიც გასაგებად და ნიჭიერად ასაბუთებდნენ რელიგიური რწმენის სიყალბეს. თავიანთ ათეისტურ ნაშრომებში ისინი მარჯვედ მოტანილი მაგალითებით თვალნათლივ ცხადყოფდნენ, რომ ღმერთის არსებობისადმი რწმენა ადამიანს იმ დროიდან გაუჩნდა, როცა იგი ვერ წვდებოდა ბუნების მოვლენების, ბუნების ძალების მოქმედების მიზეზებს, რომ რელიგიის ფესვები უნდა ვეძიოთ არა გამოგონილ ზეციურ სამეფოში, არამედ დედამიწაზეო. ლენინი თავის ნაშრომში „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" ხაზს უსვამს ფრანგული ათეისტური ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას და წერს: „XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე გონებამახვილად და აშკარად თავდამსხმელი პუბლიცისტიკა ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვაღვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი მშრალი, მარჯვედ შერჩეული ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსურათებელი გადმოღეჭვა მარქსიზმისა, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად... ამახინჯებენ მარქსიზმს".[1]

დიდი ფრანგი განმანათლებლების უშუალო წინამორბედი იყო მე-18 საუკუნის ათეიზმის პირველი მგზნებარე პროპაგანდისტი, პროფესიით მღვდელი ჟან მელიე (1664—1722 წ წ.), რომლის მატერიალიზმიც ფრანგი მატერიალისტების ერთ-ერთ ფილოსოფიურ წყაროს წარმოადგენდა. ჟან მელიეს მხოლოდ ერთი ნაშრომი აქვს, მას „ანდერძი" ეწოდება. იგი მკითხველს თავის შრომაში ასე მიმართავს: „იცოდეთ მეგობრებო, რომ ღვთაებისათვის ყოველგვარი თაყვანისცემა ცდუნებაა, ბოროტმოქმედებაა, ილუზიაა, სიცრუე და შარლატანობაა, რომ ყველა

---

[1] ლენინი. ტ. 33. 266.

კანონი და დეკრეტი, რომლებიც გამოცემულია ღმერთისა თუ ღმერთების სახელითა და ძალადობით, მხოლოდ ადამიანის შეთხზულია“... და შემდეგ „უაზრობაა ბუნებისა და ბუნებრივ საგანთა წარმოშობის ასახსნელად ყოვლის შემოქმედი ღმერთის არსებობის ჰიპოტეზას მივმართოთო“[1].

ამ აზრს დიდრო ასე ანვითარებს: „...არავითარი ღმერთი არ არსებობს... ქვეყნის გაჩენა — ცარიელი ქიმერაა... იმისათვის, რომ მე არ მაქვს შესაძლებლობა ჩავსწვდე, თუ როგორ შეეძლო მოძრაობას წარმოეშვა ეს სამყარო... სასაცილო იქნებოდა ამ სიძნელის გადალახვა ისეთი არსების ყოფიერების ვარაუდით, რომელიც ჩემთვის ასეთივე მიუწვდომელი იქნებოდა“.[2] ასეთივე ანტირელიგიური შეხედულებები აქვთ გადმოცემული თავიანთ შრომებში დანარჩენ ფრანგ განმანათლებლებსაც. გავიხსენოთ მათი ფრთიანი გამონათქვამები. ჰელვეციუსის აზრით, ყველა და ყოველგვარი რელიგია მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. რუსო კი ხმამაღლა ამბობდა, რომ რელიგია მონობას ქადაგებსო. ვოლტერის ზედაპირული და ცალმხრივი წარმოდგენით, რელიგია იმის შედეგად წარმოიშვა, რომ სულელი მატყუარას შეხვდა, თუმცა იგი სხვა ადგილზე სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ, მართალია, ყველა ადამიანი იბადება ცხვირით და ხელზე ხუთი თითით. მაგრამ ჯერ არავინ დაბადებულა ღმერთისადმი თანდაყოლილი რწმენითო. ხოლო ჰოლბახი კი, რომელსაც რელიგიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გამო ზედმეტსახელად „ღმერთის პირადი მტერი“ უწოდეს, ასე განსაზღვრავდა რელიგიას: რელიგია ეს არის ღვთისმეტყველთა მიერ შემუშავებული შეხედულებათა და ყოფაქცევათა მთელი სისტემა, რომელიც ადამიანთა დამონებას ემსახურებაო.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მაღალ შეფასებას აძლევდნენ რა ფრანგი მატერიალისტების მიერ რელიგიური წარმოდგენების კრიტიკას, ამავე დროს ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ფრანგული ათეიზმი, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგია არათანმიმდევრული და შეზღუდული იყო, რის გამოც ფრანგი განმანათლებლები საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნაში მაინც იდეალისტებად დარჩნენ, ამიტომ მათ ვერ შესძლეს ბოლომდე აეხსნათ ისეთი საზოგადოებრივი მოვლენის ნამდვილი არსი, როგორიცაა რელიგია. მათ ვერ შესძლეს რელიგიის ისტორიული, სოციალური და გნოსეოლოგიური[3] ფესვების თანმიმდევრული მატე-

---

[1] ჟან მელიე, ანდერძი, გვ. 402.

[2] დ. დიდრო, ესთეტიკა, ფილოსოფია, სოციოლოგია, გვ. 128.

[3] გნოსეოლოგია — ბერძნულად „გნოსის“ შემეცნება, „ლოგოს“ მოძღვრება. — შემეცნების თეორია. ფილოსოფიური მოძღვრება იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს უნარი შეიცნოს სინამდვილე და ჩასწვდეს ჭეშმარიტებას.

რიალისტური ახსნა. ფრანგი მატერიალისტებისათვის გაუგებარი დარჩა ის გარემოება, რომ რელიგიას წარმოშობს და ასულდგმულებს ყოფიერება, ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობები და არა ცნობიერება. რელიგიის წარმოშობის ახსნა მხოლოდ უვიცობით ან წინასწარ მოფიქრებული მოტყუებით. რა თქმა უნდა, სწორი არ არის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მეტად ზედაპირული და ცალმხრივი ახსნაა. რასაკვირველია, ერთის მხრივ, უვიცობამ და, მეორეს მხრივ, ამ უვიცობის ბოროტად გამოყენებამ ხელი შეუწყო რელიგიის წარმოშობას და გავრცელებას, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. განა ყველა ჩვენთაგანმა არ ვიცით, რომ ხშირად შევხვდებით უსწავლელ, ზოგჯერ თვით წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანსაც კი, რომელიც ურწმუნოა. ზოგჯერ კი პირიქით, ფრიად განსწავლულ და განათლებულ ადამიანთა შორისაც გვხვდებიან მორწმუნეები. ეს აიხსნება იმ ისტორიული პირობებით, რომლებშიც მათ უხდებათ ცხოვრება, აგრეთვე მათი კლასობრივი შეგნებულობის დონით.. რელიგიის წარმოშობას ხელი შეუწყო თვით ცხოვრების პირობებში არსებულმა სერიოზულმა და ღრმა მიზეზებმა. ენგელსის აზრით, რელიგია რომელიც ასეული წლების განმავლობაში „ბატონობდა ცივილიზებული კაცობრიობის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე, არ შეიძლება გააქარწყლო მარტო იმის განცხადებით, რომ იგი მატყუარების მიერ შეთხზული უაზრობაა. რელიგია რომ გაიგო, ამისათვის საჭირო შეგეძლოს განმარტო მისი წარმოშობა და მისი განვითარება იმ ისტორიული პირობებიდან, რომლებშიც იგი აღმოცენდა და მიაღწია ბატონობას".[1] ფრანგი განმანათლებლების მატერიალიზმის ცალმხრივობა, ისტორიაზე იდეალისტური თვალსაზრისი, კლასობრივი შეზღუდულობა — აი რა განსაზღვრავდა არსებითად მე-18 საუკუნის ათეიზმის ნაკლოვანებებს. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მაინც პროგრესული მოვლენა იყო.

მომდევნო ხანის ათეისტებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს ლუდვიგ ფოიერბახს (1804 — 1872 წ წ.), რომლის ისტორიული დამსახურება, საერთოდ, იმაში მდგომარეობს, რომ მან მოგვცა ჰეგელის იდეალიზმის კრიტიკა და მატერიალიზმი თავის უფლებებში აღადგინა. ამავე დროს ფოიერბახმა ჰეგელის იდეალიზმის კრიტიკა რელიგიის კრიტიკას დაუკავშირა, რითაც თავისი თავი გასული საუკუნის მოწინავე მოაზროვნეთა და ათეისტთა რიგებში ჩააყენა. მან პირველმა მიუთითა, რომ ჰეგელის

---

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, გვ. 4.

იდეალიზმის საფუძველი „აბსოლუტური სული", სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის „შელამაზებული" სახეცვლილება. იდეალიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ფოიერბახი მივიდა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ყოფიერებისა და ცნობიერების დამოკიდებულების საკითხის, მატერიალისტურად გადაწყვეტამდე. მან თავის წიგნში „ქრისტიანობის არსება" ის აზრი გაატარა, რომ ადამიანმა თავისი გონებით, აზრებითა და განწყობილებებით შექმნა ღმერთი, რომელიც სინამდვილეში რეალურად არ არსებობს და კატეგორიულად აცხადებდა, რომ მტკიცება, თითქოს რელიგია ადამიანთა თანღაყოლილ თვისებას შეადგენდეს, მცდარი და არასწორი მტკიცებაა. რელიგიის უვიცობა, გაჭირვება, ტექნიკური ჩამორჩენილობა და უკულტურობა წარმოშობს, ადამიანები კი ზოგჯერ თავისდაუნებლიედაც, თაეიანთი საჭმიანობითა და ყოფაცხოვრებით თვითვე უარყოფენ ღმერთის ყოვლისშემძლეობის ცრურწმენასო.

მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვერც ფოიერბახმა შესძლო თავისი ათეიზმი თანმიმდევრულ და სრულყოფილ ათეიზმად ექცია, რადგან მატერიალიზმის პრინციპები ვერც მან ვერ გაავრცელა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე და ამ მოვლენების გაგებაში იდეალისტად დარჩა.

მარქსამდელ ათეისტებთან შედარებით, ყველაზე უფრო ღრმად რელიგიის არსს რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ჩასწვდნენ. მე-19 საუკუნის გამოჩენილმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა: ბელინსკიმ (1811 — 1848 წ წ.), გერცენმა (1812 — 1870 წ წ.), ჩერნიშევსკიმ (1828 — 1889 წ წ.), დობროლუბოვმა (1836 — 1861 წ წ.) და პისარევმა (1840 — 1868 წ წ.) გაბედული ათეისტური შეხედულებებით გაილაშქრეს რელიგიის წინააღმდეგ. ისინი ფართოდ განიხილავდნენ და თვალნათლივ ააშკარავებდნენ რელიგიურ დოგმათა მცდარობას, სიყალბესა და მავნებლობას. ამას გარდა მათ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არსებული წყობილების, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დაუკავშირეს. სწორედ ამით განსხვავდებოდნენ ისინი თავიანთი წინამორბედებისაგან, რომლებიც ზოგჯერ რელიგიის დაძლევის იმედებს „განათლებული მონარქების" დახმარებაზედაც კი ამყარებდნენ (მაგალითად ჰოლბახი) და სწორედ ამაშივე მდგომარეობს მათი დიდი დამსახურებაც.

ბელინსკი წერდა, რომ სიტყვებში ღმერთი და რელიგია მე ვგულისხმობ სიბნელეს, წყვდიადს, ბორკილებს და მათრახებს და ისევე მიყვარს ეს სიტყვები, როგორც ისინი, რომლებშიც მათ ვგულისხმობო. გერცენი დაუნდობლად ამხელდა რელიგიური მორალის რეაქციულობას, რომელიც მისი აზრით მორჩილებასა და ნებაყოფლობით მონობას

ქადაგებდა. ჩერნიშევსკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ხუცურ კაცთმოძულეობას და ირონიულად შენიშნავდა, რელიგიის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ გაჭირვებულნი და მშიერნი შეარიგოს იმ აზრს, რომ ისინი მუდამ მშიერნი უნდა იყვნენ და უნდა უხაროდეთ, რომ მათი ბედი ასეთიაო. ხოლო დობროლუბოვი კი წერდა: „ყოველ ხალხს, პირველი ზნეობრივ-რელიგიური ცნებები ბუნების განმაცვიფრებელ მოვლენათა ზეგავლენით შეუმუშავდა. უმწეო გონება, რომელიც უძლური იყო ასეთი რამ ბუნებრივი გზით აეხსნა, სრულ უვიცობაში ვარდებოდა, რადგან ყოველგვარ მოქმედებას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდა“.[1] პისარევი ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს აგვირგვინებდა იმით, რომ წინასწარმეტყველებდა, — რელიგია მეცნიერებასთან ბრძოლაში გამანადგურებელ დამარცხებას იგემებსო.

მაგრამ, იმდროინდელი რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, კერც რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა შესძლეს ისტორიის მატერიალისტური გაგება, და ამდენად, მათ ვერც რელიგიის მეცნიერული გაგება შესძლეს. ისინი რელიგიური ცრურწმენის აღმოფხვრას მასებში განათლების შეტანითა და თეორიული ქადაგებით ცდილობდნენ, რაც აშკარად ადასტურებს რუსი მატერიალისტების ათეისტურ შეხედულებათა შეზღუდულობას.

ათეიზმის უმაღლეს ფორმას, ათეიზმის მეცნიერულ თეორიას, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ ჩამოყალიბებული, პროლეტარული ათეიზმი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. პროლეტარულმა ათეიზმმა მიიღო და შეითვისა ყველაფერი ის სწორი და მართებული, რაც მარქსამდელ ათეიზმს გააჩნდა. მან გააგრძელა დადებითი ათეისტური ტრადიციები, რაც მოპოვებული იყო მარქსამდელი მატერიალიზმის მიერ კულტურისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. მაგრამ მან არა მხოლოდ გააგრძელა ეს ტრადიციები, არამედ ძველი ათეიზმის შეზღუდულობათა კრიტიკის გზით განავითარა და სრულყო იგი. ლენინი შრომაში „მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი“ წერდა: „მარქსიზმი არის მატერიალიზმი როგორც ასეთი, იგი ისევე ულმობელი მტერია რელიგიისა, როგორც XVIII საუკუნის ენციკლოპედისტთა მატერიალიზმი ან ფოიერბახის მატერიალიზმი. ეს უეჭველია. მაგრამ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი ენციკლოპედისტებსა და ფოიერბახზე უფრო შორს მიდის, რადგან მატერიალისტურ ფილოსოფიას იმარჯვებს ისტორიის დარგში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მთელი მატერიალიზმისა და. მაშა-

---

[1] ნ. ა. დობროლუბოვი, თხზ., ტ. 3, გვ. 412.

სადამე, მარქსიზმის ანბანზე. მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის. მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს: უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან. ხოლო ამისათვის საჭიროა მატერიალისტურად ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო. რელიგიასთან ბრძოლა არ შეიძლება შევზღუდოთ აბსტრაქტულ-იდეოლოგიური ქადაგებით, არ შეიძლება ასეთი ქადაგებით განვისაზღვროთ. ეს ბრძოლა უნდა დავუკავშიროთ რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას".[1]

მხოლოდ პროლეტარულმა ათეიზმმა შესძლო მეცნიერული და ამდენად, სწორი და ამომწურავი პასუხი გაეცა რელიგიის არსის გარკვევისათვის აუცილებელ ორივე კითხვაზე, სახელდობრ: რა არის რელიგია? და, როგორ და როდის წარმოიშვა იგი?

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, იგი საზოგადოებრივი ყოფიერების, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების ასახვაა. მაგრამ რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმა, საზოგადოებრივი ყოფიერების თავისებურ ასახვას წარმოადგენს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სინამდვილეს, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს ასახავს დამახინჯებული, ფანტასტიკური სახით.

რელიგია — ეს არის დამახინჯებული, ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანთა აზროვნებაში მათზე გაბატონებული ბუნებისა და საზოგადოებრივი ძალებისა.

ენგელსი აღნიშნავს, რომ კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის შემდეგ ბუნების ძალების გვერდით მოქმედება დაიწყეს საზოგადოებრივმა ძალებმაც, რომლებიც ისევე უცხო და თავდაპირველად გამოუცნობი იყვნენ ადამიანებისათვის, ისევე უპირისპირდებოდნენ მათ და ისეთივე ბუნებრივი მოჩვენებითი აუცილებლობით ბატონობდნენ მათზე, როგორც თვით ბუნების ძალები. ის ფანტასტიკური სახეები, რომლებშიც მანამდე მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდნენ, კლასობრივ საზოგადოებაში გამოდიან, როგორც ისტორიული ძალების წარმომადგენლები, იძენენ რა საზოგადოებრივ ნიშნებს. ამის შესახებ ენგელსი წერს: „ყოველი რელიგია წარმოადგენს მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკურ ანარეკლს ადამიანის თავში, რომელნიც ადამიანის ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ: ესაა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 496.

ანარეკლი, სადაც ქვეყნიური ძალები ზეციური ძალების სახეს ღებულობენ. ისტორიის დასაწყისში ამ ანარეკლს თავდაპირველად ბუნების ძალები განიცდიან; ისინი სხვადასხვა ერის შემდგომს განვითარებაში მრავალგვარ და მრავალფერად განპიროვნებას პოულობენ... მაგრამ ჩქარა. ბუნების ძალებთან ერთად, მოქმედებას იწყებენ საზოგადოებრივი ძალებიც, რომელნიც თავდაპირველად ისევე უცხო და გამოუცნობი არიან ადამიანისათვის, ისეთივე მოჩვენებითი სტიქიური აუცილებლობით ბატონობენ მასზე, როგორც თვით ბუნების ძალები. ფანტასტიკური ფორმები, რომლებშიც თავდაპირველად მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდნენ, ახლა საზოგადოებრივ ატრიბუტებს იძენენ, ისტორიული ძალების წარმომადგენლები ხდებიან".[1]

ამრიგად, პროლეტარული ათეიზმის მიხედვით, რელიგიის საფუძველს შეადგენს ერთის მხრივ, ადამიანის უძლურება ბუნების ძალებთან ბრძოლაში, მეორეს მხრივ კი, საზოგადოებრივი ძალების ბატონობა, მშრომელი მასების სოციალური დაბეჩავება და დამონება. პირველი მხარე ცნობილი იყო მარქსამდელი ათეიზმისათვის, მეორე კი არა. მეორე მხარე პროლეტარული ათეიზმის თავისებურებაა, მარქსამდელი ათეიზმისაგან გაანმასხვავებელი მისი ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

მაშასადამე, ცხადი ხდება რომ რელიგია არ წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ ნიშან-თვისებას და ამით ყოველგვარი საფუძველი ეცლება რელიგიის მუდმივობის მითსაც.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ და როდის წარმოიშვა რელიგია, ე. ი. პასუხი გავცეთ მეორე კითხვას. მაგრამ ვიდრე რელიგიის წარმოშობის ისტორიას განვიხილავდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ თვით ტერმინი „ისტორია".

„ისტორია" ბერძნული სიტყვაა და თავდაპირველად იგი რაიმე საგნისა თუ მოვლენის შესწავლასა და მის თხრობით ან წერილობით გადმოცემას ნიშნავდა. ამჟამად კი, ტერმინს „ისტორია" ორგვარი გაგება აქვს. კონკრეტულად მასში იგულისხმება ადამიანთა საზოგადოების განვითარების შემსწავლელი ცალკე მეცნიერული და სასწავლო დისციპლინა, ხოლო ზოგადად კი, იგი მოიცავს, როგორც წმინდა საზოგადოებრივ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებს. ასე მაგალითად, პირველ მათგანს, ე. ი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებს მიეკუთვნებიან: სახელმწიფოს ისტორია, კლასთა ბრძოლის ისტორია, სამართლის ისტორია, რელიგიის წარმოშობის ისტორია და სხვა და სხვა (რა თქმა უნდა, მათ შორის უწინარეს ყოვლისა იგულის-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ, 1940 წ., გვ. 6.

ხმება ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორია, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინში „ისტორია“ უმთავრესად სწორედ მას გულისხმობენ), ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებს კი მიეკუთვნებიან: სამყაროს ისტორია, მზის სისტემის ისტორია, დედამიწის ისტორია, ქიმიის ისტორია, ფიზიკის ისტორია და სხვა და სხვა.

რელიგიის წარმოშობის ისტორია გადაჯაჭვულია ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების წარმოშობის ისტორიასთან და მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ადამიანის წარმოშობის პერიოდში არავითარი რელიგია არ არსებობდა. რელიგიის წარმოშობას წინ უძღოდა ურელიგიო პერიოდი, რომელიც ათეული ათასი წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

ადამიანს პირველ ხანებში ტვინი ჯერ კიდევ არ ჰქონდა ისე განვითარებული, რომ სწორად შეეცნო ბუნებაში არსებული საგნები და მოვლენები. უფრო მეტიც, მის აზროვნებაში ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ფანტასტიკური წარმოდგენები ზებუნებრივი სამყაროს შესახებ. მას თვით გარემომცველი ბუნების ყალბად ასახვაც კი არ ძალუძდა, რაც ყველა რელიგიის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს. გარდა ამისა, უბრალოდ, მას ფიქრისათვის დროც არ რჩებოდა. მისი იარაღები იმდენად მარტივი და ბლაგვი იყო, რომ მთელი მისი დრო არსებობისათვის აუცილებელი საკვების, საცხოვრებელი ბუნაგისა და ტანსაცმლის შექმნასა და მოპოვებას მიჰქონდა. 1883 წლის 17 მარტს მარქსის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ენგელსი აღნიშნავდა, რომ მარქსმა“... აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი, რომელიც მიჩქმალული იყო იდეოლოგიურ მოსაზრებათა სამოსელში, რომ ადამიანებმა პირველყოველისა უნდა იზრუნონ საჭმელზე, სასმელზე, საცხოვრებელ ბინაზე და ტანისამოსზე და მხოლოდ შემდეგ ეწეოდნენ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიასა და სხვა“[1]. მაშასადამე, ადამიანი თავის ისტორიას იწყებს ყოველგვარი იდეოლოგიის, მათ შორის რელიგიური იდეოლოგიის გარეშე.

იმისათვის რომ წარმოშობილიყო რელიგია, ე. ი. იმისათვის, რომ ადამიანს ბუნების ძალებისადმი მიეწერა ზებუნებრივი თვისებები, შეექმნა ღმერთი და ღმერთის არარსებული სამყარო, საჭირო იყო მას გამომუშავებოდა დანაწევრებული მეტყველების, განყენებული აზროვნების, წარმოსახვისა და ფანტასტიკური წარმოდგენების უნარი. და მართლაც განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ადამიანებმა შეიმუშავეს ფანტასტიკური წარმოდგენები ზებუნებრივ სამყაროზე. მაგ-

---

[1] ფ. ენგელსი, წერილები კარლ მარ[illegible] დილის შესახებ, გვ. 5.

რამ აქვე ხაზგასმით უნდა მივუთითოთ, რომ ზებუნებრივი ძალების წარმოდგენა, იმის წარმოდგენა, რომ არსებობს ღმერთი, — გონების ძლიერების შედეგი კი არაა, არამედ პირიქით, მისი ჩამორჩენილობის შედეგია. „რელიგია, — წერს ენგელსი,—მეტისმეტად პირველყოფილ ხანაში წარმოიშვა ადამიანის უვიცური, ველური წარმოდგენებიდან თავისი თავისა და გარეგანი ბუნების შესახებ"[1].

რით აიხსნება, რომ ადამიანმა თავიდანვე სწორად ვერ შეიცნო და ვერ ახსნა ბუნებაში არსებული საგნები და მოვლენები? რით აიხსნება, რომ ბუნების შესახებ მისი პირველი წარმოდგენები ესოდენ დამახინჯებულნი და ფანტასტიკურნი იყვნენ? ეს აიხსნება იმდროინდელ ადამიანთა საზოგადოების ანუ პირველყოფილი ჯოგის წარმოების უაღრესად ჩამორჩენილი წესით, ეკონომიური ცხოვრების მეტად დაბალი დონით, ტვინისა და მისი პროდუქტის აზროვნების მეტად სუსტი განვითარებით. ენგელსი მიგვითითებს, რომ „...ყოველი რელიგია, სხვა არა არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ. ისტორიის დასაწყისში ამ ანარეკლის ობიექტები, უპირველეს ყოვლისა, ბუნების ძალები იყვნენ"[2]. ხოლო ლენინი კი აღნიშნავდა, რომ „...ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას".[3]

უძველესი ადამიანი დაახლოებით 700 — 600 ათასი წლის წინათ წარმოიშვა. ამის შემდეგ დაახლოებით 600 — 500 ათასი წლის განმავლობაში ადამიანებმა არ იცოდნენ არავითარი რელიგია. კაცობრიობის ისტორიაში ეს იყო რელიგიამდელი, ანუ ურელიგიო პერიოდი. პ ი რ ვ ე ლ ი რ ე ლ ი გ ი უ რ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ი კ ი წ ა რ მ ო ი შ ვ ნ ე ნ დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 80 — 100 ა თ ა ს ი წ ლ ი ს წ ი ნ ა თ, სწორედ ამ დროს, ბუნების ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ველურის უმწეობის გამო, ამქვეყნიური ძალები ზებუნებრივი ძალების სახეს ღებულობენ და იქმნება რელიგია — ადამიანის ეს გაუკუღმართებული წარმოდგენა საკუთარ თავსა და გარემომცველ ბუნებაზე.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ თუ რელიგია ამ 80 — 100 ათასი წლის წინათ წარმოიშვა, სამაგიეროდ მისი, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების აღმნიშვნელი სახელწოდება, — ტერ-

---

[1] ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი, გვ. 50.
[2] ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, გვ. 378.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 83.

მინი „რელიგია“ — გაცილებით უფრო გვიან, სახელდობრ ანტიკურ ხანაში გაჩნდა. ძველი რომაელები ადამიანსა და ღმერთს შორის შორეული წარსულიდან დამკვიდრებულ ურთიერთობას გამოხატავდნენ ლათინური სიტყვით „რელიგია“ (religio), რაც ნიშნავს „კავშირს“, „დაბმას“, „შეკვრას“. მორწმუნეთა აზრით, რელიგიის უმთავრეს ნიშანს წარმოადგენს ადამიანის კავშირი მითიურ ღმერთთან და ამიტომ ამ ტერმინით მათ იმ აზრის გამოხატვა სურდათ, რომ ადამიანი ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ არის დაბმული და შებოჭილიო.

ლენინის კონსპექტში ლუდვიგ ფოიერბახის „ლექციები რელიგიის დედაარსის შესახებ“ მოტანილია ამ ფილოსოფოსის ერთი შეხედულება ლენინის მინაწერი შენიშვნით „ძალიან კარგია!“ ამ შეხედულებაში შემდეგი აზრია გატარებული: „განუზომელია ადამიანის უვიცობა და უსაზღვროა ძალა ადამიანის წარმოდგენათა; ბუნების ძალა, მოკლებული უვიცობის მეოხებით თავის საფუძველს, ხოლო ფანტაზიის მეოხებით — თავის საზღვრებს — არის ღვთიური ყოვლისშემძლეობა“.[1] და მართლაც, რადგან ველურს არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა ბუნების სხვადასხვა მოვლენათა საფუძვლების რეალურობის შესახებ, იგი იძულებული ხდებოდა მათთვის „ღვთიური ყოვლისშემძლეობა“ მიეწერა. ველურმა ზებუნებრივ ძალებზე ფიქრი მაშინ დაიწყო, როდესაც არსებობისათვის ბრძოლაში ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობებს შეეჯახა. ველურში ყოველი ახალი, უცნობი, არაჩვეულებრივი და გაუგებარი ზებუნებრივი სამყაროს ჩარევის შიშს იწვევდა.

ამავე დროს პირველყოფილ ადამიანებს ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა ერთბაშად როდი წარმოშობიათ. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ერთ მშვენიერ, ან უფრო სწორად უბედურ დღეს, წინადღით ურელიგიო ველურს, ზებუნებრივი სამყაროს არსებობის რწმენით გაღვიძებოდეს. სინამდვილეში, როგორც ვიცით, რელიგია საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად წარმოიშვა. ენგელსი წერს: „წინა ისტორიული პერიოდის დაბალ ეკონომიურ განვითარებას თავისი დამატების, ხანდახან პირობისა და თვით მიზეზის სახითაც კი შემცდარი წარმოდგენები ჰქონდა ბუნების შესახებ“[2].

ადამიანში ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წარმოშობილიყო, როდესაც იგი იმდენად გონიერი გახდა, რომ შესძლო გარემომცველი მოვლენების ასე თუ ისე გააზრების უნარი. ლენინი წერს: „...ხუცობას (ფილოსოფიურ იდეალიზმს), რასაკვირველია, აქვს გნოსეოლოგიური ფესვები, იგი უნიადაგო არაა, იგი უდავოდ, არის ფშუტყვავილა, მაგრამ ფშუტყვავილა, რომელიც იზრდება ადამია-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები, გვ. 56.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, წერილი კ. შმიდტს.

ნის ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, მძლავრი. ყოვლადძლიერი, ობიექტური, აბსოლუტური, შემეცნების ცოცხალ ხეზე"[1]. და, მართლაც, პირველყოფილი რელიგია ის ფშუტყვავილა იყო, რომელსაც გნოსეოლოგიური ფესვებიც ჰქონდა. იგი იზრდებოდა ადამიანის შემეცნების, მართალია, ცოცხალ და ნაყოფიერ, მაგრამ ახალგაზრდა და სუსტ ყლორტებზე. ეს ყლორტები იმ ხეს ეკუთვნოდა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ჰქონდა დაწყებული ზრდა-განვითარება. პირველყოფილი ადამიანის ცოდნა ემპირიულ (ბერძნული სიტყვიდან „ემპირია" — ცდა) ხასიათს ატარებს, ე. ი. ეს ცოდნა პირველყოფილმა ადამიანმა თავისი

მიწაზე დამხობილი პირველყოფილი ადამიანი

გამოცდილების პროცესში მიიღო, თავისი შრომისა და ყოველდღიური პრაქტიკის პროცესში გამოიმუშავა. ამრიგად, პირველყოფილი ადამია-

[1] ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები, 1936 წ., გვ. 328.

ნის შეგნებაში სამყარო გაორდა, ანუ მეცნიერებაში ხმარებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მან დუალისტური (ლათინური სიტყვიდან „დუო“ — ორი) ხასიათი მიიღო. ადამიანის პრაქტიკის ყოველ დარგში, იყო ერთი მხარე, რომელშიც ადამიანმა რაიმე იცოდა და რაიმე შეეძლო, და იყო აგრეთვე მეორე მხარე — სადაც იგი უცოდინარობას თავდაუჭერელი ფანტაზიით ცვლიდა. აქ მთავარია, ხაზი გაესვას იმას, რომ პირველყოფილ ადამიანში მეორე მხარე სჭარბობდა პირველს. პირველყოფილი ადამიანის გონება იმდენად განუვითარებელი და იმდენად შეზღუდული იყო, რომ იგი ვერ ერკვეოდა ბუნების უმეტეს მოვლენებში და მთელი მისი ცხოვრება თითქმის მთლიანად ბუნების სტიქიაზე იყო დამოკიდებული. და აი სწორედ ბუნების ძალებისადმი ასეთი დამოკიდებულების, შიშისა და უძლურების პირობებში წარმოიშვა ცალკეული საგნებისა და მოვლენებისადმი თაყვანისცემა.

რელიგიურ რწმენათა პირველ ფორმებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მაგია, ფეტიშიზმი, ანიმიზმი და ტოტემიზმი.

მაგია ბერძნული სიტყვაა და ჯადოსნობას ნიშნავს. მას შემდეგ, რაც პირველყოფილ ადამიანში წარმოიშვა რწმენა ზებუნებრივი ძალების შესახებ იგი შეეცადა ეს ძალები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. და ამიტომ პირველყოფილი ადამიანი პრაქტიკული მიზნების განხორციელების ცდის დროს დიდ იმედებს ამყარებდა მაგიაზე — ჯადოსნობაზე. მისი პრაქტიკული მიზნების სფეროში უმთავრესად მხეცების, ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან თავის დახსნა და საზრდოს შოვნა შედიოდა. მხეცებთან ბრძოლის დროს დაკვირვების საფუძველზე შეძენილი გამოცდილება მას თანდათან უადვილებდა მათთან ბრძოლას, მაგრამ პირველყოფილი ადამიანი მხეცებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას გამოცდილებას კი არ მიაწერდა, არამედ დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვება იმ უსულო საგნებმა, ადრე ნადირობის დროს მოპოვებულმა მხეცების სხეულის ნაწილებმა, მოაპოვებინეს, რომლებიც მას მუდამ თან დაჰქონდა. იგი თანდათან სულ უფრო და უფრო ღრმად რწმუნდებოდა ამ საგანთა ჯადოსნურ ძალაში, მათ მაგიურობაში.

ერთ-ერთი მოგზაური, რომელიც თავის მემუარებში თანამედროვე ველურებთან შეხვედრას აღწერს, მოგვითხრობს, რომ ველურებმა მას აჩუქეს სამკაული, რომელიც წარმოადგენდა სპილოს ძვალს, შემკულს ლეოპარდის ბრჭყალებით, არწივის კლანჭებით და ნიანგისა და ზღვის თევზის კბილებით. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვინც ამ სამკაულს ატარებდა, სპილოს ძვალი და არწივის ბრჭყალები მას ყოველგვარი უბედური შემთხვევისაგან დაიცავდა ნადირობის დროს, თანაც დიდ ღონეს, სიმარდესა და გამჭრიახობას მიანიჭებდა, ხოლო ნიანგისა

და ზღვის თევზის კბილები დაიფარავდნენ წყალთან დაკავშირებული მოსალოდნელი უბედურებისაგან.

შემდეგში, პირველყოფილმა ადამიანებმა ცხოველთა სხეულის ნაწილების გარდა მაგიური ძალა სხვა უსულო საგნებსაც მიანიჭეს. დროთა განმავლობაში კი მაგიის საფუძველზე აღმოცენდა ფეტიშიზმი.

სიტყვა ფეტიში პორტუგალიურია და ხელით გაკეთებულს ნიშნავს. პირველყოფილი ადამიანის ფეტიშებს წარმოადგენდნენ პრიმიტიული ქანდაკებანი, ნახატები, ფიტულები და სხვ. ისინი ამ უსულო საგნებს ზებუნებრივ ძალებად მიიჩნევდნენ და ეთაყვანებოდნენ.

დროთა განმავლობაში ვითარდება ადამიანის წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი და ამის შესაბამისად რთულდება მისი რელიგიური შეხედულებებიც. ადამიანს ახლა უკვე გონია, რომ ის ძალები, რომლებსაც იგი ესოდენ დიდ შესაძლებლობებს ანიჭებს — ადამიანივით სულიერი, ცოცხალი და მგრძნობიარე არსებაა. ბუნების საგნებისა და მოვლენების გასულიერება ანიმიზმის სახელითაა ცნობილი (ანიმიზმი, უფრო ფართოდ, წინა თავში გვაქვს განხილული). ფეტიშიზმი და ანიმიზმი პირველყოფილი რელიგიის უმნიშვნელოვანესი ფორმებია.

პირველყოფილი რელიგიის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს აგრეთვე ტოტემიზმი. სიტყვა „ტოტემი" — მეცნიერების მიერ აღებულია ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების — ოჯიბვეს ტომის ენიდან, რაც მათ ენაზე სიტყვა-სიტყვით „მის გვარტომს" ნიშნავს. ტოტემი ეს ერთგვარი ნიშანი, ანუ ღერბია, რომელიც სისხლით ნათესაობის სიმბოლოდაა მიჩნეული. ტოტემებს, ე. ი. საგვარეულო სახელწოდებებს წარმოადგენენ ცხოველები, მცენარეები და უსულო საგნები. ტოტემიზმის რწმენასა და წეს-ჩვეულებებში ნათლად მეღავნდება წინაპრების სულების თაყვანისცემა და ადამიანთა საზოგადოების ზებუნებრივ სულებთან ნათესაობის რწმენა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილ ადამიანებს წინაპრების სულებად მხოლოდ უსულო საგნები, ცხოველები და მცენარეები კი არ წარმოედგინათ, არამედ ასეთებად ისინი ფანტასტიკურ არსებებსაც, ნახევრადადამიანებს — ნახევრადცხოველებს. ნახევრადადამიანებს — ნახევრადმცენარეებსაც მიიჩნევდნენ.

მარქსი წერდა, რომ რელიგია კი არ ქმნის ადამიანს, არამედ „ადამიანი ქმნის რელიგიას... რელიგია არის თვითშეგნება და თვითშეგრძნება ადამიანისა, რომელსაც ან ჯერ ვერ მოუნახავს თავისი თავი, ანდა კვლავ დაუკარგავს იგიო"[1]. ხოლო ლენინს კი, თავის წერილში „მუშათა პარტიის რელიგიასთან დამოკიდებულების შესახებ" მოჰყავს ლათინური

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 399.

თქმა: „ღმერთები შიშმა შექმნაო"[1]. პირველყოფილი რელიგიების ფორმების განხილვა გვიჩვენებს, თუ რა დიდი სიმართლეა ამ დიდ მოაზროვნეთა სიტყვებში.

მაგიის, ფეტიშიზმის, ანიმიზმისა და ტოტემიზმის მაგალითზე სავსებით ცხადად ირკვევა, რომ რელიგია წარმოიშვა და განვითარდა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, რომელშიც ფანტასტიკურად, ამასთან დამახინჯებული ფორმით არის ასახული ადამიანის დამოკიდებულება მასზე გაბატონებულ გარეშე ძალებისაგან.

მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე არც პირველყოფილ საზოგადოებაში ყოფილა გაყინული. მართალია, ძალზე ნელა, მაგრამ ადამიანთა ტიტანური შრომის მეოხებით კაცობრიობის კულტურა მაინც ვითარდებოდა და წინ მიიწევდა. ველურობის პერიოდი ბარბაროსობის პერიოდით შეიცვალა. ეს კი წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იყო საზოგადოების განვითარების ისტორიაში.

პირველყოფილი გვაროვნული თემი მატრიარქალურიდან პატრიარქალურად გადაიქცა. ნათესაობისა და შთამომავლობის გაგება ახლა არა დედის, არამედ მამის მიხედვით სწარმოებდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ქალის საზოგადოებრივ და ყოფით დამონებას. ტექნიკისა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებასთან, ომების მეშვეობით მონების გაჩენასა და სიმდიდრის დაგროვებასთან დაკავშირებით ადამიანთა საზოგადოება ფენებად დაიყო. წარმოიშვნენ ექსპლოატირებულნი და ექსპლოატატორები. გაჩნდა კლასები.

ამ პერიოდში ბარბაროსობას ცვლის ცივილიზაცია.

ხოლო როდესაც ბარბაროსობის პერიოდი ცივილიზაციით შეიცვალა, ცივილიზებულ საზოგადოებაში გვაროვნული და ტომობრივი გაერთიანების ნაცვლად სახელმწიფო აღმოცენდა. ეს ბუნებრივიცაა. რადგან წარმოიშვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და წარმოიშვნენ კლასები, უნდა წარმოშობილიყო სახელმწიფოც. სახელმწიფო ხომ, ლენინის განსაზღვრებით „არის მანქანა, ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრისათვის, მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთი კლასი ყველა დანარჩენ კლასს იმორჩილებს"[2]. ეს პროცესი ათასწლობით გრძელდებოდა და სხვადასხვა ხალხში არათანაზომიერად ვითარდებოდა.

ადამიანმა უკვე მკაფიოდ იწყო თავისი თავის გამოყოფა, როგორც პიროვნებისა — საზოგადოებაში, ხოლო საზოგადოების გამოყოფა კი, ბუნებისაგან. მან ისწავლა მკვეთრი ხაზის გატარება ადამიანსა და დანარჩენ ბუნებას შორის.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 375.

[2] ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, გვ. 22.

კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის შემდეგ პირველყოფილი ადამიანების მიმართ ბუნების ძალების მხრივ ზემოქმედებას და ჩაგვრას, საზოგადოების კლასებად დაყოფით გამოწვეული ჩაგვრა, სოციალური ჩაგვრაც დაემატა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა სამყაროს რელიგიური, ფანტასტიკური წარმოსახვა. სულები ღმერთებად იქცნენ, და ეს გარეგნობა, თავის მხრივ, გადაიქცა რელიგიური ცრურწმენის მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ.

პირველყოფილ საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, არ იყო ეკლესია, როგორც მორწმუნეთა განსაკუთრებული ორგანიზაცია, არ არსებობდა დაყოფა „საერო" და „სასულიერო" წოდებათა შორის, არ იყვნენ ქურუმები და მღვდლები. იმ დროს საზოგადოების ყოველი წევრი თანაბრად მონაწილეობდა ჯადოსნურ რელიგიურ ცერემონიებში. მაგრამ ველურებში გამოიყოფოდნენ ადამიანები, რომელთაც თამამად შეიძლება ეწოდოთ ქურუმებისა და მღვდლების წინაპრები. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთ გვარებსა და ტომებში ჯადოსნობის დარგში სპეციალისტებად ითვლებოდნენ, და, რომელთაც ამისათვის განსაკუთრებული „მადლი" მიეწერებოდათ. კლასობრივ საზოგადოებაში კი იწყება რელიგიური შეხედულებების წარმოდგენებისა და რწმენის სტიქიური განვითარება და მას სავსებით კანონზომიერი, შეგნებული და მიზანდასახული ფორმა ეძლევა. როგორც ენგელსი აღნიშნავდა, თუ პირველყოფილი რელიგია თავიდან სიცრუის რაიმე მონაწილეობის გარეშე წარმოიშვება, შემდგომ განვითარებაში გარდუვალი ხდება ხუცური სიცრუე. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში რელიგიური ფანტაზიის წარმოშობა თვით საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით არის გაპირობებული.

ამიერიდან ადამიანები ისეთსავე ურთიერთობას ამყარებენ ზებუნებრივ, ფანტასტიკურ არსებებთან — ღმერთებთან, როგორი ურთიერთობაც თვით ადამიანებს შორის არსებობს. რადგან ადამიანი ღმერთებს ადამიანისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას მიაკუთვნებდა, ამიტომ მათ გარეგნულ სახესაც ადამიანის სახის მსგავსად, ანუ როგორც მეცნიერებაში ამბობენ — ანტროომორფულად (ბერძნული სიტყვებისაგან „ანტროპოს" — ადამიანი და „მორფოს" სახე, ფორმა) წარმოადგენდა. ამიერიდან კანონდება ღვთისმსახურების რთული წესები, ხოლო რელიგიური წესებისა და რიტუალების შესრულებასთან დაკავშირებით კი ხდება შრომის ერთგვარი დანაწილება, წარმოიქმნება ღვთის მსახურთა პრივილეგირებული რელიგიური კასტა: ქურუმები, მღვდლები, შამანები და ა. შ. რომლებსაც ეკისრებათ ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავლების როლის შესრულება.

კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას მოჰყვა აგრეთვე ზებუნებ-

რივი ძალების „ევოლუცია“, რაც იმაში გამოიხატა, რომ მრავალღმერთიანობა — პოლითეიზმი შეიცვალა ერთღმერთიანობით — მონოთეიზმით. ღმერთების ზეციური ცხოვრება ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრების მიხედვით განსახიერდა, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ღმერთები კი არ წარმართავენ ადამიანთა ცხოვრებას, არამედ „ადამიანები განსაზღვრავენ ღმერთების ცხოვრებას“.

ყველაზე უფრო ძველ კლასობრივ საზოგადოებას ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები წარმოადგენენ. ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასეული წლების დასაწყისიდან, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიქმნა დესპოტური ტიპის მონარქიული სახელმწიფოები განუსაზღვრელი და შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი მეფეებით. მიწაზე მომხდარ ამ ცვლილებას ზეცაში შესაბამისი გამოძახილი მოჰყვა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან როგორც მარქსი წერს, „რელიგიური ქვეყანა რეალური ქვეყნის ანარეკლია მხოლოდ“[1].

წარმოიშვა ოთხი ძირითადი რელიგიური მიმდინარეობა: იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი.

თანამედროვე რელიგიებიდან ი უ დ ა ი ზ მ ი ყველაზე ძველი რელიგიაა. იგი ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით მეორე ათასეულ წლებში წარმოიშვა. იუდაიზმი ებრაელთა რელიგიაა. მის მიმდევართა რიცხვი არაზუსტი ცნობებით ხუთმეტ მილიონამდე აღწევს. სიტყვა „იუდაიზმი“ ერთ-ერთი ძველი ებრაული ტომის — იუდეველების სახელწოდებისაგან წარმოსდგება. ამ რელიგიის არსებით ნიშანს ერთპიროვნული ღმერთის — იოღოვასადმი რწმენა შეადგენს. იოღოვა ოდესღაც ტომობრივი (იუდეველთა ტომის) ღმერთი იყო, რომელიც ებრაელთა სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ დაწინაურდა და ყველა ებრაელის საერთო ღმერთად იქცა.

ბ უ დ ი ზ მ ი წარმოიშვა ინდოეთში ძველი წელთაღრიცხვის VI—V საუკუნეებში, ხოლო III საუკუნეში კი სახელმწიფო რელიგიად იქცა. ბუდიზმის მიმდევრები ცხოვრობენ: ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, მონღოლეთში, ბირმაში, ტიბეტზე, ცეილონში, საბჭოთა კავშირში. მათი რიცხვი დაახლოებით ექვსას მილიონს აღწევს. ბუდისტების მტკიცებით, ამ რელიგიის შემქმნელია ინდოეთის მეფისწული გაუტამა, რომელმაც საერო ცხოვრების მიტოვების შემდეგ მიიღო ბუდას („განათლებულის“) სახელწოდება და დაიწყო ახალი რელიგიის ქადაგება.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ობ ა წარმოიშვა რომის იმპერიაში ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში: იგი, როგორც რელიგია, შემუშავდა ძველი, ბერძნული და რომაული სამყაროს ფილოსოფიური იდეებისა და ძველი რელიგიების მთელი რიგი ელემენტების გადამუშავების საფუძ-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი თხზ., ტ. 21, გვ. 45

ველზე, რომელთა შორის მთავარია მითი იესო ქრისტეზე, როგორც ღმერთკაცზე. სიტყვა „იესო“ ებრაულად ნიშნავს „მხსნელს“, ხოლო სიტყვა „ქრისტოს“ ბერძნულად ნიშნავს „მესიას“, „მირონცხებულს“, „ღვთის წარმოგზავნილს“. იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და ფეხმოკიდებული რელიგიაა. მას მრავალ სახელმწიფოში ჰყავს მიმდევრები.

ისლამი ყველაზე ახალგაზრდა რელიგიაა ზემოთ დასახელებულ რელიგიათა შორის. იგი წარმოიშვა ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში არაბ ტომებს შორის. შემდეგ კი საკმაოდ სწრაფად გავრცელდა თურქეთში, ირანში, ერაყში, სირიაში, ინდოეთში, ინდონეზიაში და ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ერთ ნაწილში. მონოთეისტურმა იდეებმა ხელსაყრელი ნიადაგი ჰპოვა დასავლეთ არაბეთში მეშვიდე საუკუნეში ცენტრალიზაციისათვის გაჩაღებულ მოძრაობაში. ამ მოძრაობის ცენტრს ქალაქი მექა წარმოადგენდა და მასში მთავარ როლს ასრულებდა ყურეიშიტების ტომი, რომელთა ტომობრივი ღმერთი ალაჰი ამიერიდან არაბთა საყოველთაო-საერთო ღმერთის უფლებებით აღიჭურვა. მისი „მოციქული“ და მისდამი დაქვემდებარებულია წინასწარმეტყველი მუჰამედი, რომელიც აგრეთვე ღმერთის რანგამდეა ამაღლებული. ისლამი არაბულად მორჩილებას ნიშნავს. აქედანვე წარმოსდგება ამ სარწმუნოების მიმდევართა სახელწოდებაც — მუსლიმანები. ისლამის საღვთო წიგნია „ყურანი“.

ერთღმერთიანობა — მონოთეიზმი კიდევ უფრო თრგუნავს ხალხთა მასებს.

თუ ადამიანთა უძლურება და შიში ბუნების ძალთა წინაშე ჩასახვისთანავე ჰკვებავდა და ასაზრდოებდა პირველყოფილ რელიგიას, შემდეგში კლასობრივ-ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადამიანთა დამოკიდებულება საზოგადოების განვითარების სტიქიურ ძალებზე, კლასობრივი უთანასწორობა, ექსპლოატაცია და ჩაგვრა რელიგიის მთავარი მკვებავი და მასაზრდოებელი წყარო ხდება. სწორედ ამიტომ, თუ ადამიანები თავდაპირველად აღმერთებდნენ ბუნების ძალებს, კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის შედეგად, მათ ასევე დაიწყეს საზოგადოებრივი ძალების გაღმერთებაც, რომლებიც ისევე ბატონობდნენ ადამიანებზე, როგორც ბუნების ძალები.

მშრომელი მასების სოციალურმა დაბეჩავებამ განსაკუთრებით მწვავე, უხეში და აუტანელი ფორმა კაპიტალიზმის დროს მიიღო. ლენინი წერდა: „თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში რელიგიის ფესვები უმთავრესად სოციალურია. მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩავება, მათი მოჩვენებითი სრული უმწეობა კაპიტალიზმის ბრმა ძალების წინაშე, კაპიტალიზმისა, რომელიც ყოველდღე და ყოველ საათს ათას-

ჯერ უფრო საზარელ ტანჯვას, აუწერელ მხეცურ წამებას აყენებს უბრალო მუშა-ხალხს, ვიდრე ყოველგვარი არაჩვეულებრივი მოვლენები, როგორიცაა ომი, მიწისძვრა და ა. შ. — აი სად არის რელიგიის ყველაზე ღრმა თანამედროვე ფესვი".[1] ამავე შრომაში ლენინი განმარტავს, რომ ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში გარდუვალად წარმოშობს საიქიო ცხოვრებისადმი რწმენას. იგი წერს: „ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს... სასწაულთა და სხვათა რწმენას"[2]. და იქვე აგრძელებს, „რელიგია ერთ-ერთი სახეა სულიერი ჩაგვრისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას ლოდად აწევს მუდამ სხვებისათვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათრგუნვილ ხალხთა მასებს... იმათ, ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას საქაო ცხოვრებაში და ანუგეშებს ზეციური ჯილდოს იმედით"[3].

რელიგიას გნოსეოლოგიური და სოციალური ფესვების გარდა აქვს აგრეთვე ისტორიული ფესვებიც, რომელთა სათავეც პირველყოფილი რელიგიის საწყისი ფორმებიდან მოდის და, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიის ბატონობის საქმეში, როგორც ტრადიცია. რელიგიის ისტორიული ფესვები, რელიგიის განვითარების საფეხურიდან ერთიმეორეში გადასული და მემკვიდრეობად დარჩენილი იდეოლოგიური გადმონაშთებია. სავარაუდოა, რომ ისინი იარსებებენ მანამდე, სანამ თვით რელიგია იარსებებს. მაგრამ რელიგიას „დიდი დღე აღარ უწერია". კომუნიზმის გამარჯვების დროს მის სრულ და საბოლოო მოსპობასაც ვიდღესასწაულებთ.

მარქსი გვასწავლის, რომ „რელიგია მხოლოდ მოჩვენებითი მზეა, რომელიც ადამიანის გარშემო მოძრაობს მანამდე, სანამ იგი თავის თავის გარშემო დაიწყებდეს მოძრაობას"[4]. და ადამიანმა, მართლაც, დაიწყო „მოძრაობა თავისი თავის გარშემო". ამ „მოძრაობას" დასაბამი მისცა მეცნიერების წარმოშობამ, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებრივი პრაქტიკის, მატერიალური წარმოების მოთხოვნილებიდან წარმოიშვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიასა და პრაქტიკას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმი, ღრმა მეცნიერული მოძღვრება, რომელიც მსოფლიოს გარდამქმნელ, კაცობრიობის ნათელი

---

[1] ვ. ი. ლენინი, რელიგიის შესახებ, გვ. 25.

[2] იქვე, გვ. 6.

[3] იქვე, გვ. 6 — 7.

[4] კ. მარქსი, ჰეგელის სიმართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, გვ. 6.

„ახალი ერას დასაწყისი“

გაზაფხულის — კომუნიზმის დამამკვიდრებელ, ყოვლისმძლე და ცხოველმყოფელ ძალას წარმოადგენს..

ამ ძალამ უკვე შესძრა მთელი სამყარო. საბჭოთა მეცნიერებამ მძლედ შეაღო კოსმოსის კარი. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორ ოცნებობდა დიდი რუსი მეცნიერი რაკეტული მოძრაობის თეორიის ფუძემდებელი კონსტანტინე ციოლკოვსკი — კოსმოსური ხომალდით ადამიანის გაფრენაზე, რომელსაც იგი ვარაუდობდა არა უადრეს 2017 წლისა... სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა ჯგუფმა, ააგო კოსმოსური ხომალდი და გაემართა ჯერ დედამიწის გარშემო, შემდეგ მთვარეზე და, ბოლოს განახორციელა ფრენა მზის სისტემის ფარგლებში... ფანტასტიკური რომანივით ვკითხულობდით ამ ამბის ალმწერ სტრიქონებს. ფანტასტიკა სინამდვილედ იქცა არა 2017 წელს, არამედ 1961 წელს...

საბჭოთა კავშირმა პირველმა გაუშვა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, პირველმა გაგზავნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, პირველმა განახორციელა კოსმოსური ხომალდის გაფრენა პლანეტა ვენერასა და მთვარის მიმართულებით, საბჭოთა კოსმოსური ხომალდები, რომლებზედაც ცოცხალი არსებანი, ცხოველები იყვნენ, ზედიზედ მიფრინავდნენ კოსმოსში და ბრუნდებოდნენ დედამიწაზე, და ბოლოს, ყველა ეს გამარჯვებანი დაგვირგვინდა საბჭოთა ადამიანის ტრიუმფალური გაფრენით კოსმოსში, რითაც აღსრულდა კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება,.

„ღმერთის საბრძანებელი დაპყრობილია“.